პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
16 სექტემბერი ორშაბათი 2013
№218 (14 134) ფასი 80 თეთრი

# ლადომ ჰეთთრიქი დადო



# დებიუტი პორტუსთან!




14 სექტემბერს პორტუგალიის უმაღლეს დივიზიონში დიდი ხნის პაუზის შემდეგ ქართველმა ფეხბურთელმა ითამაშა - ეს 21 წლის შემტევმა ნახევარმცველმა **ავთანდილ ებრალიძემ** მოახერხა. ებრალიძე სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეებში პორტუგალიის რანგით მეორე დივიზიონის „ოლივეირენშედან“ უმაღლესის „ჟილ ვისენტეში“ გადავიდა.

ქართველის დებიუტი კი ჩემპიონ „პორტუსთან“ მატჩში შედგა, „ჟილ ვისენტეს“ 11 ნომერმა ბოლო 15 წუთი ითამაშა 0:2 წაგებულ მატჩში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ილურიძის დერბიუტი

## გიორგის მთავარი კონკურენტი ხორვატიაშიც დინამოა



ქართული ლეგიონის მონაგარი უქმეებზე 2,4

# ბუდაპეშტში

## მინდორაშვილის გუნდი დღეს იწყებს

11





# ბეილის პირველი

ევროპული ლიგების მიმოხილვა 5-10



# დარჩა!

## კრიშტიანო რონალდო წელიწადში 17 მილიონს მიიღებს

მადრიდის „რეალმა“ **კრიშტიანო რონალდოსთან** ახალი ხელშეკრულება გააფორმა. **ფლორენტინო პერესი** და პორტუგალიელი ფეხბურთელი შეთანხმდნენ, რომ რონალდო „რეალში“ 2018 წლამდე დარჩება, გადაიხედა მისი კონტრაქტის პირობებიც. ოფიციალურად არ გამოცხადებულა, თუმცა „მარკა“ ამტკიცებს, რომ კრიშტიანო რონალდო „რეალში“ ამიერიდან წელიწადში 17 მილიონ ევროს მიიღებს.

რონალდო ესპანურ ფეხბურთში ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელია - ის მომავალ 5 სეზონში 17-17 მილიონს მიიღებს, მაშინ, როცა ლეო მესის ხელფასი „ბარსელონაში“ 16 მილიონია (13 ფიქსირებული, 3 ბონუსებით).

*„დღეს ძალზე მნიშვნელოვანი დღეა ჩემს კარიერაში. ეს კონტრაქტი ძალიან ბედნიერს გამხდის. პრივილეგიაა „რეალში“ დიდხანს დარჩენა. დღევანდელი დღე ჩემთვის მადრიდში გატარებული პირველი დღის ტოლფასია. ბოლომდე ვიხარჯები „რეალის“ მაისურით ასპარეზობისას და იმედი მაქვს, აქ კარიერის დასრულებამდე დავრჩები. „რეალი“ დიდებული კლუბია“*, - განაცხადა ცერემონიალზე კრიშტიანო რონალდომ.

2018 წელს კრიშტიანო რონალდო 33 წლის იქნება.

*„დღეს „რეალის“ ისტორიაში მნიშვნელოვანი დღეა - ყველა მადრიდისტას ოცნება ავასრულეთ - კრიშტიანო ჩვენთან რჩება“*, - ეს უკვე ფლორენტინო პერესის სიტყვებია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ინტერვიუ

# ჯაბა დვალი პესიმიზმს არ იზიარებს

## 2004 წელს ჯგუფში თუ მოვხვდით, ახლა შეუძლებელია?!

მოგეხსენებათ, ლანჩხუთის "გურიასთან" ბოლოსწინა ტურში ჯაბა დვალი არც "დინამოს" ძირითად შემადგენლობაში იყო და არც სათადარიგოებს შორის. მაშინ გავრცელდა ხმები, რომ დვალს გუნდის მთავარ მწვრთნელთან დუშან უჰრინთან უსიამოვნება მოუვიდა.

ყოველ შემთხვევაში, ბევრს ლაპარაკობდნენ, რომ უჰრინმა დვალი და კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი '"დინამოს" მეორე გუნდში გადაიყვანა. თუმცა უკვე მომდევნო ტურში დვალი ძირითადში დაბრუნდა.

ამ ყველაფერზე კომენტარი მხარეებს არ გაუკეთებიათ, რადგან კლუბის "სამზარეულოში" მომხდარის საჯარო განხილვა მიუღებლად ჩათვალეს. როგორც ჩანს, 27 წლის თავდამსხმელსა და მთავარ მწვრთნელს შორის გაუგებრობა ამოიწურა.

ჯაბა დვალმა "ზუგდიდთან" თავი ულამაზესი გოლით გამოიჩინა – მეტოქის კარი "მაკრატელათი" აილო.

ჯაბა დვალი "ლელოს" კითხვებს პასუხობს.



ჯაბა დვალი (მარცხნივ) და დუშან უჰრინი

ფოტო: www.fcdinamo.ge

**- ჯერ ბოლო შეხვედრაზე ვთქვათ: როგორც იქნა, ჩავარდნის შემდეგ, "დინამომ" მოიგო.**

- თანაც, დიდი ანგარიშით მოვიგეთ, რაც პატარა საქმე არ იყო. შესაძლოა, "ზუგდიდი" ახლა საუკეთესო ფორმაში არ არის, მაგრამ ეს გუნდი ჩვენთან ყოველთვის განსაკუთრებული მოტივაციით თამაშობს. მიხარია, რომ ანგარიში გავხსენი, თანაც, საკმაოდ ლამაზი გოლით.

17 სექტემბერს ცხინვალის "სპარტაკთან" გამოტოვებული შეხვედრა გვაქვს და შევეცდებით, პირველ ადგილზე დავწინაურდეთ.

**- როგორც ჩანს, შენი დუბლებში გადაყვანა-გადმოყვანის ეპოპეა დასრულდა.**

- ალბათ, დამთავრდა.

**- მთავარ მწვრთნელთან ურთიერთობაც დალაგდა?**

- ყველაფერი კარგად არის.

**- "ზუგდიდთან" გოლი ამიტომ იყო მნიშვნელოვანი?**

- ამ გოლს რა უნდა შეეცვალა, აქამდე ვერ გამქონდა? ეს ერთმანეთთან კავშირში არ არის. ეტყობა, ისე მოვიქეცი, მწვრთნელს რალაც არ მოეწონა. ახლა არაფერიც არ ხდება, ყველაფერი ნორმალურად არის და დამიჯერეთ, ყურადღების გამახვილებად ნამდვილად არც ღირს.

**- ქართული კლუბები ევროთასებიდან გამოვარდნენ, ნაკრებმა ჯგუფში მესამე ადგილის შანსი დაკარგა და ჩვენი ფეხბურთისადმი რწმენა კიდევ უფრო დაიკარგა – ევროპის ლიგასა და მუნდიალ-ევროფორუმებზე მოხვედრაზე ლაპარაკს ბევრი ზღაპარს უწოდებს. შენი აზრით, გამოუვალი მდგომარეობაა?**

- სულაც არ მიმაჩნია, რომ გამოუვალი და უიმედო მდგომარეობაა. იცით, რა მაინტერესებს, 2004 წელს თბილისის "დინამო" უეფას ჯგუფურ ეტაპზე როგორ მოხვდა? მას შემდეგ 9 წელი გავიდა და ეს ახლა შესაძლებელი რატომ აღარ არის?

**- შენი აზრით, 2004 წლის შემდეგ ჩვენი ფეხბურთის მდგომარეობა არ გაუარესდა?**

- არა მგონია. "ზესტაფონს" ევროპალიგის ჯგუფურ ეტაპამდე ცოტა დააკლდა და დღემდე მიმაჩნია, რომ "შტურმთან" მოგება შესაძლებელი იყო. იმავე "დინამოს" აეკ-თან მოგება არ შეეძლო? ბოლო წლებში ევროპის ლიგის პლეი ოფამდე ორი ქართული გუნდი სტაბილურად აღწევს, ანუ რეალური შანსები გვქონდა, ევროპის ლიგაში რომ მაინც მოვხვედრილიყავით, მაგრამ საამისოდ ცოტა დაგვაკლდა.

**- იმედიანად ლაპარაკობ. არადა, მგონია, რომ მომხდარმა ნაკრებისა და ჩვენი ლიდერი კლუბების ფეხბურთელებზე ცუდად იმოქმედა და ფსიქოლოგიურად გაგტეხათ.**

- რატომ უნდა გავტყდე? "სტიაუასთან" ნაგებას პენალტის არგატანას არ ვაბრალებ, მაგრამ რომ გაგვეტანა, არავინ იცის, თამაში როგორ წარიმართებოდა. არადა, დღემდე მგონია, რომ რუმინეთის ჩემპიონის დამარცხება შეუძლებელი არ იყო. ყველამ ნახა, რომ გასვლაზე 1:1 ვითამაშეთ, თბილისში კი, რალაც ეპიზოდებში, მოგებასთან ახლოს ვიყავით, მაგრამ ძალიან არ გაგვიმართლა.

საწყენი იყო "ტოტენჰემთან" ასეთი ანგარიშებით წაგებები, მაგრამ მათან ევროპული გრანდები აგებენ და ამის გამო გულგატეხილი ვერ ვიქნები. საერთოდაც, მიმაჩნია, რომ ისე უიმედოდაც არ არის საქმე, ხელი რომ ჩავიქნიოთ და ვიწუწუნოთ, ვაი, დედა, ეს რა გვჭირსო. ჩვენ კლუბებს სტაბილური დაფინანსება და ბირთვის შენარჩუნება სჭირდება და ბევრად მეტს მივაღწევთ.

**- იგივეს ფიქრობ ნაკრების თამაშზეც?**

- რა თქმა უნდა. როგორ მოვახერხეთ საფრანგეთთან საკმაოდ კარგი ფეხბურთის ჩვენება? ფინეთთან მობილიზაცია და ძალები აღარ გვეყო, მაგრამ ჩემი აზრით, ქართული ფეხბურთისთვის დამახასიათებელი ელემენტების მეტი გამოყენებით, მათი დამარცხებაც შესაძლებელი იყო.

**- "ზესტაფონშიც" კარგად თამაშობდა და "დინამოში" გადასვლის პერიოდშიც, მაგრამ ბოლო პერიოდში მხოლოდ მე არ მრჩება შთაბეჭდილება, რომ მოედანზე გულგატეხილი გადიხარ – ეს ნაკრებში გამოუძახებლობას ხომ არ მივაწეროთ?**

- ნებისმიერ ფეხბურთელს ნაკრებში თამაში უნდა და როდესაც ამის შანსს არ გაძლევენ, შეუძლებელია, გულგატეხილი არ დარჩე. მე მაინც ვცდილობ, რომ არ გავჩერდე, ვითამაშო და ადრე თუ გვიან, იქნებ, ნაკრებში მაინც მიმიწვიონ.

ლეგიონერი




მერაბ გიგაური (ტორპედო) გამოკითხვაში მონაწილეობს

# მსოფლიოში საუკეთესოს ქართველებიც გამოავლენენ

წყალტუბოში, სასტუმრო "პრომეთეში", სადაც საშინაო მატჩებამდე ქუთაისის "ტორპედო" ბინავდება, მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა. ფიფას მიერ ხელდასხმულმა „ფიფპრომ" (მოთამაშეთა საერთაშორისო პროფესიული კავშირი) WORLD AWARD 2013 (მსოფლიოს სიმბოლური ნაკრების) გამოკითხვა მთელ მსოფლიოში დაიწყო. „ფიფპრო"-მ საქართველოში მისი ორგანიზება საკუთარ წარმომადგენელს, „საქართველოს ფეხბურთელთა ასოციაციას" მიანდო.

წლეულს, გამოკითხვაში მონაწილეობის პატივი მხოლოდ ოთხი ქართული კლუბის წევრებს ერგოთ, მათ შორის კი პირველი „ტორპედო" იყო. ხსენებული ასოციაციის თავმჯდომარის **ბესიკ აბაშიძის** მიერ ჩამოტანილ ბიულეტენებში ფეხბურთელთა ვინაობების ჩაწერით ტორპედოელებს შესაძლებლობა ჰქონდათ, ამა წლის მსოფლიოს სიმბოლური თერთმეტეულის დაკომპლექტებაში სასურველი კანდიდატისთვის მიეცათ ხმა.

"მსოფლიო ნაკრები" 2014 წლის 14 იანვარს შვეიცარიის ქალაქ ციურიხში გამოვლინდება.

*"ხმის მიცემის პროცედურა 12 აგვისტოს დაიწყო და მასში "ბარსელონას" ფეხბურთელები მონაწილეობდნენ. რადგან ჩვენ „ფიფპროში" გაწევრიანების მოთხოვნა მხოლოდ ახლა წარვადგინეთ და ჯერ მისი წევრები არ ვართ, საქართველოს მხოლოდ 25 ბიულეტენი გამოგვიყვეს და 4 გუნდზე გადავანაწილეთ: 14 სექტემბერს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის არჩევნები თბილისის "დინამოში" ჩატარდა, მომავალ კვირას კი საჩხერეს "ჩიხურა" და გორის "დილა" შემოგვიერთდებიან. გამოკითხვა 15 ნოემბერს მთავრდება, დაჯილდოება კი 14 იანვარს, ფიფას ოფისში, შვეიცარიის ქალაქ ციურიხში ჩატარდება. მომავალ წელს, როდესაც ფიფპროს წევრები ვიქნებით, გამოკითხვაში უმაღლესი და პირველი ლიგის ყველა მოთამაშე მიიღებს და საქართველოში დაახლოებით 450-მდე ბიულეტენს შევავსებთ"* – გვითხრა აბაშიძემ.

ლეგიონერი

# ილურიძემ ტუდორს თავი მოაწონა

## ევროპაში წასული ქართველი დაფასდა

**გიორგი ილურიძემ** სპლიტის „ჰაიდუკის" ფორმა პირველად მოირგო. ეს 14 სექტემბერს მოხდა, როდესაც **იგორ ტუდორის** გაწვრთნილი გუნდი მშობლიურ "პოლიუდ არენაზე" პრინციპულ მეტოქეს, „დინამო" ზაგრებს დაუპირისპირდა.

გიორგი "ჰაიდუკის" ძირითად შემადგენლობაში იყო და თავისიანების გამარჯვებაში (2:0) გარკვეული წვლილი შეიტანა. როგორც შევიტყვეთ, მან სადებიუტო შეხვედრა ცენტრალური, შემტევი ნახევარმცველის პოზიციაზე ითამაშა.გიორგი რამდენიმე მწვავე შეტევისა და ორივე საგოლე კომბინაციის წამომწყები გახლდათ. 23-ე წუთზე, კუთხურის გათამაშების შემდეგ, ანგარიშის გახსნის შანსიც ჰქონდა, მაგრამ ბურთი ვერ დაამუშავა და მომენტი გაუცუდდა. 72-ე წუთზე გიორგი შეცვალეს.

მატჩის შემდეგ „ჰაიდუკის" მთავარ მწვრთნელს, იგორ ტუდორს ორი ახალწვეულის, ილურიძისა და ბოსნიელი **ჰარის ბუკვას** შესახებ კითხვა დაუსვეს.

*„ვარჯიშებზე ორივეს დეტალურად ვაკვირდებოდი, საკმაოდ კარგად გამოიყურებოდნენ და ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა დაიმსახურეს. იგივეს ვიტყვი თამაშზეც, ილურიძე და ბუკვა აქტიურები იყვნენ და გამარჯვებაში თავისი წვლილი შეიტანეს. საერთოდ, გუნდში ახალწვეულების მოსვლა კონკურენციას ზრდის"* - თქვა ტუდორმა.

როგორც ცნობილია, ევროტურნირებზე კარგი თამაშის შედეგად, **გიორგი ილურიძე** ეროვნულ ნაკრებში გამოიძახა **თემურ ქეცბაიამ**. სამწუხაროდ, 21 წლის ფეხბურთელს შეკრებაზე ჩამოსვლის საშუალება ტრავმამ არ მისცა და საფრანგეთთან და ფინეთთან ეროვნულ გუნდს ვერ დაეხმარა. არადა, გულშემატკივარი იმედოვნებდა, რომ ნიჭიერი მოთამაშე გუნდს გააძლიერებდა.

ამის შემდეგ, 14 სექტემბერს გიორგის "ჰაიდუკში" თამაშმა კითხვები დაბადა – თუ ეს შეძლო, რატომ არ იყო ნაკრებში? გემახსოვრებათ, 29 აგვისტოს, ევროპის ლიგის პლეი ოფში "რაპიდთან" შეხვედრაში კოჭი დაიზიანა და მეორე ტაიმი იძულებით ითამაშა, რადგან გორელებს შეცვლის ლიმიტი ამოწურული ჰქონდათ. ის ხორვატიაშიც ხელჯოხით გაემგზავრა.

სპლიტში ჩასვლისთანავე, ილურიძე "ჰაიდუკის" ფიზიოთერაპევტთან მკურნალობდა. იმის გათვალისწინებით, რომ მოედანს მხოლოდ 7 სექტემბერს დაუბრუნდა, სრული დატვირთვით ვარჯიში კი მხოლოდ 10 სექტემბერს განაახლა (ანუ, ფინეთთან მატჩის დღეს), გიორგი საფრანგეთთან და ფინეთთან მატჩისთვის მზად ვერ იქნებოდა.

აქვე ვიტყვით, რომ ილურიძის საფასურად გორის "დილამ" ცენტიც ვერ მიიღო, რადგან მას გუნდთან კონტრაქტი დაუსრულდა და "ჰაიდუკში" თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა – ამას ამტკიცებს ინტერნეტ-სააგენტო "ტრანსფერმარკტი".

ამავე დროს, სააგენტომ მოთამაშის ფასი რადიკალურად გაზარდა: თუკი აგვისტომდე მისი ტრანსფერის მიახლოებითი შეფასება 125 ათას ევროს უდრიდა, ახლა ქართველს ტრანსფერის გრაფაში 500 ათასი ევრო ჩაუწერეს. დაგვეთანხმებით, მცირე დროში, არც ისე პატარა პროგრესია.

ლოგიკურიც არის: როდესაც მოთამაშე ფულს არ ხარბდება და კარიერის ასაწყობად არა რუსეთ-უკრაინაში, არამედ, ევროპის სხვა ქვეყანაში მიდის, იქ ფეხბურთელს ზრდისა და თავის გამოჩენის მეტი შანსიც აქვს და მეტი პერსპექტივაც. რაც მთავარია, ხორვატიაში მატჩებს იმდენი ევროპელი მენეჯერი ესწრება, პატარა "გაფაფხურებაც" საკმარისი იქნება, რომ ილურიძე ბევრად უფრო ძლიერ და ცნობილ ლიგაში მოხვდეს. მთავარია, გიორგიმ ეს ხორვატული შანსი გამოიყენოს.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**



გიორგი ილურიძე (ბურთით)

# მასპინძლების დომინაცია


ზესტაფონი-დილა 2:0
თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

**ჩემპიონატის დაწყებიდან ასეთი რამ არ მომხდარა: მეხუთე ტურის ექვსი მატჩიდან ხუთი შეხვედრა მასპინძლების გამარჯვებით დამთავრდა და მხოლოდ ერთადერთ პაექრობაში („სიონი" - „ვიტ ჯორჯია") დაფიქსირდა საყაიმო შედეგი. არადა, წინა ოთხ ტურში, სულ მცირე, ერთი მატჩი მაინც მთავრდებოდა სტუმართა გამარჯვებით; თუმცა, როგორც ჩანს, ჩემპიონატში გამოცხადებული პაუზა ამ ტურის მასპინძლებმა უფრო ნაყოფიერად გამოიყენეს.**

## ახალი ლიდერ(ებ)ი

ამ ტურის წინ ერთპიროვნული ლიდერი საჩხერის „ჩიხურა" იყო, მაგრამ **სოსო ფრუიძის** გუნდის ნაგებამ სატურნირო ცხრილში გარკვეული გადაადგილებები გამოიწვია. რაც მთავარია, ჩემპიონატს ახალი ლიდერი ჰყავს: ქუთაისის „ტორპედომ" ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო და, ძალიან ბევრისთვის მოულოდნელად, ცხრილის სათავეშიც წამოსკუპდა! არ დაგვავიწყდეს, რომ **ჟერარდ სარაგოსას** გუნდს ერთი შეხვედრა „თადარიგში" აქვს (ხვალ, 17 სექტემბერს შინ უნდა ჩაატაროს „დილასთან" გადადებული მატჩი) და ისიც ალსანიშნავია, რომ სწორედ „ტორპედოა" უმაღლეს ლიგაში ერთადერთი დაუმარცხებელი გუნდი! გასულ ტურში ქუთაისელებმა კვლავაც მინიმალური სხვაობით იმარჯვეს: გამარჯვების მომტანი ერთადერთი გოლი 21 წლის **გიორგი კუხიანიძემ** გაიტანა. სხვათა შორის, ეს იყო **ჟერარდ სარაგოსას** (და საერთოდ, განახლებული „ტორპედოს") პირველი საშინაო გამარჯვება ახალ სეზონში: ქუთაისში ჩატარებულ სადებიუტო შეხვედრაში ესპანელი სპეციალისტის გუნდი უშანსოდ დამარცხდა (სლოვაკურ „ჟილინასთან" — ევროპალიგაზე), მერე კი „მეტალურგთან" ფრედ ითამაშა.

...„ტორპედო", „მერანი", „ჩიხურა", „ვიტ ჯორჯია", „მეტალურგი" — ჩემპიონატის დაწყებამდე ვინ იფიქრებდა, რომ 5 ტურის მერე პირველი ხუთეული ასეთი იქნებოდა?

## ისტორია გამეორდა!

V ტურის წინათქმაში აღვნიშნეთ, რომ წინა ჩემპიონატი „ჩიხურამ" ზედიზედ სამი მოგებით დაიწყო და სეზონში პირველი მატჩი მარტვილის „მერანთან" წააგო. ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა ამ სეზონშიც: „ჩიხურა" კვლავაც ერთპიროვნული ლიდერის რანგში ესტუმრა „მერანს" (ოღონდ — სამტრედიაში) და ტურის ყველაზე უხვგოლიან შეხვედრაში გამარჯვება **მალხაზ ჟვანიას** გუნდს დარჩა! ამ მოგებით კი „მერანმა"... მეორე ადგილზე გადაინაცვლა და ვფიქრობთ, სწორედ ეს ფაქტი უნდა იყოს („ტორპედოს" ერთპიროვნულ ლიდერობასთან ერთად) ახალი სეზონის ერთ-ერთი მთავარი მოულოდნელობა.

## დებიუტები, ლეგიონერები...

ჩემპიონატის პირველ ტურში, როცა „მერანმა" ცხინვალის „სპარტაკი" დაამარცხა (2:1), მარტვილელთა გუნდში მშვენიერი დებიუტი ჰქონდა **აკაკი შულაიას: 16 წლის** ფეხბურთელმა უმაღლეს ლიგაში თავის პირველსავე მატჩში გოლი გაიტანა! და აი, კიდევ ერთი შედეგიანი დებიუტი და კვლავაც მარტვილელთა გუნდში: 19 წლის **ბექა ციკოლია** უმაღლეს ლიგაში ასევე პირველ შეხვედრას ატარებდა და, შულაიას მსგავსად, მანაც გოლი გაიტანა! საერთოდაც, ამ ტურში სხვა რამდენიმე დებიუტიც შედგა: უმაღლეს ლიგაში პირველი მატჩი ჩაატარა „დილას" ახალწვეულმა, 19 წლის ფორვარდმა **გიორგი ქვილითაიამ** (შარშან, პირველ ლიგაში შესაშური შედეგიანობით რომ გამოირჩეოდა „სასკოს" შემადგენლობაში) და მისმა ახალმა თანაკლუბელმა, 22 წლის **ნიკა პილიევმა**, ამ უკანასკნელის მსგავსად, საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში დებიუტი ჰქონდა რუსეთის კიდევ ერთ მოქალაქეს: ცხინვალის „სპარტაკის" 23 წლის მეკარეს **სოსლან ნანიევს** „მეტალურგთან" გასვლით შეხვედრაში ურიგო შთაბეჭდილება ნამდვილად არ დაუტოვებია; როგორც მოსალოდნელი იყო, „ზუგდიდის" ეგვიპტელ ლეგიონერს, 30 წლის **მეგაჰედს** კიდევ ერთი თანამემამულე შეემატა: 31 წლის **ჰამზამ** საქართველოს ჩემპიონატში პირველი მატჩი ჩაატარა. ისე, რახან ლეგიონერები ვახსენეთ, რუმინელი **დორინ გოგაც** არ უნდა გამოგვრჩეს: თბილისის „დინამოს" 29 წლის შემტევმა საქართველოს ჩემპიონატში პირველი გოლი გაიტანა!

## კრიზისი დაძლეულია?..

ვერ ვიტყვით, რომ ჩემპიონატის მონაწილე გუნდების საერთო დონე გათანაბრდა თუ სხვა მიზეზია, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: სეზონის სტარტიდან მოყოლებული მხოლოდ სამი მატჩი დასრულდა დიდი ანგარიშით. შეგახსენებთ, რომ IV ტურში „დილამ" 3:0 მოუგო „მეტალურგს", ამავე ტურში და პირველ ტურში კი „ვიტ ჯორჯიამ" ორჯერ შეძლო ასეთივე ანგარიშით მეტოქეთა („გურია", „მერანი") დამარცხება. და აი, დიდი ანგარიშით მოგებული მეოთხე მატჩიც: ერთთვიანი პაუზის მერე თბილისის „დინამომ" გამარჯვების „გემო გაიხსენა" და „ზუგდიდს" 3:0 სძლია. **დუშან უჰრინმა** წინა ტურში „გურიასთან" წაგებული მატჩის შემდეგ რამდენიმე გადაადგილება მოახდინა: კარგა ხნის პაუზის მერე ვიხილეთ გამოცდილი **გიორგი შაშიაშვილი**, ასევე ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდნენ **გიორგი ლორია, ელგუჯა გრიგალაშვილი** და **ჯაბა დვალი.** ამ უკანასკნელმა ეფექტური დარტყმით გახსნა ანგარიში, 23 წლის **ელგუჯა გრიგალაშვილმა** „დინამოს" მაისურით ჩემპიონატში პირველი გოლი გაიტანა, რუმინელ დორინ გოგაზე კი ზემოთ ვისაუბრეთ. ამ გამარჯვებით „დინამომ" საგრძნობლად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა და ხვალ დანიშნულ გამოტოვებულ მატჩსაც („სპარტაკი") თუ მოიგებს, უფრო ზემოთაც გადაინაცვლებს. ისე, მკითხველს (და არა მხოლოდ მათ) გვინდა შევახსენოთ, რომ შარშან ამ დროისათვის „დინამოს" ოთხიდან ოთხი მოგება ჰქონდა!..


დორინ გოგას (№21) გოლი ზუგდიდელთა კარში
ფოტო: www.fcdinamo.ge

## ზესტაფონის ნავსი

ჩემპიონატში ერთადერთი დაუმარცხებელი გუნდილაა („ტორპედო"), ისე როგორც ერთადერთი „სპარტაკია", მოგებას ვინ ჩივის, ქულა რომ არ აულია; ამ ტურამდე ასევე არც ერთი მოგება არ ჰქონდა „ზესტაფონს", მაგრამ ჩემპიონატის სტარტიდან მოყოლებული არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ იმერულ კლუბს, როცა იქნებოდა, ეს წარუმატებელი სერია უნდა დაესრულებინა და ასეც მოხდა. თანაც, სერბმა სპეციალისტმა **რატკო დოსტანიჩმა** ჩემპიონატში პირველ გამარჯვებას ისეთ ძლიერ მეტოქესთან მიაღწია, როგორიც გორის „დილაა"!.. ალსანიშნავია, რომ წინა ორ ჩემპიონატში „ზესტაფონმა" ოთხივე საშინაო მატჩი წააგო „დილასთან" და აი, ნავსიც გატყდა და, რაც მთავარია, იმერულმა კლუბმა ჩემპიონატში პირველი შეხვედრაც მოიგო (თანაც, სრულიად დამსახურებულად!)

## ტურის მეგოლეები

„ზესტაფონი" - „დილას" შეხვედრაში „დუბლი შეასრულა მასპინძელთა ახალწვეულმა, 21 წლის **ირაკლი ქობალიამ.** ალსანიშნავია, რომ V ტურის მერე ერთდროულად ოთხი ფეხბურთელია დაწინაურებული ბომბარდირთა დავაში: უკვე ნახსენები ირაკლი ქობალია, **დიმიტრი ტატანაშვილი** („ჩიხურა"), **გრიგოლ დოლიძე** („დილა") და **ლადო ახალაია** („სიონი"). 31 წლის ახალაიამ გოლებს რომ მოუხშირა, „სიონის" ქომაგთათვის პატარა ამბავი არ უნდა იყოს; თუმცა, გასულ ტურში სხვა გამოცდილმა ფეხბურთელებმაც შეძლეს თავის გამოჩენა: 32 წლის **შოთა ბაბუნაშვილმა** („მერანი") და მისმა თანატოლმა **დავით ოდიკაძემ** („ჩიხურა"), 28 წლის **გიორგი მელქაძემ** („მერანი") სამწლიანი პაუზის მერე გაიტანა გოლი უმაღლეს ლიგაში, 24 წლის **ჯაბა ჯილაურმა** ახალი გუნდის („ჩიხურა") მაისურით პირველად გამოიჩინა თავი, 27 წლის **გიორგი ბერიაშვილი** რუსთავის „მეტალურგს" სამი წლის შემდეგ დაუბრუნდა და აი, პირველი გოლიც გაიტანა, შეცვლაზე შემოსული 21 წლის **ირაკლი ლიბრაძის** შორეულმა დარტყმამ კი (სეზონში პირველი გოლი) „ვიტ ჯორჯიას" ქულა მოუტანა!..

**გია ტუხაშვილი**

## V ტურის სიმბოლური ნაკრები




| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ტორპედო | 4 | 3 | 1 | 0 | 6 | 3 | 10 |
| 2 | ჩიხურა | 5 | 3 | 0 | 2 | 10 | 7 | 9 |
| 3 | მერანი | 5 | 3 | 0 | 2 | 7 | 7 | 9 |
| 4 | ვიტ ჯორჯია | 5 | 2 | 2 | 1 | 7 | 3 | 8 |
| 5 | მეტალურგი | 5 | 2 | 2 | 1 | 5 | 6 | 8 |
| 6 | დინამო (თბ) | 4 | 2 | 1 | 1 | 7 | 4 | 7 |
| 7 | სიონი | 5 | 2 | 1 | 2 | 7 | 5 | 7 |
| 8 | დილა | 4 | 2 | 1 | 1 | 6 | 4 | 7 |
| 9 | გურია | 5 | 2 | 0 | 3 | 3 | 7 | 6 |
| 10 | ზესტაფონი | 5 | 1 | 1 | 3 | 5 | 6 | 4 |
| 11 | ზუგდიდი | 5 | 1 | 1 | 3 | 3 | 9 | 4 |
| 12 | სპარტაკი | 4 | 0 | 0 | 4 | 1 | 6 | 0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| გ. დოლიძე (დილა) | 3 |
| დ. ტატანაშვილი (ჩიხურა) | 3 |
| ლ. ახალაია (სიონი) | 3 |
| ი. ქობალია (ზესტაფონი) | 3 |

### გამოტოვებული მატჩები

**17 სექტემბერი, სამშაბათი**

დინამო (თბ)-სპარტაკი
ტორპედო-დილა

### VI ტური

**21 სექტემბერი, შაბათი**

ჩიხურა-დილა
გურია-მეტალურგი
ზუგდიდი-ტორპედო
მერანი-სიონი
სპარტაკი-ზესტაფონი
ვიტ ჯორჯია-დინამო (თბ)

### დუბლების ჩემპიონატი

**V ტური**

| | |
|---|---|
| მერანი – ჩიხურა | 0:0 |
| სიონი – ვიტ ჯორჯია | 1:1 |
| მეტალურგი – სპარტაკი | 5:2 |
| ზესტაფონი – დილა | 1:1 |
| დინამო – ზუგდიდი | 3:2 |
| ტორპედო – გურია | 3:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო (თბ) | 5 | 5 | 0 | 0 | 16-6 | 15 |
| 2. მეტალურგი | 5 | 4 | 0 | 1 | 15-10 | 12 |
| 3. ზუგდიდი | 5 | 3 | 1 | 1 | 13-8 | 10 |
| 4. მერანი | 5 | 2 | 2 | 1 | 8-4 | 8 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 5 | 2 | 2 | 1 | 8-8 | 8 |
| 6. დილა | 5 | 2 | 1 | 2 | 11-12 | 7 |
| 7. სიონი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-8 | 7 |
| 8. ტორპედო | 5 | 2 | 0 | 3 | 12-9 | 6 |
| 9. ჩიხურა | 5 | 1 | 2 | 2 | 5-7 | 5 |
| 10. ზესტაფონი | 5 | 1 | 1 | 3 | 4-9 | 4 |
| 11. სპარტაკი | 5 | 1 | 0 | 4 | 5-12 | 3 |
| 12. გურია | 5 | 0 | 0 | 5 | 3-14 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

# ირაკლი ქობალია: ზესტაფონის ჩემპიონობა რეალურია

## როგორც ჩავიფიქრე, ისე გამოვიდა



ირაკლი ქობალიამ გორის დილასთან დუბლი გააკეთა

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

**„ზესტაფონმა“ სეზონი კარგად ვერ დაიწყო და ნავსი ეროვნული ჩემპიონატის მეხუთე ტურში გატეხა - გორის „დილა“ შინ 2:0 დაამარცხა, ორივე გოლი 21 წლის ირაკლი ქობალიამ გაიტანა.**

**ქობალია მანამდე „ზუგდიდის“ და „ბაიას“ ფეხბურთელი იყო, ახალგაზრდულის გარდა ეროვნულ ნაკრებშიც უთამაშია. აგრესიული, ტექნიკური, ლონიერი და ალღოიანი ფორვარდია, თავით თამაშიც ეხერხება. ერთი სიტყვით, ქობალია საქართველოს ჩემპიონატში ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშეა.**

**საერთოდ, დასავლეთ საქართველოდან წამოსულ ფეხბურთელებს თამაშის თავისებური სტილი აქვთ და ქობალიაც მასეთია, მას ბევრში გამოარჩევთ.**

**„ზესტაფონი“ - „დილას“ მატჩის გმირს რამდენიმე კითხვა დავუსვით...**

**- ყველაზე უფრო მაინც რის ხარჯზე მოახერხეთ გორის „დილას“ დამარცხება? რა აღმოჩნდა გადამწყვეტი ფაქტორი?**

- ამ დროისთვის „დილა“ საქართველოში ნომერ პირველ გუნდად მიმაჩნია, ეს ევროტურნირზეც გამოჩნდა. ძალიან მონდომებულები ვიყავით, ამ მატჩისთვის მთელი კვირა ვემზადებოდით, სულ ამ შეხვედრაზე ვფიქრობდით. საბოლოოდ, ისეთი თამაში გამოვიდა, რომ დიდი ანგარიშითაც შეიძლებოდა მოგება, ისიც იყო შესაძლებელი, შეხვედრა ფრედ დასრულებულიყო.

**- პირველი გოლი თავურით გაიტანე, მეორე კი საჯარიმო დარტყმით, რაც ერთობ ეფექტურად გამოგივიდა - წინასწარ იყო დაგეგმილი, რომ მოედნის იმ მონაკვეთიდან ჯარიმას შენ დაარტყამდი?**

- ჯარიმის შესრულების 3-4 ვარიანტი გვქონდა, ერთ-ერთი ვარიანტის მიხედვით ჯარიმა მე უნდა დამერტყა. იმ კონკრეტულ სიტუაციაში გულმა მიკარნახა, რომ დარტყმა მე უნდა შემესრულებინა და ბურთიც შევაგდე. ჯარიმის დარტყმაზე სპეციალურად ვვარჯიშობ, როცა მეკარის კუთხეში ვარტყამ, გათვლა დარტყმის სიძლიერეზე კეთდება, „დილასთანაც“ ყველაფერი ისე გამომივიდა, როგორც ჩაფიქრებული მქონდა.

**- ამ სეზონში „ზესტაფონის“ ცუდი სტარტი რისი ბრალი უნდა იყოს? ჩემპიონატის პირველ ოთხ შეხვედრაში ერთიც ვერ მოიგეთ...**

- გუნდში 7-8 ახალი ფეხბურთელი მივედით, მათ შორის ლეგიონერებიც. ახალი გუნდის ასაწყობად ერთი-ორი თვე არ არის საკმარისი. ფეხბურთელები ნელ-ნელა ვეწყობით ერთმანეთს.

**- ამ სეზონში კონკრეტული მიზანი აქვს „ზესტაფონს“?**

- ჩემპიონობა გვინდა და ეს არარეალური ნამდვილად არ არის. სამ-ოთხ საუკეთესო გუნდში უეჭველად უნდა მოვხვდეთ. აუცილებლად უნდა აღვნიშნო ის, რომ მაყურებელი ძალიან დიდ როლს თამაშობს. „დილასთან“ შეხვედრაში ყველანი ერთად დავდექით და ერთიანი ძალებით მოვახერხეთ ძლიერი მოწინააღმდეგის დამარცხება. თუ კვლავაც ერთმანეთის გვერდში ვიდგებით, ეს ძალიან დაგვეხმარება. დიდი მადლობა გულშემატკივრებს „დილასთან“ ასეთი მხარდაჭერისთვის.

**- მიმდინარე ჩემპიონატში სამი გოლი მიითვალე, პირველ ტურში „დინამოსთან“ გაიტანე გამთანაბრებელი, თუმცა მატჩის ბოლოს ისევ გაუშვით გოლი და დამარცხდით, არადა, იმ შეხვედრაში „ზესტაფონს“ ურიგოდ არ უთამაშია და ზოგმა ის მარცხი ზესტაფონელთა დაღლილობას დააბრალა...**

- სეზონისთვის მზადება გვიან დავიწყეთ, შეკრებიდან ახალი დაბრუნებულები ვიყავით და ალბათ ის ჯანი არ გვქონდა, რაც აუცილებელი იყო, პატარ-პატარა რალაცებმა შეგვიშალეს ხელი და წავაგეთ. ასი პროცენტით ვიხარჯებით ყველა შეხვედრაში, მაგრამ ყველა მატჩს ერთნაირად ვერ ითამაშებ, „დინამოსთან“ შეხვედრის ბოლოს ალბათ ცოტა მოვდუნდით კიდეც...

**- ეროვნულ ნაკრებში ერთხელ ითამაშე, ეგვიპტესთან ამხანაგურ შეხვედრაში შეცვლაზე შეხვედი, მერე კი აღარ გამოჩენილხარ არც ეროვნულ და არც ახალგაზრდულში, თუმცა 21-წლამდელების დამრიგებელმა ალექსანდრე ჩივაძემ გვითხრა, ქობალიასი კვლავაც მეიმედებაო...**

- პოლონურ „იაგელონიაში“ ვიყავი გასინჯვაზე, მაგრამ უთამაშებლობამ და არასათანადო მომზადებამ თავისი გაიტანა, ამას დაემატა ტრავმა, ისე მოხდა, რომ ექვსი თვე კარგად ვერ ვემზადებოდი. პრეტენზიები არავის მიმართ არ მაქვს, ახლაღა დავიწყე ნორმალურად ვარჯიში და თამაში. როცა ოპტიმალურ ფორმაში შევალ, იმედი მაქვს, რომ ნაკრების მწვრთნელები ისევ დაინტერესდებიან ჩემით.

**- ამ ეტაპზე უცხოეთში წასვლაზე აღარ ფიქრობ?**

- „ზესტაფონთან“ სამწლიანი კონტრაქტი გავაფორმე, საქართველოში ყოფნას რა ჯობია, მაგრამ ახალგაზრდა ფეხბურთელის წინსვლისთვის საჭიროა, რომ ევროპაში წავიდეს ფეხბურთის სათამაშოდ. ჯერ „ზესტაფონის“ ფეხბურთელი ვარ, საქართველოს ორგზის ჩემპიონ გუნდში მოვხვდი, სადაც სამაგალითო ფეხბურთელები თამაშობენ და მეც ყველაფერს გავაკეთებ „ზესტაფონისთვის“.

დავით თავართქილაძე

ლეგიონის უქმეები

# ქართული სპექტაკლი პოლონეთში

## დვალიშვილის ჰეთთრიკი - ყველაზე კარგი პასუხი კრიტიკოსებს

**ამ უქმეების მთავარი მოვლენა ჩვენთვის ლადო დვალიშვილის ჰეთთრიკია პოლონურ „ლეგიაში“, თუმცა მხოლოდ ეს არ იყო საინტერესო ქართულ ლეგიონში.**

### პირველი ჰეთთრიკი 4 წლის მერე

27 წლის **ლადო დვალიშვილმა** ამ უქმეებზე პოლონეთის პირველობაზე „იფეთქა“ - „ლეგიას“ ფორვარდმა ლომის წილი დაიდო სტუმრად აუტსაიდერი კიელცეს „კორონას“ ძლევაში - 5:3. მან ჰეთთრიკი შეასრულა!

ლადომ გოლები „კორონას“ კარში 25-ე, 47-ე და 69-ე წუთებზე გაიტანა. „ლეგია“ 15 ქულით პოლონური ექსტრაკლასას ლიდერია. ქართველ ფორვარდს 6 მატჩში 5 გოლი დაუგროვდა. 5 გოლით ის პოლონეთის ჩემპიონატის ბომბარდირთა დავაში თანალიდერია ვიძეველ ლატვიელ **ედუარდს ვიშნიაკოვსთან** ერთად.

ბოლოს სამი და მეტი გოლი ჩვენმა თანამემამულემ 2009 წელს გაიტანა. მაშინ ის ლატვიურ „სკონტოში“ თამაშობდა და მისმა გუნდმა სტუმრად 8:1 იმარჯვა „ოლიმპსთან“. მაშინ დვალიშვილმა პოკერი შეასრულა. აღსანიშნავია, რომ დვალიშვილი სანაკრებო პაუზის მერე გამოცხადდა „ლეგიაში“. აი, ეროვნულ გუნდში კი მას 2009 წლის 10 ოქტომბრის მერე (მაშინ ჩერნოგორიას გაუტანა) სამწუხარო „მშრალი“ სერია აქვს.

მატჩის შემდეგ ქართველმა ლეგიონერმა შემდეგი განუცხადა პოლონურ მედიას: „დღეს ჰეთთრიკი შევასრულე და ბედნიერი ვარ. არასოდეს განვიცდი ფსიქოლოგიურ ზეწოლას, გავდივარ მინდორზე ვთამაშობ რაც შემიძლია. არ ვუსმენ უსაფუძვლო კრიტიკას, სამაგიეროდ, ბევრს ვვარჯიშობ, რომ უკეთ ვითამაშო. დღეს ყველაფერი გამომივიდა, ხვალ შეიძლება არ გამიმართლოს - ასეთია ფეხბურთი. მე შევეცდები, მუდამ ფორმაში ვიყო“.

აქვე მოკლე მიმოხილვასაც გთავაზობთ პოლონური გამოცემების. „გიჟური თამაში კიელცეში 8 გოლით, რომლის გმირიც უდავოდ ქართველი ლეგიონერი ვლადიმერ დვალიშვილი იყო“, - წერს „ონ 24“. „ქართველს ბოლო ხანებში მკაცრად აკრიტიკებდნენ პრესაში, თუმცა ახლა მან კრიტიკას სამი გოლით უპასუხა“ - „ფაქტი“. „საფეხბურთო სპექტაკლი ქართველმა ვლადიმერ დვალიშვილმა მოაწყო“ - „გაზეტა ვიბორჩა.



ალექსანდრე ამისულაშვილმა ყოფილი გუნდის წინააღმდეგ ითამაშა

პოლონეთში კიდევ ერთი „ქართული“ გუნდია - თუმცა „იაგელონიას“ **გიორგი ფოფხაძეს** და **ნიკა ძალამიძეს** „რუხის“ წინააღმდეგ არ უთამაშიათ.

### კობის ველით, ყენია ვნახეთ, ლუკას დებიუტი

სამწუხაროდ, ამ სეზონში ჯერ ქართველ ფეხბურთელს არ უთამაშია მოწინავე ხუთი პირველობიდან რომელიმეში - ამის შანსი მხოლოდ **ლევან კობიაშვილს** აქვს, „ჰერტა“-„შტუტგარტის“ (0:1) შეხვედრაში ოდენ სათადარიგო იყო. ხუთი ტურიდან ჩვენი ვეტერანი ლეგიონერი მეორედ მოხვდა მატჩის განაცხადში, მაგრამ ეს ვერ იქნება დიდი შელავათი.

მეორე ბუნდესლიგაში მოულოდნელად ითამაშა **ლევან ყენიამ** (ტრავმირებული იყო), ის 77-ე წუთზე გამოჩნდა „ფორტუნა“-„დინამო“ დრეზდენის მატჩში (1:1). „ფორტუნა“ 8 ქულით საშიშ სიახლოვესაა გასავარდნ ზონასთან.

სხვათა შორის, ითამაშა III ბუნდესლიგის „უნტერჰახინგის“ ნახევარმცველმა **ლუკა ჰუფნაგელმა** - 19 წლის ქართველმა 90 წუთი გაატარა „მიუნსტერთან“ სტუმრად 3:2 მოგებულ შეხვედრაში. ლუკამ ამ სეზონში პირველად იასპარეზა ჩემპიონატში.

### მჭედლიძე გამოჯანმრთელდა

სერია B-ში **ლევან მჭედლიძისა** და **ირაკლი შეყილაძის** „ემპოლი“ 10 ქულით ერთპიროვნული ლიდერია - ამ გუნდმა სტუმრად 2:0 დაამარცხა „კარპი“. ლევან მჭედლიძემ 69-ე წუთზე მასიმო მაკარონე შეცვალა, ხოლო შეყილაძე სათადარიგო იყო. უნდა აღინიშნოს, რომ 23 წლის ფორვარდმა მცირე ტრავმა მალევე მოირჩინა, რის გამოც მან სანაკრებო მატჩები გამოტოვა საფრანგეთისა და ფინეთის ნაკრებების წინააღმდეგ. ამ სეზონში ლევანი სულ მეორედ გამოჩნდა „ემპოლის“ შემადგენლობაში.

### წვიმა, ხანძარი, დისკვალიფიკაცია

ამ უქმეებზე ბუნებამ არ მისცა „ვიტესში“ მოთამაშე ქართველებს (**გიორგი ჭანტურია** ისედაც დისკვალიფიცირებულია) თამაშის საშუალება. გადაუღებელმა წვიმამ „დენ ჰააგის“ სტადიონის სადრენაჟო სისტემა გამოიყვანა მწყობრიდან, ასევე ადგილი ჰქონდა ცრუ სახანძრო განგაშს, სტადიონზე მისულმა მეხანძრეებმა საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინეს: „დენ ჰააგი“-„ვიტესი“ გაურკვეველი ვადით გადაიდო.

### ჯიქიას და მახარაძის გოლები, ხიზანიშვილის ტრავმა

**ჯანო ანანიძის** „როსტოვმა“ წაგებებს მოუხშირა - ამჯერად გუნდი სტუმრად ცსკა-სთან 0:1 დამარცხდა, ჯანო კი 82-ე წუთზე შეცვალეს. **ალექსანდრე ამისულაშვილი** ყოფილ გუნდს ეთამაშა - „კრილია სოვეტოვი“ „კრასნოდარს“ ეწვია და 1:1 დაუზავდა. ქართველმა მცველმა 90 წუთი ითამაშა. „ტომთან“ თამაშში „ანჟის“ რიგებში დებიუტი ჰქონდა **გია გრიგალავას** - ის ბოლო წუთზე გამოჩნდა მოედანზე. **საბა კვირკველია** სათადარიგო იყო „ამკარი“-„რუბინის“ დაპირისპირებაში. „ჩემპიონატმა“ ამისულაშვილის თამაში 6,5 ბალით შეაფასა, ანანიძის - 5,5-ით.

უკრაინის ჩემპიონატის მე-9 ტურში **დავით თარგამაძის** (სათადარიგო) და **თორნიკე ოქრიაშვილის** (90 წუთი უკანდახეული ფორვარდის პოზიციაზე) „ილიჩივეცმა“ 1:0 მოუგო **ჯაბა ლიპარტიას** (54-ე წუთზე გამოვიდა, გაფრთხილება) „ზორიას“. **მათე ღვინიანიძემ** 90 წუთი ითამაშა „ვორსკლა“-„სევასტოპოლის“ (2:2) დაპირისპირებაში. სტუმართა რიგებში ჩემპიონატში უკვე მესამედ გამოჩნდა ქართველი მცველი.

„დნიპროს“ სასტარტოში ორივე ქართველი იყო „ტავრიასთან“ 1:0 დასრულებულ შეხვედრაში. **ალექსანდრე კობახიძე** შესვენებაზე შეცვალეს, **ჯაბა კანკავა** (გაფრთხილება) კი ბოლომდე მოედანზე დარჩა.

სხვა პირველობებიდან აღვნიშნავთ, რომ „ქაისერის“ შემადგენლობაში („გენჩლერბირლიგისთან“ მატჩში) უკვე მე-20 წუთზე ტრავმის გამო შეცვალეს **ზურაბ ხიზანიშვილი**. ერთი გოლი გაიტანა **შოთა ჯიქიამ** სომხეთის ჩემპიონატში. ქართველის „განძასარმა“ არასაფეხბურთო ანგარიშით, 9:2 დაამარცხა „ალაშკერტი“. 28 წლის ფორვარდმა ანგარიში 4:1 გახადა. **კახა მახარაძემ** კი „ყიზილყუმთან“ თამაშში მოაგებინა უზბეკური ფეხბურთის ფლაგმან „ფახთაქორს“, რომელიც დღეისათვის მე-4 ადგილზეა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ესპანეთი. ლა ლიგა. IV ტური

# გრანდების გასაჭირი

## ბეილის სადებიუტო გოლი და ბარსას საეჭვო სამი ქულა

**ლა ლიგის მე-4 ტურის ყველაზე საინტერესო მატჩები შაბათს გაიმართა. მოგეხსენებათ, ხვალ სტარტს ჩემპიონთა ლიგის მორიგი გათამაშება აიღებს და ამის გამო, ამ ტურნირში მონაწილე ესპანურმა გუნდებმა ერთი ზედმეტი დასვენების დღე მიიღეს.**

### ბარსელონას გაუმართლა

„ბარსელონამ" შარშანდელი სეზონის მსგავსად „სევილიას" ბოლო წამებზე მოუგო. შეგახსენებთ, რომ წინა სეზონში, „სანჩეს პისხუანზე" ანდალუსიელები „ბარსას" 89-ე წუთისთვის 2:1-ს უგებდნენ, მაგრამ მაინც დამარცხდნენ. ამჯერად, **უნაი ემერის** გუნდმა წონასწორობა 90-ე წუთზე აღადგინა და დამატებული სამი წუთის განმავლობაში კინალამ კიდევ გაიტანა - **მარკო მარინის** დარტყმა **ვიქტორ ვალდესის** კარს სანტიმეტრებით ასცდა. საბოლოოდ, სტუმრებმა კატალონიის დედაქალაქიდან ქულაც ვერ წაიღეს, რადგან „ბარსელონას" ჰყავს **ლიონელ მესი**. არგენტინელმა ბურთი საჯარიმოს გარეთ მიიღო, დრიბლინგით რამდენიმე ფეხბურთელს ჩაუქროლა და კარის გასწვრივ ჩააწოდა, სადაც **ხავი ვარასის** მოგერიებული პირდაპირ **ალექსის სანჩესს** მიუვიდა, რომელმაც ზუსტად დაარტყა და საკუთარ კლუბს მე-4 გამარჯვება მოუტანა.

მატჩის შემდეგ „სევილიას" ფეხბურთელები **სესარ მუნის ფერნანდესის** გარჯით უკმაყოფილონი იყვნენ. სტუმართა აზრით, მესამე გოლის მომენტში მესიმ წესები დაარღვია და **ალბერტო მორენოს** ეუხეშა. გარდა ამისა, მაშინ, როდესაც ანგარიში 1:0 იყო, მუნის ფერნანდესმა მასპინძელთა კარში წესების სრული დაცვით გატანილი ბურთი არ ჩათვალა.

*„ყველამ დაინახა, რომ დღეს ჩვენ გაგვქურდეს. ძალიან გაბრაზებულები ვართ. მეტს არაფერს ვიტყვი, რადგან იმის გამო რისი თქმაც მსურს, შესაძლოა დისკვალიფიკაცია მივიღო,"* - განაცხადა მატჩის შემდეგ „ბარსელონას" ყოფილმა და „სევილიას" ამჟამინდელმა მცველმა **ფერნანდო ნავარომ**.

ზოგადად, „სევილიას" ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებია და მიუხედავად იმისა, რომ „კამპ ნოუზე" ორბურთიანი სხვაობით ჩამორჩა, არ დანებდა და ბოლომდე იბრძოლა. ანგარიში ბრაზილიური კომბინაციის შემდეგ გაიხსნა - ცვლილებაზე შემოსულმა **ადრიანო კორეიამ** საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც ბურთი **დანი ალვეშს** მიუვიდა და მარჯვენა მცველმა ყოფილ გუნდს თავური დარტყმით გაუტანა.

მეორე ნახევარში უნაი ემერის შეგირდებმა თამაშის გადარჩენა სცადეს და მორიგი კუთხურის შემდეგ **კალამ** გოლიც გაიტანა, რომელიც მუნის ფერნანდესმა გაუგებარი მიზეზის გამო არ ჩათვალა. შეხვედრის 75-ე წუთზე კი **ნეიმარის** და მესის კომბინაცია ამ უკანასკნელის გოლით დასრულდა - 2:0. თითქოს, აქ ყველაფერი უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ „სევილიამ" გაიბრძოლა და ხუთ წუთში **რაკიტიჩმა** სხვაობა შეამცირა. შეხვედრის ბოლო წუთებზე განვითარებულ მოვლენებზე კი მიმოხილვის დასაწყისშიც ვისაუბრეთ.

„ბარსელონამ" ჩემპიონატში ზედიზედ მეოთხე გამარჯვება მოიპოვა და მთავარ კონკურენტ მადრიდის „რეალს" 2 ქულით გაასწრო.

### რეალმა პირველი ქულები დაკარგა

„ელ მადრიგალზე" გამართულ შეხვედრაში მასპინძლებმა უკეთესი შთაბეჭდილება დატოვეს და მოგებასთანაც „ვილიარეალი" უფრო ახლოს იყო, ვიდრე მადრიდული გრანდი, რომლის რიგებშიც დებიუტი ჰქონდათ **გარეთ ბეილს და ასიერ ილიარამენდის**.

„რეალს" ორივე მარცხენა მცველი, **მარსელო** და **ფაბიო კოენტრაო** ტრავმირებული ჰყავდა. შედეგად, ძირითადში მოხვდა ახალგაზრდა **ნაჩო**, რომელიც მასპინძელთა შემტევებმა გაანამეს. იმის გამო, რომ „ვილიარეალი" ძირითადად მისი ფლანგიდან უტევდა, საპირისპირო ფრთაზე, **დანი კარვახალს** შეტევაში ჩართვის მეტი საშუალება ჰქონდა. ერთ-ერთი ასეთი ჩართვის შემდეგ, 21 წლის ფეხბურთელმა კარის გასწვრივ ჩააწოდა, სადაც ყველას გარეთ ბეილმა აჯობა და პრიმერაში თავისი პირველი გოლი გაიტანა.



გარეთ ბეილმა პრიმერაში დებიუტი გოლით აღნიშნა

თავი გამოიჩინა **კრიშტიანო რონალდომაც**, ვისი დარტყმულიც, რამდენიმე რიკოშეტის შემდეგ, წაქცეულმა **სერხიო ასენხომ** ფეხით საკუთარ კარში გაიტანა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გოლი სწორედ პორტუგალიელს ჩაუთვალეს.

მასპინძელთა რიგებში კი აშკარად გამორჩეული ფიგურა იყო **კანი**. 32 წლის ნახევარმცველმა ჯერ ანგარიში გახსნა, შემდეგ კი **ჯოვანი დოს სანტოსის** გოლშიც დიდი წვლილი დაიდო - ვეტერანის დარტყმა **დიეგო ლოპესმა** უხერხულად მოიგერია, დამატებაზე კი ყველას მექსიკელმა აჯობა და ანგარიში გაათანაბრა.

როგორც აღვნიშნეთ, შეხვედრის მოგების უკეთესი შანსი „ყვითელ წყალქვეშა ნავს" ჰქონდა. ანგარიშის გათანაბრების შემდეგ, ყველაზე რეალური მომენტი იმავე კანის შეექმნა, მაგრამ დიეგო ლოპესმა საოცარი რეაქცია გამოავლინა და დედაქალაქელები მარცხისგან იხსნა.

შეხვედრის შემდეგ საკუთარი კიპერი **კარლო ანჩელოტიმაც** შეაქო და **იკერ კასილიასის** ძირითადში დაბრუნებაზეც ისაუბრა: *„დიეგო ლოპესმა დღეს შესანიშნავად ითამაშა. მიუხედავად ამისა, ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში გუნდის კარს იკერი დაიცავს. ზოგადად, უფრო ყურადღებით რომ გვეთამაშა მოგებაც შეგვეძლო, მაგრამ ფრე სამართლიანი შედეგია".*

იტალიელი ახალწვეულებითაც კმაყოფილი დარჩა: *„ორივემ საკმაოდ კარგად ითამაშა. იმის გამო, რომ ეს მათი პირველი მატჩი იყო, თავიდანვე გადაწყვეტილი გვქონდა, რომ 60 წუთზე მეტს არ ითამაშებდნენ,"* - განაცხადა ანჩელოტიმ.

### შთამბეჭდავი ატლეტიკო

მადრიდის „ატლეტიკომ" მორიგი შესანიშნავი მატჩი ჩაატარა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ამ სეზონში სერიოზული მიზნები აქვს. **დიეგო სიმეონეს** შეგირდებმა „ალმერიას" უპრობლემოდ მოუგეს და რომ არა შეხვედრის ბოლო წამებზე გაშვებული ბურთი, „როხიბლანკო" ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი იქნებოდა.

მასპინძელთა რიგებში საუკეთესო იყო **დიეგო კოშტა**, რომელმაც გოლი პენალტით კი გაიტანა, მაგრამ ბრაზილიელი მთელი შეხვედრის განმავლობაში შეუჩერებელი იყო და რომ არა უილბლობა, მინიმუმ დუბლს მაინც შეასრულებდა. თავი გამოიჩინა **რაულ გარსიამაც**, ვის ანგარიშზე უკვე სამი გოლია.

აღვნიშნოთ ისიც, რომ თავისი დებიუტანტი „ატლეტიკოსაც" გამოერია - „დანუბიოდან" გადმოსულმა, 18 წლის **ხოსე ხიმენესმა** პრიმერაში პირველი მატჩი ჩაატარა და მიუხედავად იმისა, რომ მისმა გუნდმა ორი გოლი გაუშვა, მაინც საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ხიმენესს მართლაც საოცარი კვირა ჰქონდა: რამდენიმე დღის წინ თინეიჯერმა სადებიუტო შეხვედრა ურუგვაის ნაკრებშიც ჩაატარა, როდესაც კოლუმბიასთან მოგებულ შეხვედრაში (2:0) მინდორზე 90 წუთი დაყო.

### ანდალუსიელთა ზეობა

„მალაგამ" და „ბეტისმა" პირველი გამარჯვებები მოიპოვეს. **ბერნდ შუსტერის** გუნდმა „რაიო ვალეკანოს" უმასპინძლა და მადრიდელი მეტოქე მიწასთან გაასწორა. ძალიან კარგად ითამაშა **მუნირ ელ ჰამდაიუმ**, რომელმაც გარდა იმისა რომ ჰეთთრიქი შეასრულა, ერთი საგოლე პასიც გააკეთა. „რაიო ვალეკანომ" კი ზედიზედ მესამე მატჩი წააგო და ამ სამ შეხვედრაში საკუთარ კარში 12 გოლი გაუშვა.

„ბეტისმა" კი „ვალენსიას" მოუგო. მატჩი გმირის სტატუსი **ხორხე მოლინამ** და **სალვა სევილიამ** გაინაწილეს. პირველმა გოლს საგოლე პასი დაუმატა, სევილიამ კი დუბლი შეასრულა და სტუმრებს თამაშის გადარჩენის შანსი უკვე 34-ე წუთისთვის მოუსპო. „ლამურებმა" ჩემპიონატში მესამე მარცხი განიცადეს და ახლა, **მიროსლავ ჯუკიჩის** გუნდი მისთვის სამარცხვინო მე-15 ადგილზეა.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

## ატლეტიკო-ალმერია 4:2

**გოლები:** 1:0 ვილია (15), 2:0 დიეგო კოშტა (37-პენ), 2:1 როდრი (40), 3:1 ტიაგო (64), 4:1 რაულ გარსია (67), 4:2 ალექს ვიდალი (90)

**ატლეტიკო** (4-2-2-2): კურტუა - ხუანფრანი, ხ. ხიმენესი, გოდინი, ფილიპე ლუიში - გაბი, ტიაგო - რაულ გარსია (72. ადრიანი), კოკე (70. ოლივერ ტორესი) - დიეგო კოშტა, ვილია (66. არდა თურანი)

**ალმერია** (4-3-2-1): ესტებანი - რაფიტა, პელერანო (46. მ. სილვა), ანხელ ტრუხილიო, კ. ფერნანდესი - ტებარი (64. კორონა) ვერსა, სორიანო (68. ელდერ ბარბოსა) - ალექს ვიდალი, სუსო - როდრი

**გაფრთხილება:** რაულ გარსია, ფილიპე ლუიში - პელერანო, ანხელ ტრუხილიო, ტებარი, სუსო

**კუთხური:** 8-1; **ჯარიმა:** 15-17; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 20-7 (8-2); **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**მაყურებელი:** 42 000

## ლევანტე-სოსიედადი 0:0

**ლევანტე** (4-3-2-1): კ. ნავასი - ვინტრა, ექტორ როდასი, დ. ნავარო, ხუანფრანი - ელ ადუა (46. ბ. დიავარა - 79. ნონგი)), პ. დიოპი, სერჟიუ პინტუ - ჩუმეტრა, პედრო რიოსი - დავიდ ბარალი (46. ივანშიტცი)

**სოსიედადი** (4-2-3-1): ბრავო - დანი ესტრადა, მ. გონსალესი, ი. მარტინესი, დე ლა ბელა - ელუსტონდო, სურუტუსა - ჩაბი პრიეტო, გრანერო (89. რუბენ პარდო), გრიზმანი (66. სეფეროვიჩი) - ველა (86. გ. კასტრო)

**გაფრთხილება:** ვინტრა, ექტორ როდასი, სერჟიუ პინტუ - მ. გონსალესი

**კუთხური:** 5-1; **ჯარიმა:** 16-12; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 13-13 (5-3); **ბურთის ფლობა:** 39%-61%

**მაყურებელი:** 14 122

## ბარსელონა-სევილია 3:2

**გოლები:** 1:0 დანი ალვეში (36), 2:0 მესი (75), 2:1 რაკიტიჩი (80), 2:2 კოკე (90), 3:2 ა. სანჩესი (90+4)

**ბარსელონა** (4-3-3): ვალდესი - დანი ალვეში, პიკე, მასკერანო, ალბა (15. ადრიანო) - ბუსკეტსი, ჩავი, ინიესტა (74. ფაბრეგასი) - ტელიო (63. ა. სანჩესი), მესი, ნეიმარი

**სევილია** (4-4-1-1): ბეტუ - კოკე, კალა, ფ. ნავარო, ა. მორენო - ხაირო სამპერიო (84. რაბელიო), მბია (58. ტროხოვსკი), კრისტოფორო (69. მარინი), ვიტოლო - რაკიტიჩი - გამეირო

**გაფრთხილება:** ადრიანო - კოკე, კალა, მბია, ვიტოლო, ხაირო სამპერიო

**კუთხური:** 6-9; **ჯარიმა:** 12-17; **თამაშგარე:** 0-0; **კარში დარტყმა:** 19-7 (10-2); **ბურთის ფლობა:** 66%-34%

**მაყურებელი:** 76 765

## ვილიარეალი-რეალი 2:2

**გოლები:** 1:0 კანი (21), 1:1 ბეილი (39), 1:2 კრიშტიანო რონალდო (64), 2:2 ჯოვანი დოს სანტოსი (70)

**ვილიარეალი** (4-4-2): ასენხო - მარიო, მუსაჩიო, დორადო, ხაუმე კოსტა - ხ. აკინო, ტრიგეროსი (71. პინა), ბრუნო, კანი - ჯოვანი დოს სანტოსი (75. ე. პერესი), ხ. პერეირა (65. ი. უჩე)

**რეალი** (4-2-3-1): დიეგო ლოპესი - დანი კარვახალი, პეპე, სერხიო რამოსი, ნაჩო - მოდრიჩი, ილიარამენდი (62. ხედირა) - ბეილი (62. დი მარია), ისკო, კრიშტიანო რონალდო - ბენზემა (73. მორატა)

**გაფრთხილება:** ხ. აკინო, პინა - ნაჩო, სერხიო რამოსი, მორატა

**კუთხური:** 10-3; **ჯარიმა:** 14-13; **თამაშგარე:** 6-5; **კარში დარტყმა:** 19-20 (9-6); **ბურთის ფლობა:** 42%-58%

**მაყურებელი:** 23 852

## გრანადა-ესპანიოლი 0:1

**გოლი:** 0:1 ლანსაროტი (76)

**გრანადა** (4-2-3-1): რობერტო - ნიომი, დიახატე (46. მაინსი), მურილიო, ანგულო - რესიო, ფრან რიკო - მ. პერეირა, ბუონანოტე, დანი ბენიტესი (82. იგალო) - რიკი (80. ელ-არაბი)

**ესპანიოლი** (4-4-1-1): კასილია - ხავი ლოპესი, კოლოტო, რაულ როდრიგესი, ხუან ფუენტესი - სიმაო (80. ალექსი), დავიდ ლოპესი, ვიქტორ სანჩესი, ლანსაროტი - აბრაამი (56. სტუანი) - სერხიო გარსია (59. ტიევი)

**გაფრთხილება:** დიახატე, ნიომი, იგალო - ლანსაროტი, ხავი ფუენტესი, ხავი ლოპესი

**გაძევება:** იგალო (82. გრანადა)

**კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 17-16; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 9-7 (1-3); **ბურთის ფლობა:** 54%-46%

**მაყურებელი:** 13 358

## ხეტაფე-ოსასუნა 2:1

**გოლები:** 0:1 რობერტო ტორესი (11), 1:1 მიკუ (35), 2:1 მიკუ (52)

**ხეტაფე** (4-2-3-1): მოია - ვალერო, ლისანდრო ლოპესი, ალექსისი, სერხიო ესკუდერო - მიჩელი, მოსკერა (87. ბორხა) - პედრო ლეონი, ლაფიტა (72. პაბლო სარაბია), დიეგო კასტრო - მიკუ (77. კოლუნგა)

**ოსასუნა** (4-2-3-1): ანდრეს ფერნანდესი - დამია, არიბასი, ლოტიე (78. ლოლო), ოიერი - პუნიალი (69. მანუელი), ფ. სილვა - სეხუდო (46. სისი), რობერტო ტორესი, ე. არმენტეროსი - ორიოლ რიერა

**გაფრთხილება:** პაბლო სარაბია, სერხიო ესკუდერო - ფ. სილვა, პუნიალი, არიბასი, ორიოლ რიერა

**კუთხური:** 7-2; **ჯარიმა:** 12-15; **თამაშგარე:** 7-2; **კარში დარტყმა:** 12-9 (5-5); **ბურთის ფლობა:** 45%-55%

**მაყურებელი:** 8 000

## მალაგა-ვალეკანო 5:0

**გოლები:** 1:0 ელ ჰამდაუი (31), 2:0 პორტილიო (40), 3:0 ელიზეუ (49), 4:0 ელ ჰამდაუი (62), 5:0 ელ ჰამდაუი (67)

**მალაგა** (4-5-1): კაბალიერო - ხესუს გამესი, სერხიო სანჩესი, ანხელერი, ანტუნეში - პ. მორალესი (72. ოლინგა), პორტილიო, ტისონე (79. ი. კამაჩო), სერხი დარდერი, ელიზეუ - ელ ჰამდაუი (81. სამუ)

**ვალეკანო** (4-4-1-1): რუბენი - ტიტო, გალვესი, გალეანო (46. არბილია), ნაჩო მარტინესი - სება ფერნანდესი (69. მოხიკა), ტრაშორასი, საულ ნიგესი, ვიერა - ა. ბუენო (52. ადრი ემბარბა) - ლარივეი

**გაფრთხილება:** ელიზეუ, ანტუნეში - გალეანო, არბილია

**კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 13-16; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 17-12 (9-2); **ბურთის ფლობა:** 49%-51%

**მაყურებელი:** 22 317

## ბეტისი-ვალენსია 3:1

**გოლები:** 1:0 ხორხე მოლინა (9), 2:0 სალვა სევილია (22), 3:0 სალვა სევილია (34), 3:1 რ. კოშტა (67)

**ბეტისი** (4-3-2-1): სარა - ჩიკა, პაულაო, ამაია, ნაჩო - ხავი ტორესი, სალვა სევილია (84. იგიებორი), მატილია - ხუანფრანი (73. ლ. რეიესი), ვადილიო (62. სედრიკ მაბვატი) - ხორხე მოლინა

**ვალენსია** (4-3-2-1): დიეგო ალვეში - ჟოაო პერეირა, მატიო, რ. კოშტა, ხუან ბერნატი - პარეხო (65. ფეგული), ბანეგა, რომეუ - ჟონასი (74. კანალესი), პაბონი - ელდერ პოშტიგა

**გაფრთხილება:** - პარეხო

**კუთხური:** 7-13; **ჯარიმა:** 15-3; **თამაშგარე:** 3-11; **კარში დარტყმა:** 21-5 (9-2); **ბურთის ფლობა:** 42%-58%

**მაყურებელი:** 31 412

### 16 სექტემბერი

ელჩე-ვალიადოლიდი 22:00
ბილბაო-სელტა 00:00

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 4 | 4 | 0 | 0 | 14-4 | 12 |
| 2. ატლეტიკო | 4 | 4 | 0 | 0 | 14-4 | 12 |
| 3. ვილიარეალი | 4 | 3 | 1 | 0 | 10-5 | 10 |
| 4. რეალი | 4 | 3 | 1 | 0 | 8-4 | 10 |
| 5. ესპანიოლი | 4 | 2 | 2 | 0 | 6-3 | 8 |
| 6. ბილბაო | 3 | 2 | 0 | 1 | 5-4 | 6 |
| 7. სელტა | 3 | 1 | 2 | 0 | 5-4 | 5 |
| 8. სოსიედადი | 4 | 1 | 2 | 1 | 4-3 | 5 |
| 9. ლევანტე | 4 | 1 | 2 | 1 | 2-8 | 5 |
| 10. მალაგა | 4 | 1 | 1 | 2 | 7-4 | 4 |
| 11. ბეტისი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-5 | 4 |
| 12. გრანადა | 4 | 1 | 1 | 2 | 3-4 | 4 |
| 13. ხეტაფე | 4 | 1 | 1 | 2 | 4-6 | 4 |
| 14. ვალიადოლიდი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-4 | 3 |
| 15. ვალენსია | 4 | 1 | 0 | 3 | 5-9 | 3 |
| 16. ვალეკანო | 4 | 1 | 0 | 3 | 4-12 | 3 |
| 17. ალმერია | 4 | 0 | 2 | 2 | 8-11 | 2 |
| 18. სევილია | 4 | 0 | 2 | 2 | 5-8 | 2 |
| 19. ელჩე | 3 | 0 | 2 | 1 | 3-6 | 2 |
| 20. ოსასუნა | 4 | 0 | 0 | 4 | 2-9 | 0 |

**ბომბარდირები:** 6 - მესი (ბარსელონა); 4 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო), როდრი (ალმერია); 3 - ისკო (რეალი), ჯოვანი დოს სანტოსი (ვილიარეალი), რაულ გარსია (ატლეტიკო), ელდერ პოშტიგა (ვალენსია), ელ ჰამდაუი (მალაგა)

### მომდევნო ტური

21 სექტემბერი: ოსასუნა-ელჩე, სოსიედადი-მალაგა, ალმერია-ლევანტე, რაიო ვალეკანო-ბარსელონა, ვალიადოლიდო-ატლეტიკო

22 სექტემბერი: ბეტისი-გრანადა, სელტა-ვილიარეალი, რეალი-ხეტაფე, ვალენსია-სევილია

23 სექტემბერი: ესპანიოლი-ბილბაო

### სეგუნდა დივიზიონი. V ტური

**სარაგოსა-ტენერიფე 3:0**
**გოლები:** 1:0 ვიქტორ როდრიგესი (50), 2:0 პაკო მონტანიესი (62), 3:0 ვიქტორ როდრიგესი (66)

**მირანდესი-უელვა 0:3**
**გოლები:** 0:1 ფ. ვეგა (28), 0:2 არანა (55), 0:3 არანა (77)

**კორდობა-ნუმანსია 3:1**
**გოლები:** 0:1 ა. ტომასი (2), 1:1 აბელ გომესი (24), 2:1 ჩისკო ხიმენესი (79), 3:1 კ. კაბალიერო (90)

**ლუგო-ჟირონა 1:2**
**გოლები:** 1:0 ვ. რენელია (15), 1:1 ტიმორი (56), 1:2 ფელიპე სანჩონი (86-პენ)

**საბადელი-ეიბარი 1:0**
**გოლი:** 1:0 გატო (62-პენ)

**ბარსელონა B-რეალი B 2:0**
**გოლები:** 1:0 სანდრო რამირესი (23), 2:0 დანი ნიეტო (27-პენ)

**სპორტინგი-დეპორტივო 2:0**
**გოლები:** 1:0 შჩეპოვიჩი (63-პენ), 2:0 ალექს ბარერა (70)

**ერკულესი-მალიორკა 2:2**
**გოლები:** 0:1 ხერარდი (30), 0:2 ტეიე (77), 1:2 ე. დე ლუკასი (80), 2:2 დიონი (88)

**ლას პალმასი-ხაენი 1:0**
**გოლი:** 1:0 მასუდი (34)

**მურსია-ალავესი 2:1**
**გოლები:** 1:0 ლუსიანო (55-საკ. კარში), 1:1 მანუ გარსია (60), 2:1 კიკე (87)

**ალკორკონი-პონფერადინა 0:1**
**გოლი:** 0:1 იური (14)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპორტინგი | 5 | 3 | 2 | 0 | 9-3 | 11 |
| 2. მურსია | 5 | 3 | 1 | 1 | 11-8 | 10 |
| 3. ჟირონა | 5 | 3 | 1 | 1 | 9-6 | 10 |
| 4. უელვა | 5 | 3 | 1 | 1 | 9-6 | 10 |
| 5. ბარსელონა B | 5 | 3 | 1 | 1 | 8-5 | 10 |
| 6. კორდობა | 5 | 3 | 1 | 1 | 6-3 | 10 |
| 7. მირანდესი | 5 | 3 | 1 | 1 | 5-4 | 10 |
| 8. ალკორკონი | 5 | 3 | 0 | 2 | 6-3 | 9 |
| 9. პონფერადინა | 5 | 2 | 2 | 1 | 7-5 | 8 |
| 10. ლუგო | 5 | 2 | 1 | 2 | 7-6 | 7 |
| 11. საბადელი | 5 | 2 | 1 | 2 | 6-6 | 7 |
| 12. ეიბარი | 5 | 2 | 1 | 2 | 4-6 | 7 |
| 13. ნუმანსია | 5 | 1 | 3 | 1 | 8-8 | 6 |
| 14. ლას პალმასი | 5 | 1 | 3 | 1 | 4-4 | 6 |
| 15. დეპორტივო | 5 | 2 | 0 | 3 | 4-4 | 6 |
| 16. ერკულესი | 5 | 1 | 3 | 1 | 5-6 | 6 |
| 17. სარაგოსა | 5 | 1 | 2 | 2 | 4-3 | 5 |
| 18. მალიორკა | 5 | 1 | 1 | 3 | 6-14 | 4 |
| 19. ალავესი | 5 | 0 | 3 | 2 | 4-6 | 3 |
| 20. ხაენი | 5 | 1 | 0 | 4 | 8-12 | 3 |
| 21. ტენერიფე | 5 | 0 | 2 | 3 | 2-8 | 2 |
| 22. რეალი B | 5 | 0 | 0 | 5 | 1-7 | 0 |

**ბომბარდირები:** 4 - არანა (უელვა), ფოფო (პონფერადინა), კიკე (მურსია), დანი ნიეტო (ბარსელონა ბ), ვ. რენელია (ლუგო), შჩეპოვიჩი (სპორტინგი)

## პორტუგალია

### ლიგა საგრეში. IV ტური

**რიო ავე-გიმარაეში 0:1**

**გოლი:** 0:1 ანდრე სანტოსი (89)

**ბენფიკა-პაკოშ ფერეირა 3:1**

**გოლები:** 1:0 ე. პერესი (5), 2:0 გარაი (23), 2:1 რუბენ რიბეირო (50), 3:1 გარაი (52)

**ბენფიკა** (4-3-3): არტური - მაქსი პერეირა, ლუიზაო, გარაი, სიკეირა (63. ანდრე ალმეიდა) - რუბენ ამორიმი (35. ფეისა), მატიჩი, ე. პერესი - ლ. მარკოვიჩი, ლიმა, კარდოსო (75. ჯონი)

**პორტუ-ჟილ ვისენტე 2:0**

**გოლები:** 1:0 ვარელა (8), 2:0 ჯ. მარტინესი (27)

**პორტუ** (4-3-3): ელტონი - დანილო, მაიკონი (16. მანგალა), ოტამენდი, ალექს სანდრო - ფერნანდო, დეფური, კინტერო (76. რიკარდო პერეირა) - ლიკა (61. ლუჩო გონსალესი), ვარელა, ჯ. მარტინესი

***„ჟილ ვისენტეს" რიგებში 77-ე წუთზე მოედანზე ავთო ებრალიძე გამოვიდა.***

**აკადემიკა-ბელენენსეში 2:1**

**გოლები:** 0:1 ტიაგო სილვა (40-პენ), 1:1 ბრუნო ჩინა (57), 2:1 მარინიო (72)

**გაძევება:** კაი (59. ბელენენსეში), დეივერსონი (88. ბელენენსეში)

**სეტუბალი-მარიტიმო 2:4**

**გოლები:** 0:1 ელდონი (50), 0:2 დერლეი (56), 0:3 დანილო დიაში (65), 1:3 კოენი (67), 1:4 დერლეი (88), 2:4 რაფაელ მარტინში (90)

**ნასიონალი-არუკა 0:1**

**გოლი:** 0:1 პინტასილიო (86)

**ოლიანენსე-სპორტინგი 0:2**

**გოლები:** 0:1 ფ. მონტერო (51), 0:2 ანდრე მარტინში (60)

**სპორტინგი** (4-3-3): რუი პატრისიო - სედრიკი, მაურისიო, ე. დაიერი, ჟეფერსონი - ანდრე მარტინში (70. ვიტორი), ადრიენ სილვა (82. ფ. რინაუდო), ვილიამი - ვილსონ ედუარდო, ფ. მონტერო, დიეგო კაპელი (69. ა. კარილიო)

**ბრაგა-ეშტორილი 3:2**

**გოლები:** 0:1 ევანდრო (17-პენ), 1:1 ალანი (32), 2:1 ალანი (54-პენ), 3:1 კუშტოდიო (74), 3:2 სება (86)

**გაძევება:** ბაიანო (15. ბრაგა), ი. ტავარეში (52. ეშტორილი), ჟერსონ ფერნანდესი (64. ეშტორილი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 4 | 4 | 0 | 0 | 9-1 | 12 |
| 2. სპორტინგი | 4 | 3 | 1 | 0 | 12-2 | 10 |
| 3. ბრაგა | 4 | 3 | 0 | 1 | 7-4 | 9 |
| 4. ეშტორილი | 4 | 2 | 1 | 1 | 8-6 | 7 |
| 5. ბენფიკა | 4 | 2 | 1 | 1 | 7-5 | 7 |
| 6. მარიტიმო | 4 | 2 | 1 | 1 | 7-7 | 7 |
| 7. გიმარაეში | 4 | 2 | 1 | 1 | 5-5 | 7 |
| 8. რიო ავე | 4 | 2 | 0 | 2 | 5-2 | 6 |
| 9. ჟილ ვისენტე | 4 | 2 | 0 | 2 | 4-4 | 6 |
| 10. არუკა | 4 | 2 | 0 | 2 | 4-7 | 6 |
| 11. ნასიონალი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-7 | 4 |
| 12. ოლიანენსე | 4 | 1 | 1 | 2 | 2-5 | 4 |
| 13. აკადემიკა | 4 | 1 | 1 | 2 | 3-8 | 4 |
| 14. სეტუბალი | 4 | 1 | 0 | 3 | 7-10 | 3 |
| 15. ბელენენსეში | 4 | 0 | 0 | 4 | 4-10 | 0 |
| 16. პაკოშ ფერეირა | 4 | 0 | 0 | 4 | 1-7 | 0 |

**ბომბარდირები:** 6 - ფ. მონტერო (სპორტინგი); 4 - დერლეი (მარიტიმო), ჯ. მარტინესი (პორტუ)

იტალია. სერია A III ტური

# მილანური ომი და მშვიდობა

## გრანდთა ზავი მეაცაზე

**ტურის** ყველაზე საინტერესო მატჩები შაბათს გაიმართა, მთავარი დაპირისპირება კი მილანში, ჯუზეპე მეაცას სახელობის სტადიონზე შედგა: დიდი იტალიური დერბი, „ინტერი" „იუვენტუსის" წინააღმდეგ - ჯახი, რომელმაც გაამართლა მოლოდინი.

### დიდი იტალიური დერბი

ომი, რომელიც მშვიდობიანად დასრულდა - დაახლოებით ასე შეგვიძლია დავახასიათოთ შაბათს გამართული დიდი იტალიური დერბი. გუნდებმა შეტევაში გალიეს შეხვედრა და ორივე კართან უხვად შეიქმნა სახიფათო მომენტები, შედეგი კი საყაიმო გამოვიდა, რამაც ორივე მხარე კმაყოფილი დატოვა. ნამატჩევს მწვრთნელ-ფეხბურთელები უგუნებობას არ უჩიოდნენ და ოპტიმისტური კომენტარებიც არიგეს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მატჩი ორმხრივ იერიშებში წარიმართა - პირველ ტაიმში, უფრო მილანელები ფლობდნენ უპირატესობას და გატანის მეტი შანსიც მათ ჰქონდათ, აი მეორე ნახევა-



მაურო იკარდის საგოლე დარტყმა

რი და განსაკუთრებით ბოლო 15-20 წუთი კი უკვე ტურინელთა კარნახით წარიმართა და მომენტებიც მასპინძელთა კართან იქმნებოდა. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ბრწყინვალედ ითამაშა ორივე მეკარემ, **ჯანლუიჯი ბუფონმა** და **სამირ ჰანდანოვიჩმა** - ის, რომ შეხვედრა უხვგოლიანი არ გამოვიდა, სწორედ მათი დამსახურებაა.

თითო ეპიზოდში მეკარეებიც უძლურნი იყვნენ და გოლებზე აუცილებლად უნდა შევაჩეროთ ყურადღება. ისინი ორი წუთის ინტერვალში გავიდა, ჯერ „ინტერმა" შეაგდო, შემდეგ კი „იუვენტუსმა". 73-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც მილანელთა სიღრმიდან დაწყებული იერიში **რიკი ალვარესის** რეიდით, **მაურო იკარდიზე** გაკეთებული იდეალური გადაცემით და ამ უკანასკნელის უზუსტესი დარტყმით დაგვირგვინდა, 1:0. ვთქვათ ისიც, რომ იმ მომენტისთვის არგენტინელი რამდენიმე წუთის ჩართული იყო თამაშში. საპასუხო **არტურო ვიდალმა** გაიტანა, რომელიც მარცხენა ფრთიდან **კვადვო ასამოას** მიერ გაკეთებულ შესანიშნავ პასს გამოეხმაურა, ერთი გაისწორა ბურთი და მეორე შეხებით მეკარისაგან მარცხენა დაბალ კუთხეში მოათავსა - 1:1. ეს არის ვიდალის მესამე გოლი სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში და თუ ასე გააგრძელა, გასული სეზონის მსგავსად, გუნდის ბომბარდირი გახდება.

მოკლედ, გოლები ეფექტური გავიდა და სხვა მხრივაც ყველაფერი ისე იყო, როგორც ასეთ გუნდთა დაპირისპირებას ეკადრება: სწრაფი ტემპი, ბრძოლა მოედნის ნებისმიერ მონაკვეთზე, ეფექტური კომბინაციები, ცოტა წუნი და მთლიანობაში, შესანიშნავი სანახაობა.

**ანტონიო კონტე** („იუვენტუსის" მწვრთნელი): *„ეს იყო უმძიმესი შეხვედრა უძლიერეს მეტოქესთან ურთულეს ვითარებაში. სტადიონზე საოცარი ატმოსფერო იყო და ბუნებრივია, ეს უფრო მეტოქეს ეხმარებოდა, ვიდრე ჩვენ. „ინტერმა" დაამტკიცა, რომ მიმდინარე სეზონში უმაღლესი მიზნებისთვის შეუძლია ბრძოლა, მათ შორის სკუდეტოსთვის. მილანელები ევროტურნირებზე არ მონაწილეობენ და ეს მათი დამატებითი პლუსია".*

**ვალტერ მაცარი** („ინტერის" მწვრთნელი): *„მესმის, რომ ჩვენგან ასეთ კარგ თამაშს არ მოელოდნენ, მაგრამ შორსმიმავალი პროგნოზების კეთება ნამდვილად არ შეიძლება. სკუდეტომდე ძალიან შორია და ჩემი თხოვნაა, რომ დავივიწყოთ ეს თემა. ახალ გუნდს ნულიდან ვაკეთებთ და მთავარია, რომ თამაშიდან თამაშამდე მოვუმატოთ. მოქმედ ჩემპიონს მატჩის დიდი ნაწილი ტოლსწორად ვეპაექრეთ და არ შეიძლება, რომ ეს არ მახარებდეს. დანარჩენს დრო გვიჩვენებს".*

### ისევ მარიო, ისევ პენალტი

საინტერესო მატჩი გაიმართა ტურინში, სადაც „ტორინო" და „მილანი" შეასკდნენ ერთმანეთს. ლომბარდიელებმა მთელი შეხვედრა უფერულად ჩაატარეს და დამსახურებულად აგებდნენ, მაგრამ ბოლო წუთებში ყველაფერი თავდაყირა დადგა. მატჩის დასრულებამდე 2-3 წუთი იყო დარჩენილი, როდესაც **სალი მუნტარიმ** მისთვისაც გაუგებარი დარტყმით ბურთი ბადეში გაახვია, ზედ საფინალო სასტვენის წინ კი სტუმრებმა თერთმეტმეტრიანი მოინადირეს, რომელიც **მარიო ბალოტელიმ** გოლად აქცია, 2:2. ვთქვათ ისიც, რომ „მილანში" გადასვლის შემდეგ, სუპერმარიოს გოლების უმეტესობა პენალტით აქვს გატანილი. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ მატჩის არბიტრმა ტურინულ შეხვედრას 6 წუთი დაამატა, რამაც მასპინძელთა აღშფოთება გამოიწვია - ნამატჩევს „ტორინოს" მესაჭე **ჯამპიერო ვენტურამ** ყველაფერი მსაჯებს დააბრალა, მილანელთა მთავარმა მწვრთნელმა **მასიმილიანო ალეგრიმ** კი ქულის აღებისთვის ღმერთს მადლობა შესწირა.

### გადახალისებული ნაპოლი

**რაფაელ ბენიტესი** დიდ ფუფუნებაშია - „ატალანტასთან" მატჩის წინ, გადაწყვიტა, რომ სასტარტო შემადგენლობა გადაეხალისებინა, რაც დიდწილად სანაკრებო მატჩებით გახლდათ განპირობებული. მაგალითად, თადარიგში დარჩა ჩემპიონატის ბომბარდირი **მარეკ ჰამშიკი**, მისი ადგილი კი **გორან პანდევმა** დაიკავა; **ხოსე კალეხონი დრის მერტენსმა** ჩაანაცვლა და ასე შემდეგ. რაც მთავარია, ამ ყველაფერს სამხრეთელთა თამაშზე დიდი დაღი ნამდვილად არ დაუსვამს. ნეაპოლელები მთელი მატჩის განმავლობაში უტევდნენ, გოლები კი მეორე ტაიმში გაიტანეს - ერთი კია, მასპინძელთა იერიშები უფრო მწვავე ჰამშიკის მოედანზე შესვლის შემდეგ გახდა, ერთ-ერთი გოლი კი ასევე შეცვლაზე შესულმა კალეხონმა გაიტანა. „ნაპოლიმ" მორიგი სამი ქულა ჩაიწერა აქტივში და სატურნირო ცხრილს ერთპიროვნულად ჩაუდგა სათავეში.



გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**

#### ინტერი-იუვენტუსი 1:1

**გოლები:** 1:0 იკარდი (73), 1:1 ვიდალი (75).
**ინტერი (3-5-1-1):** ჰანდანოვიჩი - კამპანიარო, რანოკია, ჟუან ჟესუსი - ჯონათანი, გუარინი, ტაიდერი (68. იკარდი), კამბიასო, ნაგატომო - ალვარესი (81. კოვაჩიჩი) - პალასიო.
**იუვენტუსი (3-5-2):** ბუფონი - ბარცალი, ბონუჩი, კიელინი - ლიხტშტაინერი (46. ისლა), ვიდალი, პირლო (87. პადოინი), პოგბა, ასამოა - ვუჩინიჩი (72. კვალიარელა), ტევესი.
**გაფრთხილება:** კამპანიარო, რანოკია - ლიხტშტაინერი, ვიდალი.
**კუთხური:** 6-1; **ჯარიმა:** 11-14; **თამაშგარე:** 1-5; **კარში დარტყმა:** 7-9(4-5); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.
**მაყურებელი:** 75 000

#### ნაპოლი-ატალანტა 2:0

**გოლები:** 1:0 იგუაინი (71), 2:0 კალეხონი (81).
**ნაპოლი (4-2-3-1):** რეინა - მესტო, ალბიოლი, კანავარო, არმერო - ჯემაილი (86. რადოშევიჩი), ინლერი - მერტენსი (59. კალეხონი), პანდევი (66. ჰამშიკი), ინსინიე - იგუაინი.
**ატალანტა (3-5-1-1):** კონსილი - ლუკინი, სტენდარდო (79. ლივაია), იეპესი - დელ გროსო (66. ბრივიო), რაიმონდი, კარმონა, ჩიგარინი, ბაზელი - ბონავენტურა (59. მორალესი) - დენისი.
**გაფრთხილება:** კალეხონი (ნაპოლი).
**გაძევება:** ჩიგარინი (74. ატალანტა).
**კუთხური:** 8-2; **ჯარიმა:** 11-7; **თამაშგარე:** 0-4; **კარში დარტყმა:** 22-11(11-5); **ბურთის ფლობა:** 66%-34%.
**მაყურებელი:** 45 000

#### ტორინო-მილანი 2:2

**გოლები:** დამბროზიო (47), 2:0 ჩერჩი (71), 2:1 მუნტარი (88), 2:2 ბალოტელი (90-პენ.).
**ტორინო (3-5-2):** პადელი - გლიკი, ბოვო, მორეტი - დარმიანი, ვივესი, გლიკი, ელ ქადური, დამბროზიო (80. პასკუალე) - ჩერჩი (76. ლარონდო - 90. ფერნერუდი), იმობილე.
**მილანი (4-3-1-2):** აბიატი - ძაკარდო, მექსე, საპატა, ემანუელსონი - დე იონგი, მონტოლივო (45. პოლი), მუნტარი - კაკა (70. ბირსა) - რობინიო (58. მატრი), ბალოტელი.
**გაფრთხილება:** გლიკი, ელ ქადური - საპატა, პოლი.
**კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 15-13; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 7-11(3-5); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.
**მაყურებელი:** 22 000

#### ფიორენტინა-კალიარი 1:1

**გოლები:** 1:0 ბორხა ვალერო (71), 1:1 პინილია (89).
**ფიორენტინა (3-5-2):** ნეტო - რონკალია, გონსალო, ტომოვიჩი - კუადრადო (28. ხოაკინი - 70. პისარო), აკვილანი, ბორხა ვალერო, ამბროზინი, პასკუალი - როსი, გომესი (51. იანკოვიჩი).
**კალიარი (4-3-1-2):** აგაცი - პერიკო, როსეტინი, ასტორი, მურუ - დესენა (75. კაბრერა), კონტი, ნაინგოლანი - კოსუ (66. პინილია) - იბარბო, საუ (90. ეკდალი).
**გაფრთხილება:** გონსალო - აგაცი, მურუ, კოსუ.
**გაძევება:** პისარო (90. ფიორენტინა).
**კუთხური:** 4-9; **ჯარიმა:** 16-12; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 9-4(2-1); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.
**მაყურებელი:** 27 000

#### ვერონა-სასუოლო 2:0

**გოლები:** 1:0 მარტინიო (12), 2:0 რომულო (90).
**ვერონა (4-3-3):** რაფაელი - აგოსტინი, მორასი, მაიეტა (23. ბიანკეტი), კაჩატორე - ჟორჟინიო, რომულო, ალფრედსონი - კაჩა, მარტინიო (90. იანკოვიჩი), ტალები (70. დონატი).
**სასუოლო (4-3-3):** პომინი - გაცოლა, აჩერბი, ტერანოვა, ციგლერი - მანანელი (83. მაზუჩი), კურტიჩი, მისიროლი - ძაძა, სკელოტო (70. ფლორო ფლორესი), ფარიასი (57. ალექსე).
**გაფრთხილება:** რომულო, ბიანკეტი, იანკოვიჩი - გაცოლა.
**კუთხური:** 5-10; **ჯარიმა:** 11-17; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 8-14 (3-2); **ბურთის ფლობა:** 39%-61%.
**მაყურებელი:** 20 000

#### ლაციო-კიევო 3:0

**გოლები:** 1:0 კანდრევა (8), 2:0 კავანდა (38), 3:0 ლულიჩი (41).
**ლაციო (4-4-1-1):** მარკეტი - კონკო, ბიავა (15. სიანი), ცანა, კავანდა (90. კეიტა) - კანდრევა, ლედესმა, ონაზი, ლულიჩი - ედერსონი (78. გონსალესი) - კლოზე.
**კიევო (4-4-2):** პუჯონი - სარდო, პაპი, ცეზარი, დრამე - ჰეტემაი, რადოვანოვიჩი (59. პელისიერი), ლ. რიგონი, სესტუ (90. ესტიგამბია) - თერეუ (70. აკოსტი), პალოსკი.
**გაფრთხილება:** ლულიჩი, სიანი - სარდო, პაპი, ჰეტემაი, ლ. რიგონი, სესტუ, აკოსტი.
**კუთხური:** 3-11; **ჯარიმა:** 8-14; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 12-11(6-5); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.
**მაყურებელი:** 35 000

#### ლივორნო-კატანია 2:0

**გოლები:** 1:0 პაულინიო (65), 2:0 პაულინიო (72).
**ლივორნო (3-4-1-2):** ბარდი - ჩეკერინი, ემერსონი (81. ვალენტინი), კოდა - სკატარელა, მბაიე (78. რინაუდო), ლუჩი, გრეკო - ბიაჯანტი - პაულინიო, ემეგარა (90. სილიგარდი).
**კატანია (4-3-3):** ანდუხარი - ალვარესი, ბელუში, ბირაგი (78. მონძონი), სპოლი - პანაიოტისი (67. ლეტო), პლაზილი, ალმირონი - ბარიენტოსი, კასტრო (79. ლოპესი), ბერგესიო.
**გაფრთხილება:** ემერსონი, სკატარელა, პაულინიო - ალვარესი, სპოლი, ბირაგი.
**კუთხური:** 2-8; **ჯარიმა:** 20-17; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 14-12(4-2); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.
**მაყურებელი:** 20 000

#### უდინეზე-ბოლონია 1:1

**გოლები:** 0:1 დიამანტი (71), 1:1 დი ნატალე (85).
**უდინეზე (3-5-2):** კელავა - ნალდო (77. მაიკოსუელი), დანილო, დომიცი (57. ბუბნიჩი) - პერეირა, ბადუ (84. ზელინსკი), ალანი, ლაძარი, გაბრიელ სილვა - მურიელი, დი ნატალე.
**ბოლონია (4-3-1-2):** კურჩი - გარიჩი, ანტონსონი, ნატალი, ჩეხი - პაციენცა, კონე, დელა როკა (57. პერესი) - დიამანტი (79. ხრისტოდოლოპულოსი) - მოსკარდელი, ბიანკი (72. კრისტალდი).
**გაფრთხილება:** მურიელი - პაციენცა, კონე, დელა როკა, მოსკარდელი.
**კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 17-14; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 7-8(3-3); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.
**მაყურებელი:** 17 000

#### სამპდორია-ჯენოა 0:3

**გოლები:** 0:1 ანტონინი (9), 0:2 კალაიო (50), 0:3 ლოდი (66).
**სამპდორია (3-5-2):** და კოსტა - გასტალდელო, პალომბო, კოსტა - დე სილვესტრი, ობიანგი, კრსტიჩიჩი, ბარნასონი (46. სორიანო), რეჯინი (67. სანსონე) - ედერი (76. პოცი), გაბიადინი.
**ჯენოა (3-5-2):** პერინი - მანფრედინი, გამბერინი (69. დე მაიო), პორტანოვა - ვრსალკო, ბიონდინი, ლოდი, მათუზალემი (65. კოფიე), ანტონინი (72. სანტანა) - ჯილარდინო, კალაიო.
**გაფრთხილება:** კოსტა, კრსტიჩიჩი, რეჯინი, სორიანო - მანფრედინი, ჯილარდინო.
**კუთხური:** 5-1; **ჯარიმა:** 16-17; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 8-4(1-3); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.
**მაყურებელი:** 35 000

#### 16 სექტემბერი

პარმა-რომა 23.15

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნაპოლი | 3 | 3 | 0 | 0 | 9-2 | 9 |
| 2. ინტერი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-1 | 7 |
| 3. იუვენტუსი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-2 | 7 |
| 4. ფიორენტინა | 3 | 2 | 1 | 0 | 8-4 | 7 |
| 5. რომა | 2 | 2 | 0 | 0 | 5-0 | 6 |
| 6. ლაციო | 3 | 2 | 0 | 1 | 6-5 | 6 |
| 7. ლივორნო | 3 | 2 | 0 | 1 | 6-3 | 6 |
| 8. ვერონა | 3 | 2 | 0 | 1 | 4-4 | 6 |
| 9. მილანი | 3 | 1 | 1 | 1 | 6-5 | 4 |
| 10. ტორინო | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| 11. უდინეზე | 3 | 1 | 1 | 1 | 5-4 | 4 |
| 12. კალიარი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| 13. ატალანტა | 3 | 1 | 0 | 2 | 3-4 | 3 |
| 14. ჯენოა | 3 | 1 | 0 | 2 | 5-7 | 3 |
| 15. ბოლონია | 3 | 0 | 2 | 1 | 3-6 | 2 |
| 16. პარმა | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 17. სამპდორია | 3 | 0 | 1 | 2 | 2-6 | 1 |
| 18. კიევო | 3 | 0 | 1 | 2 | 2-7 | 1 |
| 19. კატანია | 3 | 0 | 0 | 3 | 1-7 | 0 |
| 20. სასუოლო | 3 | 0 | 0 | 3 | 1-8 | 0 |

**ბომბარდირები:** 4 - მარეკ ჰამშიკი (ნაპოლი); 3 - ხოსე კალეხონი (ნაპოლი), ჯუზეპე როსი (ფიორენტინა), არტურო ვიდალი (იუვენტუსი), ბორხა ვალერო (ფიორენტინა), პაულინიო (ლივორნო).

#### მომდევნო ტური

21 სექტემბერი: **კალიარი-სამპდორია, კიევო-უდინეზე, ჯენოა-ლივორნო;**
22 სექტემბერი: *სასუოლო-ინტერი, ატალანტა-ფიორენტინა, ბოლონია-ტორინო, კატანია-პარმა, იუვენტუსი-ვერონა, რომა-ლაციო, მილანი-ნაპოლი.*

#### სერია B. IV ტური

**პალერმო-ჩეზენა** 2:1
გოლები: 0:1 დე ფეუდისი (53), 1:1 ლაფერტი (60), 2:1 ერნანდესი (63-პენ.).

**ბარი-მოდენა** 1:0
გოლი: 1:0 ჩეპიტელი (54).

**კარპი-ემპოლი** 0:2
გოლები: 0:1 ტონელი (28), 0:2 ტონელი (55).

**ჩიტადელა-ლატინა** 0:0

**კროტონე-სპეცია** 1:0
გოლი: 1:0 ტორომინო (8-პენ.).

**იუვე სტაბია-სიენა** 2:2
გოლები: სკოცარელა (24), 2:0 სოვე (32-პენ.), 2:1 ჯანეტი (37), 2:2 პაოლუჩი (66).

**ნოვარა-პადოვა** 1:0
გოლი: 1:0 ბუცეგოლი (49-პენ.).

**ტრაპანი-რეჯინა** 4:0
გოლები: 1:0 დურიჩი (20), 2:0 დურიჩი (41), 3:0 პირონე (51), 4:0 მანკოზუ (63).

**ვარეზე-პესკარა** 3:2
გოლები: 0:1 მანიერო (12), 1:1 პავოლეტი (24), 2:1 ფიამოცი (63), 2:2 ვივიანი (84), 3:2 პავოლეტი (88).

**ლანჩანო-აველინო** 1:0
გოლი: 1:0 ამენტა (25).

#### 16 სექტემბერი

ტერნანა-ბრეშა 22:30

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ემპოლი | 4 | 3 | 1 | 0 | 8-3 | 10 |
| 2. ტრაპანი | 4 | 2 | 2 | 0 | 9-3 | 8 |
| 3. ლანჩანო | 4 | 2 | 2 | 0 | 5-3 | 8 |
| 4. პალერმო | 4 | 2 | 1 | 1 | 7-4 | 7 |
| 5. ვარეზე | 4 | 2 | 1 | 1 | 7-4 | 7 |
| 6. ნოვარა | 4 | 2 | 1 | 1 | 6-4 | 7 |
| 7. აველინო | 4 | 2 | 1 | 1 | 4-3 | 7 |
| 8. ჩეზენა | 4 | 2 | 0 | 2 | 4-4 | 6 |
| 9. სიენა | 4 | 2 | 1 | 1 | 11-8 | 5 |
| 10. პესკარა | 4 | 1 | 2 | 1 | 9-7 | 5 |
| 11. მოდენა | 4 | 1 | 2 | 1 | 4-3 | 5 |
| 12. რეჯინა | 4 | 1 | 2 | 1 | 4-6 | 5 |
| 13. ტერნანა | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 14. სპეცია | 4 | 1 | 1 | 2 | 2-4 | 4 |
| 15. კროტონე | 4 | 1 | 1 | 2 | 6-9 | 4 |
| 16. ბრეშა | 3 | 0 | 3 | 0 | 3-3 | 3 |
| 17. კარპი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-3 | 3 |
| 18. ჩიტადელა | 4 | 0 | 3 | 1 | 2-4 | 3 |
| 19. ბარი | 4 | 1 | 2 | 1 | 3-3 | 2 |
| 20. ლატინა | 4 | 0 | 2 | 2 | 2-7 | 2 |
| 21. იუვე სტაბია | 4 | 0 | 1 | 3 | 4-10 | 1 |
| 22. პადოვა | 3 | 0 | 0 | 3 | 0-6 | 0 |

შენიშვნა: ბარი - 3 ქულა, სიენა - 2.
**ბომბარდირები:** 4 - ერნანდესი (პალერმო), მანიერო (პესკარა), ტორომინო (კროტონე).

#### სერია C1

ენტელა-ვენეცია 2:1, ფერალპიზალო-ლუმეცანე 0:3, რეჯანა-პრო ვერჩელი 1:2, სან მარინო-კომო 2:0, სავონა-პრო პატრია 1:0, სუდტიროლი-პავია 4:0, ვიჩენცა-კარარეზე 2:0.

#### სერია C2

ბარლეტა-პრატო 0:2, ბენევენტო-ლეჩე 4:1, კატანძარო-ფროზინონე 1:0, გუბიო-სალერნიტანა 1:1, ლაკუილა-პიზა 0:1, ნოჩერინა-გროსეტო 1:1, პაგანეზე-ასკოლი 0:1, პონტედერა-ვიარეჯო 2:2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● გერმანია. ბუნდესლიგა. V ტური

# დორტმუნდი ბობოქრობს

## ბაიერნი და ლევერკუზენი მისდევენ, შალკეც მოცოცხლდა

**მეხუთე ტურმა ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილში სამი ლიდერო გამოკვეთა: ასპროცენტიანი „დორტმუნდი“, რომელსაც ხუთივე თამაში მოგებული აქვს, „ბაიერნი“, რომელიც „ბორუსიას“ 2 ქულით ჩამორჩება და „ლევერკუზენი“. გამოცოცხლდა „შალკეც“, რაც დიდწილად კევინ-პრინს ბოატენგის დამსახურებაა.**

ვენდეტა შედგა! დორტმუნდის „ბორუსიამ“ „ჰამბურგზე“ შარშანდელისთვის (2:3 და 1:4) ჯავრი იყარა, **ტორსტენ ფინკის** არასტაბილური და ქაოსური გუნდი 6:2 გაანადგურა. ეს გამარჯვება „დორტმუნდისთვის“ იმას ნიშნავს, რომ **იურგენ კლოპის** გუნდს ახალი სეზონის ხუთივე სასტარტო მატჩი მოგებული აქვს, რაც თავის მხრივ „ბორუსიას“ ისტორიაში ახალი რეკორდია. „ჰამბურგს“ კი ასეთი ტენდენციით გადარჩენისთვის ბრძოლა მოუწევს.




მარკო როისი შეუჩერებელი იყო

კლოპმა მატჩის წინ თქვა, „ჰამბურგთან“ ანგარიში გვაქვს გასასწორებელი, ჩვენს ქომაგებს კი ბოდიში უნდა მოვუხადოთ იმისათვის, რაც წინა სეზონში ამ გუნდთან დაგვემართაო. იურგენის შეგირდებმა მწვრთნელის დავალება იდეალურად შეასრულეს, რაც სხვებთან ერთად, პირველ რიგში „ბორუსიას“ ბრწყინვალე ახალწვეულების, **პიერ-ემერიკ ობამეიანგისა** და **ჰენრიხ მხითარიანის** დამსახურებაა. ობამეიანგის ანგარიშზე ამ შეხვედრაში ორი გოლი და ორი საგოლე პასია, სომეხმა გამთამაშებელმა კი ერთი გოლი და ერთი საგოლე გადაცემა მიითვალა.

თუმცა აქ ისიც უნდა ვთქვათ, რომ დიდი ანგარიშით გამარჯვება „დორტმუნდს“ თავად „ჰამბურგმა“ გაუადვილა. სხვა რომ ველარაფერი მოიფიქრა, ფინკმა მრისხანე მეტოქის წინააღმდეგ წარმატების მიღწევა ახალი ტაქტიკით სცადა და გუნდს თამაში 3-5-2 სქემით დააწყებინა, რამაც სასტიკად არ გაამართლა - ფინკი კი შეცდომას მალევე მიხვდა და 20 წუთის შემდეგ გუნდი ისევ რომბისებური ნახევარდაცვის მქონე 4-4-2-ზე გადააწყო. დორტმუნდელთაგან ერთ-ერთი საუკეთესო იყო **მატს ჰუმელსი**, რომელსაც ბოლო დროს ხშირად აკრიტიკებდნენ (მატსი გერმანიის ნაკრების ძირითადი შემადგენლობიდანაც ამოვარდა). შაბათს ჰუმელსმა „დორტმუნდის“ ღირსება მე-200 შეხვედრაში დაიცვა და შეუვალი იყო.

*„შეტევაში გრანდიოზული ფეხბურთი ვაჩვენეთ. ასეთი თამაშით ჩვენ ყველას შიშის ზარს დავცემთ. კარგად ვითამაშეთ დაცვაშიც - თუ არ ჩავთვლით სტანდარტულებს, რაშიც ჰამბურგელები აშკარად გვჯობნიან,“* - აღნიშნა თამაშის შემდეგ კლოპმა. იურგენის შეგირდებს ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგის პირველი ტურის მატჩი ელით ნეაპოლში, ხოლო „ჰამბურგს“ ერთ კვირაში „ვერდერთან“ ჩრდილოეთის დერბი მოუწევს და თუ ის თამაშიც წააგო, დიდი შანსია, რომ ფინკი უმუშევარი დარჩეს.

### ბაიერნმა მოიგო, ზამერი მაინც ყვირის

„ბაიერნს“ ჰანოვერთან ცუდად არ უთამაშია და რაც მთავარია, მიუნხენელებმა 2:0 მოიგეს, მაგრამ მატჩის შემდეგ რეკორდმაისტერის სპორტული დირექტორი **მათიას ზამერი** „სქაის“ პირდაპირ ეთერში მაინც ყვიროდა. 46 წლის ფუნქციონერი ხმას ძალიან ხშირად იმაღლებს ხოლმე, რათა ფეხბურთელებს შემოიძახოს და გამოაფხიზლოს, მაგრამ ამ შემთხვევაში „მოტცკიმ“ ყველა მოლოდინს გადააჭარბა.

*„კარგია, რომ მოვიგეთ, მაგრამ ფეხბურთელების საქმისადმი მიდგომა არ მომწონს. თუ მალე არ დავიწყებთ იმას, რომ „ბაიერნმა“ წინა სეზონში ჰეთთრიკი შეასრულა, პრობლემები შეგვექმნება. უმეტესად ლეთაგრიულ, უემოციო ფეხბურთს ვთამაშობთ, ბიჭები თითქოს უბრალოდ მოვალეობას ასრულებენ და ასე შორს ველარ წავალთ. ფეხბურთელები კომფორტული ზონიდან უნდა გამოვიდნენ და ერთმანეთი შეაგულიანონ. არ ვამბობ, რომ რომელიმე მოთამაშეს სირბილი ეზარება ან უკეთ თამაში არ უნდა, მაგრამ ემოციის გარეშე წარმატება გამორიცხულია. ასე მგონია, რომ ყველა მწვრთნელის უკან იმალება. არ მსურს არაფრის მოსმენა ტაქტიკის ან სისტემის შესახებ,“* - თქვა ზამერმა.

„ბაიერნის“ ფეხბურთელებს ზამერის განცხადებაზე რეაგირების შანსი ხვალ, ჩემპიონთა ლიგის პირველ ტურში მიეცემათ - რეკორდმაისტერმა მოსკოვის ცსკა-ს უნდა უმასპინძლოს.

### ბოატენგი უკვე შალკეს გმირია

როგორც ჩანს, „შალკეს“ სწორედ **კევინ-პრინს ბოატენგი** აკლდა, რადგან ამ უკანასკნელთან ერთად გელზენკირხენულმა კლუბმა ზედიზედ მეორე თამაში მოიგო და ქვესკნელიდან ამოვიდა. ბოატენგი „ლევერკუზენთანაც“ (2:0) საუკეთესო იყო, იმის მიუხედავად, რომ გოლი არ გაუტანია, მაინცში კი „ხუმარებმა“ სწორედ მისი შესანიშნავი დარტყმით იმარჯვეს. ეს უკვე იმის ნიშანია, რომ გელზენკირხენელებს „მილანისთვის“ ბოატენგის სანაცვლოდ გადახდილი 10 მილიონი ევრო წყალში არ გადაუყრიათ - პრინცად კი არა, „შალკეს“ ფანებმა ბოატენგი ლამისაა მეფედ გამოაცხადონ. აღსანიშნავია, რომ კევინს ბუნდესლიგაში ბოლო გოლი 2007 წელს ჰქონდა გატანილი - მაშინ, კერძოდ 2007 წლის 19 მაისს მან „ჰერტას“ ფორმით „აინტრახტს“ გაუტანა.

*„მინდოდა, ფანებისთვის მადლობა გადამეხადა იმისათვის, რომ ასე თბილად მიმიღეს და მიხარია, რომ ეს გამარჯვების გოლით მოვახერხე,“* - აღნიშნა ბოატენგმა მატჩის შემდეგ, რომელსაც გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **იოახიმ ლიოვიც** დაესწრო, მაგრამ კევინი მას არაფერში არგია - ძმისგან, **ჟერომ ბოატენგისგან** განსხვავებით, კევინმა ბუნდესგუნდზე უარი თქვა და განის ნაკრებში თამაშობს. მაინცელები თავის მხრივ არდანიშნულ პენალტზე წუხდნენ - მწვრთნელმა **თომას ტუხელმა** ბრძანა, ის, რაც **მატიპმა ოკაზაკის** გაუკეთა, მოედნის ნებისმიერ მონაკვეთში ჯარიმით ისჯება და არ მესმის, თერთმეტმეტრიანი რატომ არ დაგვინიშნესო. რომ არა ბოატენგი, თამაში ალბათ 0:0 დამთავრდებოდა, რადგან არც „შალკეს“ ჰქონია სხვა, რეალური მომენტები, მაინცელებმა კი **ტიმო ჰილდებრანდის** კარში ზუსტად ერთხელაც ვერ დაარტყეს.

### ლევერკუზენი ფორმაშია

5 ტურის შემდეგ „დორტმუნდს“ (15 ქულა) და „ბაიერნს“ (13) ხეირიანად მხოლოდ „ლევერკუზენილა“ მისდევს. **სამი ჰიიპიას** „ბაიერმა“ „ვოლფსბურგი“ 3:1 დაამარცხა და 12 ქულა აქვს. წინა სეზონის საუკეთესო ბომბარდირმა **შტეფან კისლინგმა** დუბლი მიითვალა და უკვე 4 გოლი აქვს, „ვოლფსბურგიდან“ კი იუბილარმა **ივიცა ოლიჩმა** იხეირა - ხორვატი შაბათს 34 წლის გახდა. „ვერდერმა“, რომელსაც სეზონი ორი მოგებით ჰქონდა დაწყებული, ზედიზედ მესამე მარცხი იწვნია (0:3 აინტრახტთან) და მდგომარეობა დაიმძიმა, „აუგსბურგმა“ კი გადარჩენისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტ „ფრაიბურგთან“ უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოიპოვა (2:1) და ცხრილში საკმაოდ ზემოთ აიწია.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

## თურქეთი

### სუპერლიგა. XXXIV ტური

### III ტური

**გალათასარაი-ანთალია** 1:1
გოლები: 0:1 კიოქჩექი (20), 1:1 დროგბა (75)

**ერჩიესი-ახისარი** 1:0
გოლი: 1:0 ბილგი (57)

**გაზიანთეფი-რიზე** 2:5
გოლები: 0:1 ალი ადნანი (12), 0:2 კაია (19-პენ), 1:2 თ. შაჰინი (24), 2:2 თოსუნი (61-პენ), 2:3 კაია (80), 2:4 დეპეტრისი (81), 2:5 ბინია (90-საკ. კარში)

**ტრაბზონი-ქარაბიუქი** 1:0
გოლი: 1:0 პაულო ენრიკე (76)

**გენჩლერი-ქაისერი** 1:1
გოლები: 0:1 ბისესვარი (48), 1:1 ტომიჩი (90)

**სივასი-ესქიშეჰირი** 3:2
გოლები: 0:1 დ. კამარა (7), 1:1 უტაკა (9), 2:1 და კოშტა (49), 2:2 სანი (61), 3:2 ჩაჰერუჰე (73)

**ელაზიგი-კონია** 2:0
გოლები: 1:0 გიორკემი (10), 2:0 ილმაზი (35)

**ბურსა-ბეშიქთაში** 0:3
გოლები: 0:1 ალმეიდა (14), 0:2 სივოკი (37), 0:3 ესკუდე (64)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბეშიქთაში | 4 | 4 | 0 | 0 | 11-2 | 12 |
| 2. რიზესპორი | 4 | 3 | 0 | 1 | 9-5 | 9 |
| 3. ელაზიგსპორი | 4 | 2 | 1 | 1 | 8-6 | 7 |
| 4. კარდემირი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-3 | 7 |
| 5. ფენერბაჰჩე | 3 | 2 | 0 | 1 | 8-5 | 6 |
| 6. ახისარი | 4 | 2 | 0 | 2 | 6-5 | 6 |
| 7. კასიმფაშა | 3 | 2 | 0 | 1 | 5-4 | 6 |
| 8. გალათასარაი | 4 | 1 | 3 | 0 | 4-3 | 6 |
| 9. სივასპორი | 4 | 2 | 0 | 2 | 7-8 | 6 |
| 10. ტრაბზონს. | 4 | 2 | 0 | 2 | 3-6 | 6 |
| 11. გენჩლერი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-3 | 4 |
| 12. ესკიშეჰისპორი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-4 | 4 |
| 13. კაისერი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-6 | 4 |
| 14. კაისერისპორი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-7 | 4 |
| 15. ბურსასპორი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-7 | 4 |
| 16. ანთალიასპორი | 4 | 0 | 3 | 1 | 2-3 | 3 |
| 17. კონიასპორი | 4 | 1 | 0 | 3 | 4-8 | 3 |
| 18. გაზიანთეპი | 4 | 0 | 1 | 3 | 3-9 | 1 |

**ბომბარდირები:** 4 - უგო ალმეიდა (ბეშიქთაში), 3 - დირკ კუიტი (ფენერბაჰჩე), სერჯან კაია (რიზესპორი)

**ჰერტა-შტუტგარტი 0:1**

**გოლი:** 0:1 გენტნერი (49)
**ჰერტა (4-1-4-1):** კრაფტი - პეკარიკი, ლუსტენბერგერი, ბრუკსი, ვან დერ ბერგი - ჰოსოგაი - ჩიგერჩი (76. ვაგნერი), სკიელბრედი (76. ნ. შულცი), რონი, ბენ-ჰატირა (84. ალაგუი) - რამოსი.
**შტუტგარტი (4-2-3-1):** ულრაიხი - გ. საკაი, შვააბი, რიუდიგერი, ბოკა - კვისტი, გენტნერი - ლაიტნერი (89. კაკაუ), მაქსიმი (58. ტრაორე), ტი. ვერნერი (66. ჰარნიკი) - იბიშევიჩი.
**გაფრთხილება:** რონი - იბიშევიჩი
**კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 13-12; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 19(8)-8(5); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.
**მაყურებელი:** 46 624

**ბაიერნი-ჰანოვერი 2:0**

**გოლები:** 1:0 მანჯუკიჩი (51), 2:0 რიბერი (64)
**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი - რაფინია, ვან ბუიტენი, ჟ. ბოატენგი (68. დანტე), ალაბა - ლამი, ტ. კროოსი (86. კირხჰოფი) - რობენი, თ. მიულერი, რიბერი (80. შაჩირი) - მანჯუკიჩი.
**ჰანოვერი (4-4-2):** ცილერი - ჰ. საკაი, მარსელო, სანე, პოკონიოლი - ბიტენკური, ანდრეასენი (74. კ. შულცი), შტინდლი, პრიბი (82. შლაუდრაფი) - ია კონანი (67. შმიდებახი), ა. ზობიეხი.
**გაფრთხილება:** რიბერი, ტ. კროოსი, ჟ. ბოატენგი - მარსელო, პრიბი, ბიტენკური
**კუთხური:** 13-4; **ჯარიმა:** 14-12; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 18(8)-13(2); **ბურთის ფლობა:** 68%-32%.
**მაყურებელი:** 71 000

**ლევერკუზენი-ვოლფსბურგი 3:1**

**გოლები:** 1:0 სემი (24), 1:1 ოლიჩი (39), 2:1 კისლინგი (65), 3:1 კისლინგი (92)
**ლევერკუზენი (4-1-2-2-1):** ლენო - ჰილბერტი (74. დონატი), ვოლშაიდი, სპაჰიჩი, ბიონიში - რაინარტცი - კასტრო, როლფესი - სემი (88. რ. კრუსი), სონი (81. ჩანი) - კისლინგი.
**ვოლფსბურგი (4-2-3-1):** ბენალიო - ტრეში, ნალდო, კნოხე (82. კუჩკე), როდრიგესი - კოო (59. მედოიევიჩი), ლუის გუსტავო - ვიეირინია, დიეგო, მ. შეფერი (71. პერიშიჩი) - ოლიჩი.
**გაძევება:** ლუის გუსტავო (85. ვოლფსბურგი)
**გაფრთხილება:** ვოლშაიდი, სემი - ნალდო, ვიეირინია
**კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 17-12; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 14(7)-14(5); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.
**მაყურებელი:** 27 149

**ვერდერი-აინტრახტი 0:3**

**გოლები:** 0:1 კადლეცი (14), 0:2 კადლეცი (34), 0:3 პრიოდლი (77-საკ. კარში)
**ვერდერი (4-4-2):** მილიტცი - ფრიტცი, პრიოდლი, ლუკიმია, კალდიროლა - ელია, ფ. კროოსი (46. გებრე სელასიე), მაკიადი, ექიჩი (46. იგნიოვსკი) - დი სანტო, ჰანტი (77. პეტერსენი).
**აინტრახტი (4-2-3-1):** ტრაპი - ს. იუნგი, სამბრანო, ანდერსონი, ოჩიპკა (85. ჯაპკა) - როდე, რუსი - აიგნერი, ბარნეტა, ინუი (61. ფლუმი) - კადლეცი (81. ლაკიჩი).
58-ე წუთზე ჰანტმა (ვერდერი) ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)
**გაძევება:** დი სანტო (26. ვერდერი)
**გაფრთხილება:** კალდიროლა, მაკიადი.
**კუთხური:** 5-10; **ჯარიმა:** 14-13; **თამაშგარე:** 0-4; **კარში დარტყმა:** 12(4)-14(6); **ბურთის ფლობა:** 33%-67%.
**მაყურებელი:** 40 060

**მაინცი-შალკე 0:1**

**გოლი:** 0:1 კ. ბოატენგი (34)
**მაინცი (4-2-3-1):** ჰ. მიულერი - პოსპეხი, სვენსონი, ნოვესკი, პარკი - ბაუმგარტლინგერი, მორიტცი (76. დ. შაჰინი) - ნ. მიულერი, სოტო (76. გაისი), ჩუპომოტინგი - ოკაზაკი (57. პოლტერი).
**შალკე (4-2-3-1):** ჰილდებრანდი - უჩიდა, ჰიოვედესი, მატიპი, აოგო - ჰიოგერი (69. ჯონსი), ნოიშტედტერი - ფარფანი (91. მ. მაიერი), კ. ბოატენგი (82. გორეტცკა), დრაქსლერი - სალაი.
**გაფრთხილება:** სვენსონი - უჩიდა, მ. მაიერი, მატიპი
**კუთხური:** 1-5; **ჯარიმა:** 15-19; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 14(0)-10(5); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.
**მაყურებელი:** 34 000

**აუგსბურგი-ფრაიბურგი 2:1**

**გოლები:** 0:1 მეჰმედი (46), 1:1 ჰალილ ალთინთოფი (62), 2:1 ტო. ვერნერი (89)
**აუგსბურგი (4-1-4-1):** მანინგერი - ვერჰეგი, კალსენ-ბრაკერი, კლავანი, ოსტრცოლეკი - ბაიერი - ჰანი, ფოგტი (58. მორავეკი), ჰალილ ალთინთოფი (86. ფეტში), ჰოლცჰოიზერი (74. ტო. ვერნერი) - მიოლდერსი.
**ფრაიბურგი (4-4-2):** ბაუმანი - ჰიოფლერი (46. ჰიონი), დიანიე, გინტერი, ზორგი - შმიდი, ფერნანდესი, შუსტერი, კოკელინი - გუედე (46. მეჰმედი), ფრაისი (76. ჰანკე).
გაფრთხილება: მიოლდერსი - გუედე, ჰიოფლერი
**კუთხური:** 10-3; **ჯარიმა:** 16-21; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 14(6)-5(1); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.
**მაყურებელი:** 28 453

**დორტმუნდი-ჰამბურგი 6:2**

**გოლები:** 1:0 ობამეიანგი (19), 2:0 მხითარიანი (22), 2:1 ჟ. ლამი (26), 2:2 ვესტერმანი (49), 3:2 ობამეიანგი (65), 4:2 ლევანდოვსკი (73), 5:2 როისი (74), 6:2 ლევანდოვსკი (81)
**დორტმუნდი (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - გროსკროიტცი, სუბოტიჩი (61. სოკრატისი), ჰუმელსი, შმელცერი (79. დურმი) - ს. ბენდერი, ნ. შაჰინი - ობამეიანგი, მხითარიანი (79. ი. ჰოფმანი), როისი - ლევანდოვსკი.
**ჰამბურგი (3-4-1-2):** ადლერი - ლ. ზობიეხი (46. ირაჩეკი), ჯურუ, ვესტერმანი - დიკმაიერი, არსლანი, რინკონი (68. ჩალჰანოღლუ), ჟ. ლამი - ვან დერ ვაარტი (85. ლასოგა) - ბაისტერი, ზუა.
**გაფრთხილება:** რინკონი, ვან დერ ვაარტი, დიკმაიერი, არსლანი
**კუთხური:** 7-2; **ჯარიმა:** 11-19; **თამაშგარე:** 6-0; **კარში დარტყმა:** 32(14)-4(2); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.
**მაყურებელი:** 80 645

**ჰოფენჰაიმი-გლადბახი 2:1**

**გოლები:** 1:0 მოდესტე (45), 2:0 ვოლანდი (54), 2:1 ჰრგოტა (75)
**ჰოფენჰაიმი (4-2-3-1):** კასტელსი - ბეკი, აბრაამი, ვესტერგაარდი, ჯონსონი - რუდი (54. ზიულე), პოლანსკი - ვოლანდი, ჰერდინგი (56. შტრობლი), ელიონუსი - მოდესტე (72. შიპლოკი).
**გლადბახი (4-4-2):** ტერ შტეგენი - იანტშკე, შტრანცლი, დომინგესი, დაემსი - ჰერმანი (66. ჰრგოტა), კრამერი (70. ლ. დე იონგი), ჯაკა, არანგო (70. იუნესი) - რაფაელი, კრუსე.
**გაფრთხილება:** აბრაამი, ბეკი, მოდესტე - იანტშკე, ჯაკა
**კუთხური:** 2-3; **ჯარიმა:** 18-9; **თამაშგარე:** 4-4; **კარში დარტყმა:** 10-16 (8-8); **ბურთის ფლობა:** 32%-68%.
**მაყურებელი:** 29 447

**ბრაუნშვაიგი-ნიურნბერგი 1:1**

**გოლები:** 0:1 პლუშეკი (28), 1:1 ელაბდელაუი (70)
**ბრაუნშვაიგი (4-4-2):** პეტკოვიჩი - კესელი, ბიკაკჩიჩი, დოგანი, რაიშელი - ელაბდელაუი, კალიჯური, ტოიერკაუფი, ბოლანდი (72. ადემი) - ბელარაბი (80. პერთელი), კუმბელა (87. კრუპკე).
**ნიურნბერგი (4-2-3-1):** შაფერი - ჩანდლერი, ნილსონი, პოგატეცი, პლატენჰარდტი - ჰასებე, ბალიტში - დრმიჩი (61. ფრანცი), კიოტაკე, პლუშეკი - გინჩეკი.
**გაფრთხილება:** კესელი, რაიშელი, კუმბელა - გინჩეკი (83. პეკჰარტი), ჰასებე (90. სტარკი).
**კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 20-20; **თამაშგარე:** 6-1; **კარში დარტყმა:** 23-9 (11-6); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.
**მაყურებელი:** 22 570

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დორტმუნდი | 5 | 5 | 0 | 0 | 15-4 | 15 |
| 2. ბაიერნი | 5 | 4 | 1 | 0 | 9-2 | 13 |
| 3. ლევერკუზენი | 5 | 4 | 0 | 1 | 11-6 | 12 |
| 4. ჰანოვერი | 5 | 3 | 0 | 2 | 8-7 | 9 |
| 5. მაინცი | 5 | 3 | 0 | 2 | 8-8 | 9 |
| 6. აუგსბურგი | 5 | 3 | 0 | 2 | 5-7 | 9 |
| 7. ჰოფენჰაიმი | 5 | 2 | 2 | 1 | 14-13 | 8 |
| 8. ჰერტა | 5 | 2 | 1 | 2 | 9-6 | 7 |
| 9. შალკე | 5 | 2 | 1 | 2 | 7-9 | 7 |
| 10. შტუტგარტი | 5 | 2 | 0 | 3 | 10-8 | 6 |
| 11. გლადბახი | 5 | 2 | 0 | 3 | 11-10 | 6 |
| 12. ვოლფსბურგი | 5 | 2 | 0 | 3 | 7-7 | 6 |
| 13. აინტრახტი | 5 | 2 | 0 | 3 | 7-9 | 6 |
| 14. ვერდერი | 5 | 2 | 0 | 3 | 3-8 | 6 |
| 15. ჰამბურგი | 5 | 1 | 1 | 3 | 10-15 | 4 |
| 16. ნიურნბერგი | 5 | 0 | 3 | 2 | 5-8 | 3 |
| 17. ფრაიბურგი | 5 | 0 | 2 | 3 | 7-11 | 2 |
| 18. ბრაუნშვაიგი | 5 | 0 | 1 | 4 | 2-10 | 1 |

**ბომბარდირები:** 5 - პიერ-ემერიკ ობამეიანგი (დორტმუნდი), ვედად იბიშევიჩი (შტუტგარტი), ნიკოლაი მიულერი (მაინცი).

### მომდევნო ტური

20 სექტემბერი. გლადბახი-ბრაუნშვაიგი
21 სექტემბერი. ჰანოვერი-აუგსბურგი, ვოლფსბურგი-ჰოფენჰაიმი, ნიურნბერგი-დორტმუნდი, მაინცი-ლევერკუზენი, ჰამბურგი-ვერდერი, შალკე-ბაიერნი.
22 სექტემბერი. ფრაიბურგი-ჰერტა, შტუტგარტი-აინტრახტი

### II ბუნდესლიგა VII ტური

**აალენი-მიუნხენ 1860** 0:0

**პადერბორნი-კარლსრუე** 1:0
გოლი: 1:0 კაჩუნგა (61)

**აუე-არმინია** 0:2
გოლები: 0:1 კ. მიულერი (47), 0:2 რიზე (94)

**ზანკტ პაული-ფრანკფურტი** 2:1
გოლები: 1:0 ვერჰუკი (3), 2:0 რეატკოვსკი (58), 2:1 ჰალსტენბერგი (63-საკ. კარში)

**ზანდჰაუზენი-კაიზერსლაუტერნი** 1:0
გოლი: 1:0 ლიონინგი (85)

**ფორტუნა-დინამო** 1:1
გოლები: 1:0 ო. ფინკი (18), 1:1 მიულერი (82)

**ფიურტი-ბოხუმი** 0:2
გოლები: 0:1 ვილონგი (4), 0:2 ტასაკა (25)

**ინგოლშტადტი-უნიონი** 0:1
გოლი: 0:1 ბრენდი (48)

### 16 სექტემბერი

**კოტბუსი-კიოლნი** 22:15

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. უნიონი | 7 | 4 | 2 | 1 | 12-8 | 14 |
| 2. ფიურტი | 7 | 4 | 2 | 1 | 9-5 | 14 |
| 3. ბოხუმი | 7 | 3 | 2 | 2 | 11-8 | 11 |
| 4. არმინია | 7 | 3 | 2 | 2 | 13-11 | 11 |
| 5. ზანკტ პაული | 7 | 3 | 2 | 2 | 9-8 | 11 |
| 6. კიოლნი | 6 | 2 | 4 | 0 | 9-4 | 10 |
| 7. მიუნხენ 1860 | 7 | 3 | 1 | 3 | 5-6 | 10 |
| 8. კაიზერსლ. | 7 | 3 | 1 | 3 | 9-11 | 10 |
| 9. კარლსრუე | 7 | 2 | 3 | 2 | 6-5 | 9 |
| 10. ზანდჰაუზენი | 7 | 2 | 3 | 2 | 6-6 | 9 |
| 11. აალენი | 7 | 2 | 3 | 2 | 7-8 | 9 |
| 12. აუე | 7 | 3 | 0 | 4 | 7-11 | 9 |
| 13. კოტბუსი | 6 | 2 | 2 | 2 | 14-8 | 8 |
| 14. ფრანკფურტი | 7 | 2 | 2 | 3 | 8-7 | 8 |
| 15. ფორტუნა | 7 | 2 | 2 | 3 | 8-10 | 8 |
| 16. პადერბორნი | 7 | 2 | 2 | 3 | 8-13 | 8 |
| 17. დინამო | 7 | 0 | 4 | 3 | 6-12 | 4 |
| 18. ინგოლშტადტი | 7 | 1 | 1 | 5 | 6-12 | 4 |

**ბომბარდირები:** 6 - სანოგო (კოტბუსი); 4 - იდრისუ (კაიზერსლაუტერნი), ნემეცი (უნიონი), რისსე (კილნი), ვერჰუკი (ზანკტ პაული), ცოლერი (კაიზერსლაუტერნი).

### III ბუნდესლიგა

**ვეენი-კილი 1:1, დუისბურგი-დარმშტადტი 0:4, ჰალეშერი-ჰაიდენჰაიმი 0:1, შტუტ. კიკერსი-რეგენსბურგი 3:0, ზაარბრიუკენი-ხემნიტცი 1:1, ჰანზა-დორტმუნდი II 1:2, ერფურტი-ელვერსბერგი 2:0, ლაიპციგი-შტუტგარტი II 3:1, ბურგჰაუზენი-ოსნაბრიუკი 1:4, პროისენ მიუნსტერი-უნტერჰახინგი 2:3.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. IV ტური

# იოზილი, ერიკსენი და სხვები

„ევერტონს“ „ჩელსიზე“ უკეთ ნამდვილად არ უთამაშია. დროდადრო ლივერპულელთა შორის ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი **ტიმ ჰოვარდიც** კი არ ჰგავდა საკუთარ თავს, თუმცა ცალკე იღბალმა და ცალკე მონდომებამ შედეგი ბოლოს მაინც გამოიღო. თამაში მაღალ ტემპში დაიწყო. მასპინძელი გუნდი მხოლოდ მომენტებში თუ ახერხებდა საკუთარ ნებაზე ბურთის გათამაშებას, რომელიც, როგორც წესი, „ჩელსის“ საჯარიმოს მისადგომებთან მთავრდებოდა. პირველ ტაიმში შედარებით ნაკლებად, მეორეში კი ფანტასტიკურად ათამაშდა **როს ბარკლი**. 19 წლის ნახევარმცველი ეპიზოდებში მეტოქეს ფილიგრანული ტექნიკით პირში ჩალაგამოვლებულს ტოვებდა. თინეიჯერი პლეიმეიკერის აქტიურობას ორჯერ მოჰყვა სახიფათო საჯარიმო დარტყმა, რომელთაგან ერთი **ლეიტონ ბეინსმა** ხარიხას მოარტყა. დაცვას საქმე შეუმსუქა ახალწვეულმა **გარეთ ბერიმ**. 32 წლის ვეტერანმა ერთ მომენტში **სამუელ ეტოოს** ცარიელ კარში დარტყმის საშუალება არ მისცა. ერთადერთი გოლი პირველი ტაიმში მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში გავიდა: **პეტრ ჩეხმა** ეტოოს სწრაფი კონტრშეტევის საჯარიმოს გარეთ, სუმოს ილეთების გამოყენების გამო დააფიქსირა. ფორმალურად მას ამის უფლება კი ჰქონდა, თუმცა რეალურად გამოვიდა, რომ ამით შემტევი გუნდი დაიჩაგრა. „მეთოფეებმა“ ანგარიში უსწრაფესი კონტრშეტევის წყალობით გახსნეს. **თეო უოლკოტმა** გრძელი პასით **მესუთ იოზილი** მონახა, „პასების მეფემ“ **ოლივიე ჟირუს** გაატანინა. ლონდონური აქტივის გასახსნელად გერმანელს ზუსტად 11 წუთი ეყო. „შავმა კატებმა“ პენალტით გაათანაბრეს, თუმცა **აარონ რემსიმ** ისინი ორი ეფექტური დარტყმით პრემიერლიგის ცხრილის ბოლო ადგილზე მოისროლა.


მესუთ იოზილის ლონდონური დებიუტი შთამბეჭდავი გამოვიდა

იმედად ბურთი არაზუსტად გადაანოდა, რომელიც ბერის ნადავლი გახდა. მრავალსვლიანი კომბინაციის შემდეგ **ნიკიცა იელავიჩმა** ყველასგან მიტოვებული **სტივენ ნეისმიტი** მონახა. იუბილარმა შოტლანდიელმა (27 წლის გახდა) დაახლოებით ერთი მეტრიდან თავით იოლი ბურთი შეაგდო. „ჩელსის“ იქამდეც შეეძლო ანგარიშის გახსნა და გასათანაბრებლად შემდეგაც არ დაუზოგავს თავი, თუმცა სულ ტყუილად. ზემოთაც ვთქვით, შაბათს „გუდისონზე“ იღბალი „ევერტონის“ მხარეს იყო.

## 11 წუთი საკმარისია

„სანდერლენდი“-„არსენალის“ მატჩის მიწურულს მასპინძელთა თავკაცმა **პაოლო დი კანიომ** მეოთხე მსაჯი საკუთარი ემოციურობითა და ხმამაღლა გამოთქმული პრეტენზიებით იმდენად შეაწუხა, რომ მან დასახმარებლად **მარტინ ატკინსონს** უხმო. იტალიელი არბიტრის მიერ მიღებულმა რამდენიმე გადაწყვეტილებამ წყობილებიდან გამოიყვანა. მთავარმა მსაჯმა მეორე ტაიმში **ჟოზი ალტიდორს** გოლი წაართვა. ამერიკელმა **ბაკარი სანია** ფიზიკურ ორთაბრძოლაში დაჩაგრა, მეკარესთან პირისპირ გავიდა და გაიტანა. ატკინსონმა კი ფეხბურთელს აუწყა, რომ მან სანიას მიერ წესის დარღვევა ჯერ კიდევ ვარმა მსაჯმა **ჯონათან მოსმა** ამოცანა პირველი ტაიმის მიწურულს გაუადვილა, როცა „უკანასკნელი იმედის ჯარიმისთვის“ **კაგიშო დიკგაჩოი** მოედნიდან მიაბრძანა და პენალტი დანიშნა. სამხრეთაფრიკელი წითელ ბარათს იმსახურებდა, თუმცა მან თამაშის წესი საჯარიმოს გარეთ დაარღვია. შესაბამისად, თერთმეტმეტრიანი შეცდომით დაინიშნა. **რობინ ვან პერსიმ** ანგარიში მშვიდი სინდისით გახსნა. მეორე გოლი მოულოდნელად ძირითადში გამოჩენილმა **უეინ რუნიმ** ბრწყინვალე საჯარიმოთი გაიტანა. თავის გამოჩენა შეეძლო შეცვლაზე შესულ **მარუან ფელაინისაც**, თუმცა **ხულიან სპერონი** ბელგიელის მძლავრ დარტყმას ადგილზე დახვდა. შთამბეჭდავი დებიუტი ჰქონდა მეორე ბელგიელსაც. ვგულისხმობთ 18 წლის **ადნან იანუზაის**.

## ეფექტური ახალწვეული

„უაით ჰართ ლეინზე“ დებიუტი ჰქონდა „აიაქსიდან“ შეძენილ **კრისტიან ერიკსენს**. 22 წლის დანიელმა ისეთი შთაბეჭდილება დატოვა, თითქოს უკვე წლებია, „დეზების“ ლირსებას იცავს. ჩრდილოლონდონელთა გულშემატკივრებმა საკუთარი თვალით ნახეს, თუ რა შეუძლია მას. ერიკსენი ერთნაირად ეფექტურია ორივე ფეხით, შეუძლია მოკლე და გრძელი გადაცემების ჩამორიგება და რაც მთავარია, ამ ყველაფერს ის მხოლოდ გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე აკეთებს. სწორედ მის ეშმაკურ პასს მოჰყვა **გილფი სიგურდსონის** პირველი გოლი. ისლანდიელმა მეორე ტაიმში ერთი კიდევ გაიტანა და ერთხელ **ჯონ რადის** დროული რეაქცია რომ არა, ის პრემიერლიგაში პირველ ჰეთთრიკსაც შეასრულებდა.

## მარტო ბურთის ფლობა არ კმარა

„მანჩესტერ სიტის“ „ბრიტანიაზე“ მხოლოდ ბურთის ფლობაში ჰქონდა სოლიდური უპირატესობა. რაც შეეხება მის აზრიანად განკარგვას, ამ მხრივ მასპინძლებმა მრისხანე მეტოქეს გაკვეთილი ჩაუტარეს. რომ არა **ჯო ჰარტი**, ანგარიში შეიძლებოდა გამანადგურებელიც კი გამხდარიყო. მარტო **კენუაინ ჯონსს** სამჯერ მართებდა ანგარიშის გახსნა. საოცარ სიტუაციაში ვერ მოახერხა ბურთის კარში გადაგზავნა **ჯონათან უოლტერსმა**. ირლანდიელმა თავით ორი მეტრიდან მოახერხა და ვერ გაიტანა. რიგ ეპიზოდებში „ქალაქელების“ დაცვას ღრმა ძილი მოერეოდა ხოლმე. ამის მაგალითი იყო უოლტერსის მომენტიც და **სამირ ნასრის** გარჯაც. ფრანგს რატომღაც ბურთით კეკლუცობა მოუნდა და ჯონსი მეკარეს პირისპირ შეატოვა. ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ საგოლე სიტუაციები სტუმრებსაც ჰქონდათ. **რობერტო სოლდადომ** ახლო მანძილიდან ქუსლით ძელს გაარტყა, მერე **სტევან იოვეტიჩს** შეეძლო თავის გამოჩენა, თუმცა ხარიხას გადააცილა.

## ზედიზედ მესამედ

„ასტონ ვილამ“ ჩემპიონატში მიჯრით მესამე თამაში დათმო. შეიძლება დიდხანს ვილაპარაკოთ იმაზე, რომ ბირმინგემელებს უმძიმესი ცხრილი ჰქონდათ და რომ წინა მატჩებში „ჩელსისა“ და „ლივერპულთან“ ცუდად არ გამოიყურებოდნენ, თუმცა სიმპტომები სახეზეა - „ვილა“ ავად არის და **პოლ ლამბერტმა** მას რაღაც უნდა უწამლოს. „ვილა პარკზე“ საუკეთესო იყო „კაჭკაჭების“ ლიდერი **ჰატემ ბენ არფა**. სწორედ ფრანგმა გახსნა ანგარიში, რის შემდეგაც რეგულარულად ემუქრებოდა **ბრედ გუზანის** კარს, ერთ-ერთი ასეთი მცდელობის შემდეგ კი დამატებაზე **იოან გუფრანმა** იმარჯვა. ჩემპიონატში თავისი მეოთხე გოლი გაიტანა **კრისტიან ბენტეკემ**. ამ ეპიზოდში ბელგიელს ხელი შეუწყო ტიმ კრულის უჩვეულოდ უსუსურმა თამაშმა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

## შოტლანდია

### პრემიერშიპი. VI ტური

**პარტსი-სელტიკი 1:3**

**გოლები:** 0:1 კომონსი (19-პენ), 1:1 ჰოლტი (58), 1:2 სტოუკსი (65), 1:3 პუკი (86)

**სელტიკი (4-4-1-1):** ფორსტერი - ლუსტიგი, ემბროუზი, ვან დიიკი, ისაგირე - ბრაუნი, ლედლი (66. მალგროუ), მეტიუსი (44. სამარასი), ბურიხტერი - კომონსი (74. პუკი) - სტოუკსი

| | |
|---|---|
| კილმარნოკი-ინვერნესი | 1:2 |
| პატრიკი-აბერდინი | 0:3 |
| სტ. მირენი-მოზერველი | 0:1 |
| სტ. ჯონსტონი-ჰიბერნიანი | 1:2 |
| როს ქაუნთი-დანდი იუნ. | 2:4 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინვერნესი | 6 | 5 | 1 | 0 | 12-3 | 16 |
| 2. სელტიკი | 5 | 4 | 1 | 0 | 10-4 | 13 |
| 3. მოზერველი | 6 | 4 | 0 | 2 | 6-6 | 12 |
| 4. აბერდინი | 6 | 3 | 1 | 2 | 9-6 | 10 |
| 5. დანდი იუნ. | 6 | 2 | 2 | 2 | 9-5 | 8 |
| 6. სტ. ჯონსტონი | 6 | 2 | 2 | 2 | 6-6 | 8 |
| 7. ჰიბერნიანი | 6 | 2 | 2 | 2 | 5-5 | 8 |
| 8. პატრიკი | 6 | 2 | 2 | 2 | 6-7 | 8 |
| 9. როს ქაუნთი | 6 | 1 | 1 | 4 | 7-13 | 4 |
| 10. კილმარნოკი | 6 | 0 | 2 | 4 | 5-9 | 2 |
| 11. სტ. მირენი | 5 | 0 | 1 | 4 | 2-10 | 1 |
| 12. ჰარტსი * | 6 | 2 | 1 | 3 | 5-8 | -8 |

* „ჰარტსს“ დაკლებული აქვს 15 ქულა

**იუნაიტედი-კრისტალ პალ. 2:0**

**გოლები:** 1:0 ვან პერსი (45-პენ), 2:0 რუნი (81)

**იუნაიტედი (4-2-3-1):** დე ხეა - რაფაელი, ვიდიჩი, ფერდინანდი, ევრა - ანდერსონი (62. ფელაინი), კერიკი - იანგი (67. იანუზაი), ვალენსია, რუნი - ვან პერსი (78. ხ. ერნანდესი)

**კრისტალ პალასი (4-3-3):** სპერონი - მარიაპა, გებიდონი, დელენეი, მოქსი - დიკგაჩოი, ჟედინაკი, კამპანია (59. გედიურა) - პანჩეონი, შამახი (75. კებე), გეილი (64. ჯერომი)

**გაფრთხილება:** იანგი - მოქსი, შამახი

**გაძევება:** - დიკგაჩოი (45)

**კარში დარტყმა:** 28-4 (8-0) **კუთხური:** 11-1 **თამაშგარე:** 5-0 **ჯარიმა:** 10-12 **ბურთის ფლობა:** 60%-40%

**მაყურებელი:** 75 102

**ასტონ ვილა-ნიუკასლი 1:2**

**გოლები:** 0:1 ბენ არფა (18), 1:1 ბენტეკე (67), 1:2 გუფრანი (73)

**ასტონ ვილა (4-3-3):** გუზანი - ლოუტონი, ვლაარი, ოკორე (30. კლარკი), ლუნა - დელფი, ვესტვუდი, ელ-აჰმადი (67. კოზაკი) - ვაიმანი (88. ტონევი), აგბონლაჰორი, ბენტეკე

**ნიუკასლი (4-3-3):** კრული - დებუში, იანგა-მბივა, კოლოჩინი, სანტონი - სისოკო, ანიტა (74. ტიოტე), კაბაი (88. ს. ამეობი) - ბენ არფა, სისე, რემი (63. გუფრანი)

**გაფრთხილება:** დელფი - იანგა-მბივა, კაბაი, დებუში, გუფრანი

**კარში დარტყმა:** 11-25 (1-8) **კუთხური:** 4-2 **თამაშგარე:** 1-3 **ჯარიმა:** 10-12 **ბურთის ფლობა:** 55%-45%

**მაყურებელი:** 37 554

**ფულჰემი-ვესტ ბრომვიჩი 1:1**

**გოლები:** 1:0 სიდუელი (22), 1:1 მაკაული (90)

**ფულჰემი (4-4-1-1):** სტოკდეილი - რიჩარდსონი (67. ამორებიეტა), ჰანგელანდი, სენდეროსი, რიტერი - პარკერი, სიდუელი, კაჩანიკლიჩი, რუისი (90+1. დაფი) - კასამი - ბერბატოვი (77. როდალიეგა)

**ვესტ ბრომვიჩი (4-4-2):** მაიჰილი - ბ. ჯონსი, მაკაული, ოლსონი, რიჯუელი - მულუმბუ, იაკობი (63. ჯ. მორისონი), ამალფიტანო (63. ს. სინკლერი), ბრანტი - ანელკა, ანიჩებე (78. ბერაინო)

**გაფრთხილება:** - ბ. ჯონსი

**კარში დარტყმა:** 14-16 (2-4) **კუთხური:** 4-5 **თამაშგარე:** 3-4 **ჯარიმა:** 11-12 **ბურთის ფლობა:** 56%-44%

**მაყურებელი:** 25 560

**ჰალ სიტი-კარდიფი 1:1**

**გოლები:** 1:0 კ. დევისი (40), 1:1 უიტინგჰემი (59)

**ჰალ სიტი (4-4-2):** მაკგრეგორი - ელმოჰამადი, ჩესტერი, კ. დევისი, ფიგეროა - ლივერმორი, ჰადლსტოუნი, ბრეიდი (67. ქუინი), კორენი - გრემი, ალუკო

**კარდიფი (4-2-3-1):** ლუისი - ტეოფილ-კატრინი, ბ. ტერნერი, კოლკერი, ე. ტეილორი - კიმი (46. მაინარდი), კოუი (90. მუტჩი) - გუნარსონი, მედელი, უიტინგჰემი - ფ. კემპბელი (65. გესტედე)

**გაფრთხილება:** კ. დევისი - ფ. კემპბელი, ტერნერი

**კარში დარტყმა:** 23-12 (5-2) **კუთხური:** 6-2 **თამაშგარე:** 2-1 **ჯარიმა:** 7-9 **ბურთის ფლობა:** 46%-54%

**მაყურებელი:** 21 949

**სტოკ სიტი-სიტი 0:0**

**სტოკ სიტი (4-2-3-1):** ბეგოვიჩი - კემერონი, ჰუთი, შოუკროსი, პიტერსი - უილსონი, ნზონზი - ეთერინგტონი (70. აირლანდი), ადამი (70. არნაუტოვიჩი), უილსონი - კ. ჯონსი (77. კრაუჩი)

**სიტი (4-2-3-1):** ჰარტი - საბალეტა, ნასტასიჩი, ხ. გარსია, კოლაროვი - ი. ტურე, როდუელი - მილნერი, იოვეტიჩი (63. აგუერო), ნასრი (73. ნავასი) - ნეგრედო

**გაფრთხილება:** უოლტერსი - ხ. გარსია

**კარში დარტყმა:** 14-13 (3-3) **კუთხური:** 2-4 **თამაშგარე:** 1-0 **ჯარიმა:** 13-11 **ბურთის ფლობა:** 42%-58%

**მაყურებელი:** 25 052

**სანდერლენდი-არსენალი 1:3**

**გოლები:** 0:1 ჟირუ (11), 1:1 კ. გარდნერი (49-პენ), 1:2 რემსი (67), 1:3 რემსი (76)

**სანდერლენდი (4-4-2):** ვესტვუდი - ჩელუსტკა, დიაკიტე, რობერჟი, კოლბეკი - ვონი (46. კ. გარდნერი), კი, მავრიასი (71. ბორინი), ა. ჯონსონი - ს. ფლეტჩერი (77. უიკჰემი), ალტიდორი

**არსენალი (4-4-1-1):** შჩესნი - ჯენკინსონი, სანია, კოშელნი, გიბსი - რემსი, ფლამინი - უოლკოტი (89. მონრეალი), იოზილი (80. ვერმალენი), უილშირი - ჟირუ (90+2. აკპომი)

**გაფრთხილება:** კ. გარდნერი - ფლამინი, სანია

**კარში დარტყმა:** 21-20 (3-6) **კუთხური:** 6-6 **თამაშგარე:** 4-0 **ჯარიმა:** 13-11 **ბურთის ფლობა:** 30%-70%

**მაყურებელი:** 39 055

**ტოტენჰემი-ნორვიჩი 2:0**

**გოლები:** 1:0 სიგურდსონი (28), 2:0 სიგურდსონი (49)

**ტოტენჰემი (4-2-3-1):** ლორისი - უოლკერი, დოუსონი, ვერტონგენი, როუზი - პაულინიო, დემბელე (83. ლამელა) - სიგურდსონი (79. სანდრო), ერიკსენი (71. ჰოლტბი), ტაუსენდი - სოლდადო

**ნორვიჩი (4-4-2):** რადი - გარიდო, მ. ტერნერი, ბასონგი, უიტეკერი - ფერი, ბ. ჯონსონი (64. ჰაუსონი), რედმონდი (74. პილკინგტონი), სნოდგრასი - ელმანდერი (74. ტეტი), ვან ვოლფსვინკელი

**გაფრთხილება:** ლორისი - ბ. ჯონსონი, გარიდო, ელმანდერი

**კარში დარტყმა:** 30-6 (7-1) **კუთხური:** 8-1 **თამაშგარე:** 1-4 **ჯარიმა:** 4-12 **ბურთის ფლობა:** 69%-31%

**მაყურებელი:** 35 952

**ევერტონი-ჩელსი 1:0**

**გოლი:** 1:0 ნეისმიტი (45)

**ევერტონი (4-2-3-1):** ჰოვარდი - კოულმენი, იაგიელკა, დისტენი, ბეინსი - ბარი, ოსმანი - ნეისმიტი (89. სტოუნსი), ბარკლი, მირალიაში (90+2. დეულოფეუ) - იელავიჩი (67. მაკარტი)

**ჩელსი (4-2-3-1):** ჩეხი - ივანოვიჩი, ტერი, ლუისი, ე. კოული (69. ტორესი) - მიკელი, რამირესი - შიურლე (58. ლამპარდი), მატა (57. ოსკარი), აზარი - ეტოო

**გაფრთხილება:** - ივანოვიჩი, აზარი, ლუისი, მიკელი

**კარში დარტყმა:** 16-28 (5-6) **კუთხური:** 5-7 **თამაშგარე:** 2-0 **ჯარიმა:** 10-14 **ბურთის ფლობა:** 43%-57%

**მაყურებელი:** 36 034

**საუთჰემპტონი-ვესტ ჰემი 0:0**

**საუთჰემპტონი (4-2-3-1):** ბორუცი - კლაინი, ფონტე, ლოვრენი, შოუ (77. ჩემბერსი) - ვანიამა, შნაიდერლინი - ლალანა (72. ვორდ-პრაუსი), ოსვალდო, ჯ. როდრიგესი - ლამბერტი

**ვესტ ჰემი (4-2-3-1):** იასკელაინენი - დემელი (61. რაცი), კოლინსი, რიდი, ობრაიენი - ნოუბლი, მორისონი (77. მ. ტეილორი) - დიამე, ნოლანი, ჯარვისი - მაიგა (68. ვას ტე)

**გაფრთხილება:** ვანიამა - დიამე, ნოუბლი, ობრაიენი

**კარში დარტყმა:** 20-7 (5-1) **კუთხური:** 10-5 **თამაშგარე:** 0-2 **ჯარიმა:** 12-12 **ბურთის ფლობა:** 59%-41%

**მაყურებელი:** 28 794

### 16 სექტემბერი

| | |
|---|---|
| სუონსი-ლივერპული | 23:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 4 | 3 | 0 | 1 | 8-5 | 9 |
| 2. ტოტენჰემი | 4 | 3 | 0 | 1 | 4-1 | 9 |
| 3. ლივერპული | 3 | 3 | 0 | 0 | 3-0 | 9 |
| 4. სიტი | 4 | 2 | 1 | 1 | 8-3 | 7 |
| 5. იუნაიტედი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-2 | 7 |
| 6. ჩელსი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-2 | 7 |
| 7. სტოკი | 4 | 2 | 1 | 1 | 3-2 | 7 |
| 8. ნიუკასლი | 4 | 2 | 1 | 1 | 3-5 | 7 |
| 9. ევერტონი | 4 | 1 | 3 | 0 | 3-2 | 6 |
| 10. ვესტ ჰემი | 4 | 1 | 2 | 1 | 2-1 | 5 |
| 11. საუთჰემპტონი | 4 | 1 | 2 | 1 | 2-2 | 5 |
| 12. კარდიფი | 4 | 1 | 2 | 1 | 4-5 | 5 |
| 13. ფულჰემი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-5 | 4 |
| 14. ნორვიჩი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-5 | 4 |
| 15. ჰალი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-5 | 4 |
| 16. ასტონ ვილა | 4 | 1 | 0 | 3 | 5-6 | 3 |
| 17. კრ. პალასი | 4 | 1 | 0 | 3 | 4-6 | 3 |
| 18. სუონსი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-5 | 3 |
| 19. ვესტ ბრომვიჩი | 4 | 0 | 2 | 2 | 1-4 | 2 |
| 20. სანდერლენდი | 4 | 0 | 1 | 3 | 3-8 | 1 |

ბომბარდირები: 4 - კრისტიან ბენტეკე (ასტონ ვილა), ოლივიე ჟირუ (არსენალი) 3 - დენიელ სტარიჯი (ლივერპული); რობინ ვან პერსი (მანჩესტერ იუნაიტედი)

### მომდევნო ტური

21 სექტემბერი: ნორვიჩი-ასტონ ვილა, ვესტ ჰემი-ევერტონი, ნიუკასლი-ჰალ სიტი, ლივერპული-საუთჰემპტონი, ვესტ ბრომვიჩი-სანდერლენდი, ჩელსი-ფულჰემი

22 სექტემბერი: არსენალი-სტოკი, კრისტალ პალასი-სუონსი, მანჩესტერ სიტი- მანჩესტერ იუნაიტედი, კარდიფი-ტოტენჰემი

### ჩემპიონშიპი. VI ტური

**ბარნლი-ბლექბერნი 1:1**

გოლები: 1:0 სტანისლასი (76), 1:1 როუდსი (85)

გაძევება: - უილიამსონი (90+2)

**ბორნმუთი-ბლექპული 1:2**

გოლები: 0:1 ფულერი (7), 1:1 გრებანი (12), 1:2 ბიშოპი (48)

გაძევება: - რობინსონი (59)

**ბოლტონი-ლიდსი 0:1**

გოლი: 0:1 ვარნი (6)

**ჰადერსფილდი-დონკასტერი 0:0**

**იპსვიჩი-მიდლსბრო 3:1**

გოლები: 0:1 ადომა (12), 1:1 მაკგოლდრიკი (34), 2:1 ჩემბერსი (57), 3:1 მაკგოლდრიკი (90)

**ლესტერი-უიგანი 2:0**

გოლები: 1:0 მური (15), 2:0 ნაჯენტი (81-პენ)

**მილუოლი-დერბი 1:5**

გოლები: 0:1 ბაქსტონი (9), 0:2 ბრაისონი (45), 0:3 ბრაისონი (57), 1:3 უოგჰორნი (75), 1:4 ბრაისონი (81), 1:5 ბენეტი (87)

გაძევება: ლოური (51) -

**ნოტინგემი-ბარნსლი 3:2**

გოლები: 1:0 კოქსი (18), 1:1 ოგრეიდი (20-პენ), 2:1 ეტუჰუ (45-ს.კ-ში), 2:2 ცივკა (69), 3:2 ჰენდერსონი (84)

**ქუინზ პარკი-ბირმინგემი 1:0**

გოლი: 1:0 ოსტინი (49)

**შეფილდ უენ-იოვილი 1:1**

გოლები: 1:0 ნუჰიუ (25), 1:1 როლსი (64)

გაძევება: - ვებსტერი (41)

**უოტფორდი-ჩარლტონი 1:1**

გოლები: 0:1 კერმოგრანტი (47-პენ), 1:1 პუდილი (71)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბლექპული | 6 | 5 | 1 | 0 | 9-3 | 16 |
| 2. ქუინზ პარკი | 6 | 5 | 1 | 0 | 7-2 | 16 |
| 3. ნოტინგემი | 6 | 4 | 1 | 1 | 10-5 | 13 |
| 4. ლესტერი | 6 | 4 | 1 | 1 | 9-5 | 13 |
| 5. ბარნლი | 6 | 3 | 2 | 1 | 9-5 | 11 |
| 6. ლიდსი | 6 | 3 | 2 | 1 | 6-4 | 11 |
| 7. დერბი | 6 | 3 | 1 | 2 | 11-7 | 10 |
| 8. უოტფორდი | 6 | 2 | 3 | 1 | 12-7 | 9 |
| 9. ბორნმუთი | 6 | 3 | 0 | 3 | 7-14 | 9 |
| 10. ბლექბერნი | 6 | 2 | 2 | 2 | 11-8 | 8 |
| 11. ჰადერსფილდი | 6 | 2 | 2 | 2 | 8-5 | 8 |
| 12. უიგანი | 6 | 2 | 2 | 2 | 10-8 | 8 |
| 13. რედინგი | 5 | 2 | 2 | 1 | 7-6 | 8 |
| 14. იპსვიჩი | 6 | 2 | 1 | 3 | 9-7 | 7 |
| 15. ბრაიტონი | 5 | 2 | 1 | 2 | 6-5 | 7 |
| 16. მიდლსბრო | 6 | 1 | 3 | 2 | 7-9 | 6 |
| 17. ჩარლტონი | 5 | 1 | 2 | 2 | 6-7 | 5 |
| 18. დონკასტერი | 5 | 1 | 2 | 2 | 5-6 | 5 |
| 19. შეფილდ უენ. | 6 | 0 | 4 | 2 | 7-9 | 4 |
| 20. ბირმინგემი | 6 | 1 | 1 | 4 | 4-7 | 4 |
| 21. იოვილი | 6 | 1 | 1 | 4 | 2-8 | 4 |
| 22. ბარნსლი | 6 | 1 | 1 | 4 | 8-16 | 4 |
| 23. ბოლტონი | 6 | 0 | 2 | 4 | 3-11 | 2 |
| 24. მილუოლი | 6 | 0 | 2 | 4 | 4-13 | 2 |

ბომბარდირები: 6 - ჯეიმს ვონი (ჰადერსფილდი), 5 - ტროი დინი (უოტფორდი), ლუის გრებანი (ბორნმუთი), ჯორდან როუდსი (ბლექბერნი)

### ლიგა 1. VII ტური

ბრედფორდი-კოლჩესტერი 2:2, ბრისტოლ სიტი-პიტერბორო 0:3, კარლაილი-შეფილდ იუნ. 1:0, ქროული-შრიუსბერი 1:1, ქრიუ-უოლსოლი 0:3, ლეიტონი-პორტ ვეილი 3:2, მილტონი-ნოთს ქაუნთი 3:1, პრესტონი-სტივენეიჯი 3:0, როტერჰემი-ოლდჰემი 3:2, ტრანმერი-ბრენტფორდი 3:4, ვულვერჰემპტონი-სუინდონი 3:2, ქოვენთრი-ჯილინგემი 2:1

### ლიგა 2. VII ტური

ბარტონი-პორტსმუთი 1:2, ჩელტენჰემი-ოქსფორდი 2:2, ჩესტერფილდი-უიმბლდონი 2:0, დაგენჰემი-ბრისტოლ რ. 2:0, ფლიტვუდი-ბერი 2:1, ჰარტლპული-აკრინგტონი 2:1, ნიუპორტი-მოურკემბი 2:3, ნორთჰემპტონი-ექსეტერი 1:2, პლიმუთი-უიკომბი 0:3, როჩდეილი-ტორკი 1:0, იორკი-მანსფილდი 1:2

საფრანგეთი. ლიგა 1. V ტური

# მონაკო სუფრის თავში

## პსჟ-მ აკრიფა, სენტ ეტიენი ყოჩაღობს, მარსელმა წაიფორხილა

**ბორდო-პსჟ 0:2**

**გოლები:** 0:1 მატუიდი (30), 0:2 ლუკას მოურა (64)
**პსჟ (4-2-3-1):** სირიგუ - ვან დერ ვილი, ალექსი, ტ. სილვა, დინი - ვერატი, მატუიდი - ლუკას მოურა (82. კომანი), ტიაგო მოტა, ონგენდა (72. რაბიო) - იბრაჰიმოვიჩი (81. კავანი)

**ტულუზი-მარსელი 1:1**

**გოლები:** 1:0 ბენ იედერი (66), 1:1 მენდეში (87)
**მარსელი (4-2-3-1):** მანდანდა - ფანი, ნკულუ, მენდეში, მორელი (86. მენდი) - რომაო, იმბულა ვანგა - ტოვენი (53. ა. აიუ), ვალბუენა, პაიე (71. ხელიფა) - ჟინიაკი.

**აიაჩო-ევიანი 2:3**

**გოლები:** 0:1 ჯა ჯეჯე (31), 0:2 ბერიგო (43), 0:3 ბერიგო (52), 1:3 ლანი (81), 2:3 ტალიო (86)

**გენგამი-ბასტია 1:1**

**გოლები:** 0:1 ხაზრი (47), 1:1 იატაბარე (88-პენ)

**ნანტი-სოშო 1:0**

**გოლი:** 1:0 ჯორჯევიჩი (76)

**ვალანსიენი-სტ. ეტიენი 1:3**

**გოლები:** 0:1 კორნიე (17), 0:2 ჰამუმა (47), 0:3 კორნიე (53), 1:3 მელიკსონი (80-პენ)

**მონაკო-ლორიანი 1:0**

**გოლი:** 1:0 ფალკაო (6-პენ)
**მონაკო (4-2-3-1):** სუბაშიჩი - ფაბინიო, რ. კარვალიო, აბიდალი, კურზავა - ობაიდი, კონდოგბია - ოკამპოსი (85. ტისერანდი), მოუტინიო, ფერეირა (69. ჯ. როდრიგესი) - ფალკაო (62. რივიერი)

**ლილი-ნიცა 0:2**

**გოლები:** 0:1 ცვიტანიჩი (19), 0:2 ცვიტანიჩი (45)

**ლიონი-რენი 0:0**

**ლიონი (4-2-3-1):** ლოპეში - დაბო, ბიზევაცი (66. კონე), უმტიტი, ბედიმო - ფოფანა, გონალონი (85. ფერი) - ლაკაზეტი, გრენიე (80. მალბრანკი), ფეკირი - გომისი

**მონპელიე-რეიმსი 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მონაკო | 5 | 4 | 1 | 0 | 9-2 | 13 |
| 2. სტ. ეტიენი | 5 | 4 | 0 | 1 | 7-3 | 12 |
| 3. პსჟ | 5 | 3 | 2 | 0 | 8-3 | 11 |
| 4. მარსელი | 5 | 3 | 1 | 1 | 8-4 | 10 |
| 5. რენი | 5 | 2 | 2 | 1 | 5-4 | 8 |
| 6. რეიმსი | 5 | 2 | 2 | 1 | 4-3 | 8 |
| 7. ნიცა | 5 | 2 | 2 | 1 | 6-7 | 8 |
| 8. ლიონი | 5 | 2 | 1 | 2 | 8-4 | 7 |
| 9. ნანტი | 5 | 2 | 1 | 2 | 5-4 | 7 |
| 10. ბასტია | 5 | 2 | 1 | 2 | 5-5 | 7 |
| 11. ევიანი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-8 | 7 |
| 12. ლილი | 5 | 2 | 1 | 2 | 3-4 | 7 |
| 13. მონპელიე | 5 | 1 | 3 | 1 | 6-8 | 6 |
| 14. ლორიანი | 5 | 2 | 0 | 3 | 3-5 | 6 |
| 15. გენგამი | 5 | 1 | 1 | 3 | 4-7 | 4 |
| 16. ბორდო | 5 | 1 | 1 | 3 | 3-7 | 4 |
| 17. აიაჩო | 5 | 0 | 3 | 2 | 3-5 | 3 |
| 18. ვალანსიენი | 5 | 1 | 0 | 4 | 4-7 | 3 |
| 19. ტულუზი | 5 | 0 | 3 | 2 | 3-7 | 3 |
| 20. სოშო | 5 | 0 | 2 | 3 | 3-7 | 2 |

**ბომბარდირები:** 5 - კევინ ბერიგო (ევიანი), ემანუელ რივიერი (მონაკო); 4 - რადამელ ფალკაო (მონაკო), მუსტაფა იატაბარე (გენგამი).



თანაგუნდელები რადამელ ფალკაოს გოლს ულოცავენ

**საფრანგეთში ლიგა 1-ის მე-5 ტურმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ჩემპიონობის უმთავრესი კანდიდატები „პარი სენ-ჟერმენი“ და „მონაკო“ შინაურ პირველობაზე ალმაფრენით თამაშობენ.**

### ლუკასის პირველი

„პარი სენ-ჟერმენმა“ მძიმედ კი დაიწყო, მაგრამ **ლორან ბლანის** გუნდმა უკვე აკრიფა სიჩქარე, რაზეც მოწმობს ზედიზედ მესამე გამარჯვება ჩემპიონატში. ამჯერად, სტუმრად „ბორდოსთან“ 2:0. **ბლეზ მატუიდი ზლატან იბრაჰიმოვიჩის** პასით **სედრიკ კარასოსთან** პირისპირ გავიდა და განმეორებითი დარტყმით დაჯაბნა მეკარე. პსჟ-ს მეორე გოლი ოდნავ საეჭვო სიტუაციაში გავიდა **მარკო ვერატის** პასის დროს გოლის ავტორი **ლუკას მოურა** თითქოს თამაშგარე მდგომარეობაში იყო. სხვათა შორის, ბრაზილიელმა საფრანგეთის ჩემპიონატში პირველი გოლი გაიტანა. რომ არა კარასო გოლს იბრაც გაიტანდა, თანაც არა ერთს.

**ფრანსის ჟილო** („ბორდოს“ მწვრთნელი): *„შედეგი ლოგიკურია - პარიზული კლუბი უბრალოდ უკეთესია ჩვენზე ყველა ასპექტში და ეს დღევანდელ მატჩშიც დადასტურდა. მეორე გოლი ჩვენთვის დიდი ფსიქოლოგიური დარტყმა იყო, ამის შემდეგ უბრალოდ ხელები ჩამოვუშვით. ჩემი გადაწყვეტილება ასეთი იყო, უნდა გვეთამაშა ფეხბურთი და არ დაგვეცვა კარი 10 კაცით, შევუტიეთ, გავრისკეთ და წავაგეთ.“*

**ლორან ბლანი** (პსჟ-ის მწვრთნელი): *„ფეხბურთი ხანდახან უცნაურია: ჩვენ მთელი კვირა ვემზადებით მატჩისთვის, ვარჩევთ შესაფერის სტრატეგიას და ასე შემდეგ. ახლა კი საერთოდ არ მოვმზადებულვართ, ბიჭების ნაწილი საერთაშორისო მატჩებიდან მხოლოდ წინა დღით ჩამოვიდნენ. მაგრამ თამაშით კმაყოფილი დავრჩი. „ბორდოს“ უჭირდა მომენტების შექმნა, ჩვენ კი ბურთს კარგად ვაკონტროლებდით. პსჟ 1 ივლისიდან მუშაობს იმისთვის, რომ კარგი ფეხბურთი აჩვენოს გულშემატკივრებს და ვფიქრობ, რომ უკვე კარგად უგებენ ერთმანეთს მოედანზე.“*

### არსენალზე ფიქრში

მარსელის „ოლიმპიკმა“ მორიგი შანსი გაუშვა ხელიდან, ის კი არა, „ტულუზთან“ მარცხს ძლივს დაუძვრა. **ვისამ ბენი იედერის** გოლით „ტულუზი“ წინ იყო, მაგრამ ბრაზილიელმა **ლუკას მენდეშმა** „მარსელი“ თამაშის დასრულებამდე 3 წუთით ადრე იხსნა - 1:1.

უნდა აღინიშნოს, რომ მარსელელები ფიქრით უკვე ჩემპიონთა ლიგის მატჩში იყვნენ „არსენალთან“. მასპინძელთა რიგებში **კლემან შანტომი** გამოირჩეოდა, რომელიც ამ ზაფხულს გადავიდა პსჟ-დან.

**ელი ბოპი** („მარსელის“ მწვრთნელი): *„ჩვენ გვქონდა კარგი მომენტებიც, განსაკუთრებით პირველ ტაიმში. იყო მაღალი დონის კომბინაციები, კარგად ჩაფიქრებული, მაგრამ ჩვენ ისინი გოლებად ვერ ვაქციეთ. უნდა ვიფიქროთ ხაზებში თამაშის ხარისხის გაუმჯობესებაზე.“*

### სენტ ეტიენი არ ხუმრობს

შაბათის სათამაშო დღის ბოლოს ცხრილის სათავეში „სენტ ეტიენი“ მოექცა, რომელმაც სტუმრად შეძლო „ვალანსიენის“ 3:1 დამარცხება. „ვერტსის“ შემადგენლობაში დუბლით გამოიჩინა თავი **ბენჟამენ კორნიემ.** „ლორიანიდან“ გადასულმა პირველი გოლი ძალზე იოლად გაიტანა, რადგან მარცხნიდან ჩაწოდებული ხელიდან გაუვარდა მეკარე **ნიკოლა პენეტოს.** მოკლედ, ევროპალიგიდან გამოვარდნილი **კრისტოფ გალტიეს** გუნდი გაცილებით კარგად ასპარეზობს შინაურ პირველობაზე. კვირას მხოლოდ „მონაკოს“ შეეძლო „სენტ ეტიენის“ „ტახტიდან“ ჩამოგდება.

### ელ ტიგრეს პენალტით

**კლაუდიო რანიერის** გუნდი „ლორიანს“ მასპინძლობდა და ეგრევე შტურმი მოუწყო მეტოქეს. ამან უკვე მეორე შეტევაზე გამოიღო შედეგი, როცა **რადამელ ფალკაომ** თავისივე წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გამოიყენა. „მონაკოს“ უპირატესობა აშკარა იყო, თუმცა მეტი გოლი ამ შეხვედრაში აღარ გასულა.

მონეგასკთა რიგებში ითამაშა „სევილიადან“ გადასულმა **ჟოფრეი კონდოგბიამ.** კლაუდიო რანიერის გუნდი 13 ქულით ისევ ერთპიროვნული ლიდერია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჰოლანდია

**ერედივიზიე. VI ტური**

**აიაქსი-ზვოლე 2:1**

**გოლები:** 1:0 სერერო (72), 2:0 ვან დერ ვერფი (76-ს.კ-ში), 2:1 გრავენბეკი (89)
**აიაქსი (4-3-3):** ვერმეერი - ვან რაინი, მოისანდერი, დენსვილი, ბოილესენი - სერერო, შიონე, დუარტე (71. სიგტორსონი) - ფიშერი (63. კრკიჩი), ჰუსენი (63. ს. დე იონგი), სანა

**კამბური-ჰერაკლესი 2:0**

**გოლები:** 1:0 ჰემენი (42), 2:0 შენკეველდი (88-ს.კ-ში)

**ტვენტე-ეინდჰოვენი 2:2**

**გოლები:** 1:0 ეგნანი (17), 1:1 ვაინალდუმი (66), 2:1 პრომესი (70), 2:2 დეპაი (83)
**ეინდჰოვენი (4-3-3):** ზუტი - ბრუმა, ვილემსი, ბრენეტი, ჰენდრიქსი - მაჰერი (67. ტოივონენი), სხაარსი, ვაინალდუმი - მატავზი (79. ლოკადია), დეპაი, პარკი (67. ბაკალი)

**ნაიმეგენი-ფეიენოორდი 3:3**

**გოლები:** 0:1 იმერსი (26), 1:1 სტეფანიკი (30), 1:2 ბოეტიუ (67), 2:2 პალსონი (69), 3:2 სტეფანიკი (77), 3:3 ინდი (90)

**ალკმაარი-იგლზი 3:0**

**გოლები:** 1:0 იოჰანსონი (31-პენ), 2:0 ელმი (90+1), 3:0 ბერხუისი (90+4)

**ჰერენვენი-გრონინგენი 4:2**

**გოლები:** 0:1 ველდენი (31-პენ), 1:1 ვილდშუტი (52), 2:1 ოტიგბა (55), 2:2 კაპელჰოფი (56), 3:2 ფინბოგასონი (72-პენ), 4:2 ფინბოგასონი (90)

**როდა-ბრედა 1:5**

**გოლები:** 1:0 დონალდი (44), 1:1 კვაკმანი (45+1), 1:2 ჰოოი (66), 1:3 სეუტიენსი (70), 1:4 პერიცა (86), 1:5 სარპონგი (88)

**უტრეხტი-ვაალვაიკი 2:1**

**გოლები:** 1:0 დე რიდერი (5), 2:0 დე რიდერი (40), 2:1 ამიო (63)

**დენ ჰააგი-ვიტესი გადაიდო**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზვოლე | 6 | 4 | 1 | 1 | 14-6 | 13 |
| 2. ეინდჰოვენი | 6 | 3 | 3 | 0 | 14-5 | 12 |
| 3. ჰერენვენი | 6 | 3 | 2 | 1 | 16-12 | 11 |
| 4. აიაქსი | 6 | 3 | 2 | 1 | 13-9 | 11 |
| 5. ალკმაარი | 6 | 3 | 1 | 2 | 11-10 | 10 |
| 6. ტვენტე | 6 | 2 | 3 | 1 | 13-5 | 9 |
| 7. ვიტესი | 5 | 2 | 2 | 1 | 8-7 | 8 |
| 8. კამბური | 6 | 2 | 2 | 2 | 6-5 | 8 |
| 9. გრონინგენი | 6 | 2 | 2 | 2 | 13-13 | 8 |
| 10. იგლზი | 6 | 2 | 2 | 2 | 10-12 | 8 |
| 11. უტრეხტი | 6 | 2 | 2 | 2 | 6-11 | 8 |
| 12. ფეიენოორდი | 6 | 2 | 1 | 3 | 13-12 | 7 |
| 13. ჰერაკლესი | 6 | 2 | 1 | 3 | 8-11 | 7 |
| 14. როდა | 6 | 2 | 1 | 3 | 8-13 | 7 |
| 15. ბრედა | 6 | 1 | 2 | 3 | 8-9 | 5 |
| 16. ვაალვაიკი | 6 | 1 | 2 | 3 | 9-12 | 5 |
| 17. დენ ჰააგი | 5 | 1 | 0 | 4 | 5-11 | 3 |
| 18. ნაიმეგენი | 6 | 0 | 3 | 3 | 8-20 | 3 |

**ბომბარდირები:** 6 - ალფრედ ფინბოგასონი (ჰერენვენი) გრაციანო პელე (ფეიენოორდი), 4 - მარნიქს კოლდერი (იგლზი), ჟორჟინიო ვაინალდუმი (ეინდჰოვენი)

**ლევან ბიბილაშვილი**

კრიმინალი

# არგენტინაში ლამელას ძმა გაიტაცეს

„ტოტენჰემის“ ახალწვეულის, **ერიკ ლამელას** უმცროსი ძმა **აქსელი** (18 წლის) ბუენოს აირესში გამოსასყიდის მიღების მიზნით გაიტაცეს. ის რამდენიმე საათი ჰყავდათ დატყვევებული და მხოლოდ მას მერე გაათავისუფლეს, რაც გამოსასყიდი თანხა - 5 ათასი პესო (დაახლოებით 500 ფუნტი სტერლინგი) მიიღეს. პოლიციის ინფორმაციით, გამტაცებლებმა არ იცოდნენ, რომ აქსელი ერიკის ძმა იყო, მათი ყურადღება მდიდრულმა BMW-მ მიიპყრო.

გამტაცებლები ოჯახს აქსელის მობილურით დაუკავშირდნენ და მაშინვე გაათავისუფლეს, რაც ოჯახმა მოთხოვნილი თანხა გადაიხადა.აი, რა თქვა ერიკის კიდევ ერთმა ძმამ - **ბრაიანმა:** *„მათ ფული მოითხოვეს. მთავარი პირობა იყო, ამ საქმეში პოლიცია არ უნდა ჩაგვერთო. ისინი პირდაპირ ჩვენ სახლთან მოვიდნენ ფულის ასაღებად. ისინი არც სახეებს იფარავდნენ, კამერებმა მათი სახეები დააფიქსირა. აქსელი მშვიდადაა. ჩემი აზრით, გამტაცებლები მისმა მანქანამ მოხიბლა.“*

ამგვარი ინციდენტები, სამწუხაროდ, ძალზე ხშირია სამხრეთ ამერიკაში. ცნობილ ფეხბურთელებს ხშირად სტაცებენ ოჯახის წევრებს გამოსასყიდის მიღების მიზნით.

ერიკ ლამელამ „ნორვიჩთან“ 2:0 მოგებულ მატჩში ბოლო წუთები ითამაშა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


შაბათს ერიკ ლამელას არ ეფეხბურთებოდა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

## ინგლისი

### კონფერენსი

VIII ტური

| | |
|---|---|
| ბარნეტი-ლინკოლნი | 1:1 |
| კემბრიჯი-ვოკინგი | 1:0 |
| დარტფორდი-ნანიტონი | 1:2 |
| ფორესტ გრინი-ჰალიფაქსი | 2:1 |
| გრიმსბი-ბრენტრი | 1:0 |
| კიდერმინსტერი-ჰაიდი | 2:1 |
| მაკლსფილდი-ალფრეტონი | 0:1 |
| სალისბერი-ჩესტერი | 3:1 |
| საუთპორტი-უელინგი | 2:2 |

## გერმანია

### რეგიონალლიგა (ბაიერნი)

XIV ტური

| | |
|---|---|
| ინგოლშტადტი II-ჰაიმშტეტენი | 3:3 |
| ნიურნბერგი II-მიუნხენი II | 1:3 |
| ბაიერნ ჰოფი-ილერტისენი | 0:3 |
| ვიქტორია (ა)-აუგსბურგი II | 0:1 |
| ფიურტი II-ვიურცბურგერი | დღეს |

### რეგიონალლიგა (ჩრ)

VII ტური

| | |
|---|---|
| რედენი-ჰამბურგი II | 4:2 |
| ჰანოვერი II-მეპენი | 1:1 |
| ჰაველსე-ფლენსბურგი | 2:1 |
| ვერდერი II-ვიქტორია | 4:0 |
| ნოიმუნსტერი-გოსლარერი | 0:4 |
| ვილჰელმსჰავენი-აიხედი | 1:1 |
| ვოლფსბურგი II-ბრაუნშვაიგი II | 4:0 |

### რეგიონალლიგა (ჩ-ა)

VI ტური

| | |
|---|---|
| კარლ ცაისი-ჰერტა II | 2:0 |
| ბერლინერი-აუერბახი | 1:1 |
| ცვიკაუ-მოისელვიცი | 1:0 |
| გერმანია-ლოკომოტივი | 1:0 |
| რატენოვი-მაგდებურგი | 1:2 |
| ნოიშტრელიცი-ვიქტორია | 2:0 |
| უნიონი II-ბაბელსბერგი | 1:1 |

### რეგიონალლიგა (დას)

VII ტური

| | |
|---|---|
| კიოლნი II-ფელბერტი | 2:0 |
| ლიპშტადტი-ვატენშაიდი | 2:2 |
| ვიქტორია-ვიდენბრიუკი | 4:1 |
| ბოხუმი II-ფორტუნა II | 0:3 |
| გლადბახი II-ალემანია | 5:0 |

### რეგიონალლიგა (ს-დ)

IX ტური

| | |
|---|---|
| აინტრახტი II-ოფენბახი | 3:1 |
| ბაუნატალი-ტრირი | 0:3 |
| ცვაიბრიუკენი-კობლენცი | 1:1 |
| ულმი-კასელი | 0:0 |
| მაინცი II-ჰომბურგი | 3:0 |
| ზონენჰოფი-ფრაიბურგი II | 1:1 |

## საფრანგეთი

### II დივიზიონი

VI ტური

| | |
|---|---|
| ჰავრი-ლანსი | 6:2 |
| ოსერი-ბრესტი | დღეს |

## ჰოლანდია

### II დივიზიონი

VIII ტური

| | |
|---|---|
| ტელსტარი-ახილესი | 4:0 |
| ოსი-დენ ბოში | 0:1 |
| აიაქსი II-ვილემი | 1:1 |
| ტვენტე II-ემენი | დღეს |
| პსვ II-ფორტუნა | დღეს |

## ბელგია

VII ტური

| | |
|---|---|
| ანდერლეხტი-მეხელენი | 5:0 |
| ბრიუგე-ლიერსი | 4:1 |
| კორტრეიკი-გენტი | 3:0 |
| ლოკერენი-სერკლი | 3:0 |
| მონსი-ვაასლანდი | 1:1 |
| ჰევერლე-შარლერუა | 0:0 |
| ოსტენდე-სტანდარდი | 2:4 |
| გენკი-ვარეგემი | 5:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სტანდარდი | 7 | 7 | 0 | 0 | 16-2 | 21 |
| 2. ბრიუგე | 7 | 5 | 2 | 0 | 14-6 | 17 |
| 3. ლოკერენი | 7 | 5 | 1 | 1 | 16-9 | 16 |
| 4. ანდერლეხტი | 7 | 5 | 0 | 2 | 26-10 | 15 |
| 5. ვარეგემი | 7 | 4 | 2 | 1 | 13-11 | 14 |
| 6. გენკი | 7 | 4 | 1 | 2 | 15-9 | 13 |
| 7. გენტი | 7 | 3 | 2 | 2 | 8-11 | 11 |
| 8. კორტრეიკი | 7 | 3 | 1 | 3 | 10-9 | 10 |
| 9. ჰევერლე | 7 | 1 | 3 | 3 | 5-9 | 6 |
| 10. შარლერუა | 7 | 1 | 3 | 3 | 7-12 | 6 |
| 11. სერკლი | 7 | 1 | 3 | 3 | 5-11 | 6 |
| 12. ლიერსი | 7 | 1 | 2 | 4 | 5-12 | 5 |
| 13. მეხელენი | 7 | 1 | 2 | 4 | 4-12 | 5 |
| 14. ვაასლანდი | 7 | 0 | 4 | 3 | 4-9 | 4 |
| 15. მონსი | 7 | 0 | 2 | 5 | 4-11 | 2 |
| 16. ოსტენდე | 7 | 0 | 2 | 5 | 5-14 | 2 |

### II დივიზიონი

VII ტური

ბორინაჟი-ბრიუსელი 0:1; დესელი-ვიზე 1:4; გეელი-მუსკრონი 0:1; ჰუგსტრატენი-ვესტერლო 1:1; ჰაისტი-ეუპენი 1:1; აალსტი-ტუბიზე 0:2; ანტვერპენი-ლომელი 1:0; ვოლუვე-ვირტონი 1:0; რუზელარე-სტ. ტრუიდენი 2:2.

## ირლანდიის თასი

### 1/4 ფინალი

| | |
|---|---|
| სლიგო-დერი | 1:0 |

## პორტუგალია

### II დივიზიონი

VI ტური

| | |
|---|---|
| ატლეტიკო-ავესი | 1:0 |
| ფეირენსე-ბრაგა B | 1:0 |
| ოლივეირენსე-ტონდელა | 3:2 |
| მადეირა-მარიტიმუ B | 0:1 |
| ტროფენსე-პენაფიელი | 0:0 |
| ფარენსე-ვიზეუ | 1:1 |
| სპორტინგი B-სანტა კლარა | 2:1 |
| ბენფიკა B-ლეიქსოესი | 5:1 |
| შავესი-კოვილია | 0:2 |

## შოტლანდია

### I დივიზიონი

V ტური

| | |
|---|---|
| ალოა-დამბარტონი | 1:2 |
| კოუდენბიტი-ფალკირკი | 1:0 |
| დანდი-ჰამილტონი | 0:0 |
| ლივინგსტონი-მორტონი | 2:2 |
| ქუინი-რეითი | 0:1 |

### II დივიზიონი

V ტური

| | |
|---|---|
| აირდრი-სტრანრარი | 3:2 |
| ბრეჩინი-დანფერმლაინი | 1:1 |
| ისტ ფაიფი-ფორფარი | 1:3 |
| რეინჯერსი-არბროა | 5:1 |
| სტენჰაუზმუირი-აირი | 1:1 |

### III დივიზიონი

V ტური

| | |
|---|---|
| ალბიონი-ბერვიკი | 0:2 |
| კლაიდი-ისტ სტირლინგი | 1:2 |
| ელჯინი-მონროუზი | 3:3 |
| პიტერჰედი-ქუინზ პარკი | 2:1 |
| სტირლინგი-ანანი | 0:2 |

## ავსტრია

VIII ტური

| | |
|---|---|
| ვაკერი-რაპიდი | 0:4 |
| ველეტსი-ადმირა | 3:1 |
| ვინერი-შტურმი | 1:3 |
| აუსტრია-გრიოდიგი | 2:3 |
| რიდი-ზალცბურგი | 0:5 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზალცბურგი | 8 | 5 | 3 | 0 | 23-6 | 18 |
| 2. გრიოდიგი | 8 | 5 | 1 | 2 | 21-16 | 16 |
| 3. რიდი | 8 | 4 | 3 | 1 | 15-12 | 15 |
| 4. რაპიდი | 8 | 3 | 3 | 2 | 15-8 | 12 |
| 5. აუსტრია | 8 | 3 | 3 | 2 | 18-13 | 12 |
| 6. შტურმი | 8 | 2 | 3 | 3 | 13-15 | 9 |
| 7. ტიროლი | 8 | 1 | 5 | 2 | 10-14 | 8 |
| 8. ვინერი | 8 | 2 | 2 | 4 | 12-23 | 8 |
| 9. ველეტსი | 8 | 1 | 2 | 5 | 12-19 | 5 |
| 10. ადმირა | 8 | 1 | 1 | 6 | 7-20 | 4 |

## კვიპროსი

II ტური

| | |
|---|---|
| აელ-აპოელი | 2:1 |
| ნეა სალამისი-კუკლიონი | 3:1 |
| ომონია-ენოსისი | 4:0 |
| აეკ-ეთნიკოსი | 2:1 |
| ანორთოსისი-აპოლონი | 3:1 |
| არისი-დოქსა | 2:2 |
| ერმისი-ალკი | დღეს |

## დანია

VIII ტური

| | |
|---|---|
| კოპენჰაგენი-ესბიერგი | 1:1 |
| აგფ ორჰუსი-ვიბორგი | 0:1 |
| ვესტსიელანდი-რანდერსი | 2:0 |
| ბრონდბიუ-ოდენსე | 2:1 |
| მიდტიულანდი-ნორდსიელანდი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მიდტიულანდი | 7 | 5 | 2 | 0 | 15-6 | 17 |
| 2. ოლბორგი | 8 | 4 | 2 | 2 | 12-9 | 14 |
| 3. ვესტსიელანდი | 8 | 3 | 4 | 1 | 9-7 | 13 |
| 4. აგფ ორჰუსი | 8 | 4 | 1 | 3 | 15-14 | 13 |
| 5. ვიბორგი | 8 | 3 | 3 | 2 | 15-14 | 12 |
| 6. ესბიერგი | 8 | 3 | 2 | 3 | 17-11 | 11 |
| 7. ოდენსე | 8 | 2 | 4 | 2 | 12-13 | 10 |
| 8. რანდერსი | 8 | 2 | 3 | 3 | 10-13 | 9 |
| 9. სონდერიისკი | 8 | 2 | 2 | 4 | 7-2 | 8 |
| 10. კოპენჰაგენი | 8 | 1 | 4 | 3 | 11-12 | 7 |
| 11. ბრონდბიუ | 8 | 1 | 3 | 4 | 8-14 | 6 |
| 12. ნორდსიელანდი | 7 | 1 | 2 | 4 | 7-13 | 5 |

### II დივიზიონი

VIII ტური

ბრონსჰოი-ვენდსისელი 3:0; ლუნგბიუ-მარიენლისტი 4:0; სილკებორგი-ფრედერისია 2:0; აკადემისკი-ჰობრო 2:2.

## ფინეთი

### II დივიზიონი

XXIV ტური

| | |
|---|---|
| სეინაიოკი-ოპს | 1:0 |
| იიპო-ჰაკა | 2:1 |
| პკ35-ილვესი | 1:2 |
| ოულუ-კაიაანი | 4:0 |
| ვიიკინგიტი-კოტკავე | დღეს |

## არგენტინა

VII ტური

| | |
|---|---|
| ლანუსი-არგ. ხუნიორსი | 4:0 |
| ბელგრანო-ველესი | 3:0 |
| ნიუელსი-ოლიმპო | 2:1 |
| ოლ ბოისი-კილმესი | 4:0 |
| სან ლორენსო-გოდოი | 0:0 |
| ატ. რაფაელა-ესტუდიანტესი | 1:0 |
| ტიგრე-როსარიო | 2:0 |
| ბოკა-რასინგი | გვ. დასრულდა |
| არსენალი-რივერი | გვ. დასრულდა |
| ხიმნასია-კოლონი | დღეს |

## საბერძნეთი

IV ტური

| | |
|---|---|
| პანაიტოლიკოსი-ერგოტელისი | 0:0 |
| ვერია-პაოკ | 1:2 |
| ოლიმპიაკოსი-ქსანთი | 4:0 |
| არისი-ლევადია | 1:1 |
| აპოლონი-კალონი | 1:3 |
| ოფი-ასტერასი | 1:1 |
| პანიონიოსი-პანთრაკიკოსი | 1:1 |
| პლატანიასი-პანათინაიკოსი | 1:1 |
| იანინა-ატრომიტოსი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპიაკოსი | 4 | 4 | 0 | 0 | 12-1 | 12 |
| 2. პაოკ | 4 | 3 | 0 | 1 | 9-4 | 9 |
| 3. კალონი | 4 | 3 | 0 | 1 | 6-2 | 9 |
| 4. ასტერასი | 4 | 1 | 3 | 0 | 7-5 | 6 |
| 5. ერგოტელისი | 4 | 1 | 3 | 0 | 4-2 | 6 |
| 6. ვერია | 4 | 1 | 2 | 1 | 6-5 | 5 |
| 7. პანიონიოსი | 4 | 1 | 2 | 1 | 5-5 | 5 |
| 7. პანთრაკიკოს | 4 | 1 | 2 | 1 | 5-5 | 5 |
| 9. პანათინაიკოს | 4 | 1 | 2 | 1 | 4-5 | 5 |
| 10. იანინა | 3 | 1 | 1 | 1 | 5-4 | 4 |
| 10. ატრომიტოსი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-4 | 4 |
| 12. პლატანიასი | 4 | 0 | 4 | 0 | 4-4 | 4 |
| 13. პანაიტოლიკ | 4 | 1 | 1 | 2 | 3-4 | 4 |
| 14. ქსანთი | 4 | 1 | 1 | 2 | 1-7 | 4 |
| 15. ოფი | 4 | 0 | 3 | 1 | 1-3 | 3 |
| 16. აპოლონი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-8 | 3 |
| 17. ლევადია | 4 | 0 | 2 | 2 | 3-10 | 2 |
| 18. არისი | 4 | 0 | 1 | 3 | 2-7 | 1 |

## ისლანდია

XX ტური

| | |
|---|---|
| აკრანესი-ვიკინგური | გადაიდო |
| რეიკიავიკი-ფილკირი | გადაიდო |
| ტორი-კეფლავიკი | გადაიდო |
| ბრეიდაბლიკი-ფრამი | დღეს |
| ჰაფნარი-ვალური | დღეს |
| ვესტმანაეარი-სტიარნანი | დღეს |

## ნორვეგია

XXIII ტური

| | |
|---|---|
| სოგნდალი-ლილესტრომი | 1:2 |
| ჰაუგესუნდი-ვიკინგი | 1:1 |
| სტრომსგოდსეტი-ოდ გრენლანდი | 3:1 |
| ჰონეფოსი-სტარტი | 0:1 |
| სანდნესი-სარპსბორგი | 2:0 |
| ვოლერენგა-ბრანი | 4:3 |
| ტრომსიო-როსენბორგი | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. როსენბორგი | 23 | 14 | 6 | 3 | 41-21 | 48 |
| 2. სტრიომსგოდ | 23 | 14 | 4 | 5 | 52-24 | 46 |
| 3. ოლესუნდი | 23 | 11 | 5 | 7 | 47-35 | 38 |
| 4. ვიკინგი | 23 | 10 | 8 | 5 | 30-23 | 38 |
| 5. ჰაუგესუნდი | 23 | 11 | 4 | 8 | 30-29 | 37 |
| 6. ბრანი | 23 | 10 | 3 | 10 | 38-37 | 33 |
| 7. მიოლდე | 23 | 8 | 7 | 8 | 39-34 | 31 |
| 8. ლილესტრიომ | 23 | 8 | 7 | 8 | 29-31 | 31 |
| 9. ვოლერენგა | 23 | 8 | 6 | 9 | 34-41 | 30 |
| 10. სოგნდალი | 23 | 7 | 8 | 8 | 28-33 | 29 |
| 11. სანდნესი | 23 | 8 | 4 | 11 | 27-43 | 28 |
| 12. ოდ გრენლან | 23 | 7 | 5 | 11 | 26-28 | 26 |
| 13. ტრომსიო | 23 | 6 | 7 | 10 | 32-33 | 25 |
| 14. სტარტი | 23 | 6 | 7 | 10 | 35-41 | 25 |
| 15. ჰონეფოსი | 23 | 4 | 8 | 11 | 25-39 | 20 |
| 16. სარპსბორგი | 23 | 5 | 5 | 13 | 28-49 | 20 |

### II დივიზიონი

XXIII ტური

სანდეფიორდი-ფრედრიკსტადი 0:0; ელვერუმი-ვარდ ჰაუგესუნდი 0:2; ფოლო-მიონდალენი 0:1; კრისტიანსუნდი-სტრიომენი 1:1; რანჰაიმი-ჰიოდი 1:1; კონგსვინგერი-ბრინი 1:1; ულ კისა-სტაბეკი 2:0; ბოდო გლიმტი-ჰამ კამი დღეს.

## ჩრ. ირლანდია

VII ტური

| | |
|---|---|
| გლენავონი-არდსი | 4:1 |
| კლიფტონვილი-გლენტორანი | 4:1 |
| კოლრეინი-ბალინამალარდი | 1:2 |
| ლინფილდი-ბალიმენა | 4:1 |
| პორტადაუნი-დუნგანონი | 2:1 |
| უორენპოინტი-კრუზეიდერსი | 1:1 |

## შვედეთი

XXIII ტური

| | |
|---|---|
| გეფლე-ბრომაპოიკარნა | 1:0 |
| ატვიდაბერგი-ოსტერი | 4:0 |
| აიკ-კალმარი | 0:0 |
| ელფსბორგი-ნორჩოპინგი | 4:1 |
| ჰალმსტადი-გიოტებორგი | 0:1 |
| ჰაკენი-ჰელსინგბორგი | 3:2 |
| სირიანსკა-მიალბიუ | 1:2 |
| მალმიო-იურგარდენი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მალმიო | 22 | 13 | 6 | 3 | 43-24 | 45 |
| 2. ჰელსინგბორგ | 23 | 13 | 5 | 5 | 51-25 | 44 |
| 3. გიოტებორგი | 23 | 13 | 5 | 5 | 38-23 | 44 |
| 4. აიკ | 23 | 12 | 6 | 5 | 37-23 | 42 |
| 5. ელფსბორგი | 23 | 10 | 7 | 6 | 41-27 | 37 |
| 6. კალმარი | 23 | 9 | 9 | 5 | 24-19 | 36 |
| 7. მიალბიუ | 23 | 9 | 5 | 9 | 39-36 | 32 |
| 8. ატვიდაბერგი | 23 | 9 | 5 | 9 | 29-26 | 32 |
| 9. ნორჩოპინგი | 23 | 9 | 5 | 9 | 38-37 | 32 |
| 10. ჰაკენი | 23 | 8 | 4 | 11 | 28-35 | 28 |
| 11. იურგორდენ | 22 | 7 | 5 | 10 | 22-37 | 26 |
| 12. გეფლე | 23 | 5 | 10 | 8 | 26-35 | 25 |
| 13. ოსტერსი | 23 | 6 | 7 | 10 | 22-32 | 25 |
| 14. ჰალმსტადი | 23 | 4 | 9 | 10 | 20-32 | 21 |
| 15. ბრომაპოიკარ | 23 | 5 | 6 | 12 | 26-43 | 21 |
| 16. სირიანსკა | 23 | 2 | 4 | 17 | 17-47 | 10 |

### II დივიზიონი

XXIII ტური

იონჩოპინგი-ლიუნგსკილე 0:1; სუნდსვალი-იორგრიტე 1:1; ერებრო-ასირისკა 2:1; გაის-ვარნამო 2:0; ვარბერგი-ოსტერსუნდი 0:3; დეგერფორსი-ანგელჰოლმი 4:1; ლანდსკრონა-ჰამარბიუ 4:1; ბრაგე-ფალკენბერგი 0:1.

## შვეიცარიის თასი

### 1/16 ფინალი

| | |
|---|---|
| ჰერმისვილი-ბადენი | 2:3 |
| შოტცი-კონიცი | 3:4 |
| სტად ნიონე-გრასჰოპერსი | 2:4 დ.დ. |
| ბრული-შაფჰაუზენი | 3:2 |
| ბავუა-ბილი | 0:4 |
| ლანსი-ლე მონი | 0:5 |
| მუნსინგენი-ბაზელი | 0:1 |
| იუვე ციურიხი-იანგ ბოიზი | 2:4 |
| სავიესი-ტუნი | 1:3 |
| ბუოხსი-არაუ | 1:5 |
| სერვეტი-ლოზანა | 0:1 |
| ვოლენი-სიონი | 0:1 |
| ტერე საინტი-ლუცერნი | 1:4 |
| სტად ლოზანა-ციურიხი | 2:3 |
| ლუგანო-სტ. გალენი | 1:3 |

## თურქეთი

### II დივიზიონი

IV ტური

| | |
|---|---|
| ბუიუქშეჰირი-შანლიურფა | 2:1 |
| თავშანლი-ანკარასფორი | 0:0 |
| ადანა-ბალიკესირი | 0:1 |
| დენიზლი-სამსუნი | 1:0 შეწყდა |
| ფეთჰიე-ბუკა | 4:0 |
| მანისა-მერსინი | 3:2 |
| ქაჰრამანმარაში-ადანასფორი | 2:3 |
| ბოლუ-1461 ტრაბზონი | 0:0 |
| ქარსიაკა-ორდუ | 0:1 |

## უელსი

V ტური

| | |
|---|---|
| ბანგორი-პორტ ტელბოტი | 1:1 |
| კარმარტენი-აფან ლიდო | 3:0 |
| რილი-აირბასი | 2:2 |
| ბალა-ნიუთაუნი | 1:0 |

## ბელარუსი

XXII ტური

### საჩემპიონო ზონა

| | |
|---|---|
| ბატე-ნემანი | 1:0 |
| დინამო (მნ)-გომელი | 3:1 |
| შახტიორი-ტორპედო | 1:0 |

### გასავარდნი ზონა

| | |
|---|---|
| ბელშინა-სლავია | 2:1 |
| მინსკი-ნაფტანი | 4:0 |
| დინამო (ბრ)-დნეპრი | 0:1 |

## ბოსნია

VII ტური

| | |
|---|---|
| სარაევო-მლადოსტი | 0:0 |
| ზვიეზდა-ჩელიკი | 1:0 |
| რადნიკი-ზრინსკი | 1:3 |
| რუდარი-ოლიმპიკი | 0:1 |
| ტრავნიკი-ლეოტარი | 1:0 |
| ვიტეზი-შიროკი ბრიეგი | 2:1 |
| ჟელეზნიჩარი-სლავია | 0:0 |
| ველეჟი-ბორაცი | 3:0 |

## ბულგარეთი

VIII ტური

| | |
|---|---|
| ბოტევი-ლოკომოტივი (პ) | 2:0 |
| ლიუბიმეცი-ჩერნომორეცი | 1:2 |
| ნეფტოხიმიკი-ჩერნო მორე | 0:1 |
| ლიტექსი-სლავია | 1:1 |
| ლოკომოტივი (ს)-ბეროე | 1:0 |
| ლევსკი-ლუდოგორეცი | 0:2 |

## ხორვატია

IX ტური

| | |
|---|---|
| ისტრა-ზადარი | 0:1 |
| ჰაიდუკი-დინამო | 2:0 |
| ლოკომოტივა-სპლიტი | 1:1 |
| სლავენი-რიეკა | 0:1 |

## ჩეხეთი

VIII ტური

| | |
|---|---|
| ბანიკი-ბოჰემიანსი | 1:3 |
| სლოვაცკო-პრშიბრამი | 1:1 |
| სიგმა-იჰლავა | 4:3 |
| სლავია-ბოლესლავი | 0:4 |
| ტეპლიცე-იაბლონეცი | 3:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პლზენი | 8 | 6 | 2 | 0 | 21-6 | 20 |
| 2. სპარტა | 7 | 6 | 1 | 0 | 19-5 | 19 |
| 3. ლიბერეცი | 8 | 6 | 1 | 1 | 10-7 | 19 |
| 4. ტეპლიცე | 8 | 5 | 2 | 1 | 21-9 | 17 |
| 5. ბოლესლავი | 8 | 4 | 3 | 1 | 16-6 | 15 |
| 6. დუკლა | 8 | 3 | 3 | 2 | 12-7 | 12 |
| 7. იაბლონეცი | 8 | 3 | 2 | 3 | 14-13 | 11 |
| 8. ბოჰემიანსი | 8 | 3 | 1 | 4 | 10-15 | 10 |
| 9. სლოვაცკო | 8 | 2 | 2 | 4 | 10-13 | 8 |
| 10. სიგმა | 8 | 2 | 2 | 4 | 14-19 | 8 |
| 11. პრშიბრამი | 8 | 2 | 2 | 4 | 10-15 | 8 |
| 12. იჰლავა | 8 | 2 | 1 | 5 | 14-17 | 7 |
| 13. სლავია | 8 | 2 | 1 | 5 | 7-19 | 7 |
| 14. ბანიკი | 8 | 2 | 1 | 5 | 7-22 | 7 |
| 15. ბრნო | 8 | 1 | 1 | 6 | 9-13 | 4 |
| 16. ზნოიმო | 7 | 0 | 3 | 4 | 6-14 | 3 |

### II დივიზიონი

VIII ტური

სოკოლოვი-უსტი 0:2; ტრშინეცი-მოსტი 0:0; ტაბორსკო-პარდუბიცე 1:0; ჟიჟკოვი-ჰრადეცი 0:1; კარვინა-ლოკო 3:1; სლოვანი-ფრიდეკი 1:0.

## ლიტვა

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| სუდუვა-ატლანტასი | 1:1 |
| კრუოია-შიაულიაი | 2:1 |
| ეკრანასი-დაინავა | 2:1 |

## ესტონეთი

XXVII ტური

| | |
|---|---|
| ინფონეტი-კურესაარე | 1:1 |
| ლევადია-ტამეკა | 2:0 |
| ტრანს ნარვა-სილამაე | 0:2 |
| პაიდე-კალიუ | 0:4 |

## უნგრეთი

VII ტური

| | |
|---|---|
| უიპესტი-პაკში | 1:1 |
| კეჩკემეტი-პეჩი | 2:5 |
| პუშკაში-დიოშდიორი | 0:2 |
| ჰონვედი-მეზოკოვეშდი | 0:2 |
| ლომბარდი-ფერენცვაროში | 0:2 |
| დებრეცენი-ვიდეოტონი | 2:1 |
| მტკ-დიორი | 1:2 |

## ლატვია

XX ტური

| | |
|---|---|
| იელგავა-იურმალა | 2:2 |
| ვენტსპილსი-დაუგავა (დ) | 0:0 |
| ილუკსტესი-სკონტო | 0:2 |
| დაუგავა (რ)-მეტალურგსი | დღეს |

## მაკედონია

VII ტური

| | |
|---|---|
| გორნო-ბრეგალნიცა | 0:3 |
| მაკედონია-მეტალურგსი | 1:1 |
| ნაპრედოკი-რაბოტნიჩკი | 1:3 |
| პელისტერი-შკენდია | 1:0 |
| რენოვა-ტურნოვო | 4:2 |
| ვარდარი-გოსტივარი | 4:0 |

## მოლდოვა

VI ტური

| | |
|---|---|
| დაჩია-კოსტულენი | 0:2 |
| დინამო-ვერისი | 0:6 |
| აკადემია-შერიფი | 0:7 |
| მილსამი-ოლიმპია | 4:1 |
| სპერანცა-ცსკა | 0:2 |
| ტირასპოლი-ზიმბრუ | 1:0 |

## ჩერნოგორია

VI ტური

| | |
|---|---|
| დეჩიჩი-მლადოსტი | 0:1 |
| გრბალი-ბუდუჩნოსტი | 0:1 |
| მორნარი-ლოვჩენი | 0:1 |
| პეტროვაცი-ზეტა | 1:2 |
| სუტიესკა-რუდარი | 2:2 |
| მოგრენი-ჩელიკი | 1:1 |

## პოლონეთი

VII ტური

| | |
|---|---|
| ზავიშა-კრაკოვია | 2:0 |
| შლიონსკი-ლეხი | 2:0 |
| კორონა-ლეგია | 3:5 |
| იაგელონია-რუხი | 6:0 |
| პოგონი-ლეხია | 1:1 |
| გურნიკი-ზაგლებე | დღეს |

## რუმინეთი

VII ტური

| | |
|---|---|
| სტეაუა-საჯეატა | 5:0 |
| კორონა-გაზ მეთანი | 1:2 |
| ოცელული-ასტრა | 0:4 |
| პეტროლული-რაპიდი | 2:0 |
| უნივერსიტატეა-კლუჟი | 0:0 |
| ჩახლაული-ბრაშოვი | დღეს |
| ვიიტორული-ბოტოშანი | დღეს |
| ვასლუი-პოლი ტიმიშოარა | დღეს |

## რუსეთი

VIII ტური

| | |
|---|---|
| ცსკა-როსტოვი | 1:0 |
| ვოლგა-სპარტაკი | 0:1 |
| კრასნოდარი-კრილია | 1:1 |
| ზენიტი-ტერეკი | 2:0 |
| ლოკომოტივი-ყუბანი | 1:0 |
| ტომი-ანჟი | 2:2 |
| ამკარი-რუბინი | 0:0 |
| ურალი-დინამო | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ცსკა | 8 | 6 | 2 | 0 | 12-6 | 20 |
| 2. ზენიტი | 8 | 5 | 2 | 1 | 15-7 | 17 |
| 3. სპარტაკი | 8 | 5 | 2 | 1 | 14-7 | 17 |
| 4. ლოკომოტივი | 8 | 5 | 1 | 2 | 16-8 | 16 |
| 5. როსტოვი | 8 | 4 | 2 | 2 | 13-10 | 14 |
| 6. კრასნოდარი | 8 | 3 | 3 | 2 | 13-11 | 12 |
| 7. რუბინი | 8 | 2 | 6 | 0 | 7-3 | 12 |
| 8. ამკარი | 8 | 2 | 4 | 2 | 7-6 | 10 |
| 9. ყუბანი | 8 | 2 | 4 | 2 | 9-9 | 10 |
| 10. დინამო | 7 | 2 | 4 | 1 | 9-10 | 10 |
| 11. კრილია | 8 | 1 | 5 | 2 | 6-7 | 8 |
| 12. ვოლგა | 8 | 2 | 1 | 5 | 7-16 | 7 |
| 13. ურალი | 7 | 1 | 2 | 4 | 7-13 | 5 |
| 14. ანჟი | 8 | 0 | 4 | 4 | 8-14 | 4 |
| 15. ტერეკი | 8 | 0 | 3 | 5 | 3-9 | 3 |
| 16. ტომი | 8 | 0 | 1 | 7 | 6-16 | 1 |

## სლოვაკეთი

IX ტური

| | |
|---|---|
| კოშიცე-დ. სტრედა | 4:1 |
| რუჟომბეროკი-მიიავა | 0:3 |
| ჟილინა-ტრენჩინი | 1:3 |
| მორავცე-შენიცა | 2:2 |
| ბისტრიცა-სლოვანი | 2:4 |

## სლოვენია

IX ტური

| | |
|---|---|
| გორიცა-პუბლიკუმი | 2:0 |
| დომჟალე-მარიბორი | 0:1 |
| რუდარი-კოპერი | 1:0 |
| ტრიგლავი-კრკა | 1:0 |

## სერბეთი

V ტური

| | |
|---|---|
| სლობოდა-პარტიზანი | 1:2 |
| იაგოდინა-სპარტაკი | 2:0 |
| იავორი-ჩუკარიჩკი | 0:2 |
| ნაპრედაკი-ჰაიდუკი | 1:1 |
| ოფკ-რადნიჩკი | 2:1 |
| რადი-რადნიჩკი (ნ) | 1:0 |
| ვოივოდინა-ნოვი პაზარი | 2:1 |
| ცრ. ზვეზდა-დონი შრემი | 2:2 |

## უკრაინა

IX ტური

| | |
|---|---|
| ილიჩოვეცი-ზორია | 1:0 |
| არსენალი-ვოლინი | 2:1 |
| ვორსკლა-სევასტოპოლი | 2:2 |
| მეტალურგი (დ)-გოვერლა | 4:2 |
| დნიპრო-ტავრია | 1:0 |
| მეტალისტი-დინამო | 3:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მეტალისტი | 9 | 7 | 2 | 0 | 20-5 | 23 |
| 2. დნიპრო | 9 | 6 | 2 | 1 | 16-7 | 20 |
| 3. ჩერნომორეცი | 9 | 6 | 2 | 1 | 10-5 | 20 |
| 4. შახტარი | 9 | 6 | 1 | 2 | 19-9 | 19 |
| 5. ვორსკლა | 9 | 4 | 4 | 1 | 15-11 | 16 |
| 6. დინამო | 9 | 4 | 2 | 3 | 12-12 | 14 |
| 7. მეტალურგ (დ) | 9 | 4 | 1 | 4 | 11-10 | 13 |
| 8. ილიჩოვეცი | 9 | 4 | 1 | 4 | 8-8 | 13 |
| 9. ზორია | 9 | 3 | 3 | 3 | 12-8 | 12 |
| 10. კარპატი | 9 | 2 | 4 | 3 | 7-10 | 10 |
| 11. სევასტოპოლი | 9 | 2 | 4 | 3 | 10-14 | 10 |
| 12. ვოლინი | 9 | 2 | 3 | 4 | 9-17 | 9 |
| 13. არსენალი | 9 | 2 | 1 | 6 | 7-16 | 7 |
| 14. მეტალურგ (ზ) | 9 | 1 | 3 | 5 | 8-12 | 6 |
| 15. გოვერლა | 9 | 1 | 1 | 7 | 8-16 | 4 |
| 16. ტავრია | 9 | 1 | 0 | 8 | 5-17 | 3 |

## ბრაზილია

XXI ტური

| | |
|---|---|
| კრუზეირო-ატ. პარანაენსე | 1:0 |
| ფლუმინენსე-პორტუგეზა | 2:1 |
| კორინთიანსი-გრემიო | 1:2 |
| კორიტიბა-ბაია | 2:2 |
| კრისიუმა-ინტერნასიონალი | 0:1 |
| პონტე პრეტა-ფლამენგო | 1:1 |
| ვასკო და გამა-სან პაულუ | 0:2 |
| ვიტორია-ნაუტიკო | გვ. დასრულდა |
| გოიასი-ატ. მინეირო | გვ. დასრულდა |
| სანტოსი-ბოტაფოგო | გვ. დასრულდა |

## ეკვადორი

XI ტური

| | |
|---|---|
| ემელეკი-ელ ნასიონალი | 0:2 |
| ინდეპენდიენტე-დეპ. კევედო | 3:1 |
| უნ. კატოლიკა-დეპ. კუენკა | 3:1 |
| ლიგა დე ლოხა-მანტა | 3:0 |
| დეპ. კიტო-ბარსელონა | 1:2 |
| დეპ. მაკარა-ლდუ კიტო | 1:3 |

## პარაგვაი

VIII ტური

| | |
|---|---|
| სერო პორტენიო-დეპ. კარაპეგუა | 4:0 |
| ხენერალ დიასი-პრეზიდენტე | 4:0 |
| გუარანი-ლიბერტადი | 1:0 |
| ნასიონალი-დეპ. კაპიატა | 3:1 |
| რუბიო ნუ-ლუკენო | 0:1 |
| სოლ დე ამერიკა-ოლიმპია | 4:4 |

## ურუგვაი

IV ტური

| | |
|---|---|
| დანუბიო-ნასიონალი | 2:0 |
| მონტევიდეო-ხუვენტუდი | 1:1 |
| სუდ ამერიკა-მირამარი | 0:0 |
| რივერ პლეიტი-ლივერპული | 2:0 |
| სერო-რენტისტასი | 0:2 |
| დეფენსორი-ფენიქსი | 1:0 |
| რასინგი-პენიაროლი | 2:3 |
| ელ ტანკე-სერო ლარგო | 1:1 |

## მექსიკა

X ტური

| | |
|---|---|
| კერეტარო-ატლანტე | 1:0 |
| ს. ლაგუნა-ამერიკა | 2:1 |
| ვერაკრუსი-ლეონი | 0:1 |
| კრუს ასული-ტიგრესი | 0:1 |
| მონტერეი-პაჩუკა | 1:0 |
| ხაგუარესი-ატლასი | 3:0 |
| პუებლა-ტოლუკა | 1:1 |
| პუმასი-მორელია | 0:1 |

## აშშ

XXXI ტური

| | |
|---|---|
| სიეტლი-სოლტ ლეიკი | 2:0 |
| მონრეალი-კოლამბუსი | 1:2 |
| დი სი იუნაიტედი-ლოს ანჯელესი | 2:2 |
| ნიუ იორკი-ტორონტო | 2:0 |
| ფილადელფია-ჰიუსტონი | 0:1 |
| ჩიკაგო-ნიუ ინგლენდი | 3:2 |
| კოლორადო-დალასი | 2:1 |
| ჩივასი-პორტლენდი | 1:1 |
| სან ხოსე-ვანკუვერი | 0:0 |

## იაპონია

XXV ტური

| | |
|---|---|
| კაშივა-ივატა | 1:3 |
| ვეგალტა-ოიტა | 6:0 |
| ტოკიო-ურავა | 3:2 |
| კავასაკი-ჰიროშიმა | 2:0 |
| იოკოჰამა-სერეზო | 1:1 |
| კოფუ-კაშიმა | 3:0 |
| ნიიგატა-ომია | 1:0 |
| შიმიძუ-ნაგოია | 2:1 |
| ტოსუ-შონანი | 1:0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფალი ჭიდაობა. მსოფლიოს ჩემპიონატი



რევაზ მინდორაშვილი (მარცხნივ) და გენო პეტრიაშვილი

# ფავორიტი ძნელ ბადეში

## ქართველთა წილი ბუდაპეშტში

დღეს ბუდაპეშტში, „ლასლო პაპის სახელობის სპორტდარბაზში" მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება, რომელსაც თავისუფალი სტილის ფალავნები გახსნიან. თავდაპირველად ტურნირში სამი წონითი კატეგორიის - 55, 66 და 96-ის წარმომადგენლები ჩაებმებიან, ჩვენი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **რევაზ მინდორაშვილმა** კი სიურპრიზი მოგვიმზადა - 66 კილოგრამში **ლევან ქელეხსაშვილის** ნაცვლად **კონსტანტინე ხაბალაშვილი** გამოვა. დიდი მცდელობის მიუხედავად, ამ ცვლილების მიზეზი ვერ დავადგინეთ, მასთან ერთად ევროპის წლევანდელი ჩემპიონი **გიორგი ედიშერაშვილი** (55) და **დავით ქერაშვილიც** (96) იასპარეზებენ. ამ სამეულიდან ჩვენი იმედები ყველაზე მეტად ედიშერაშვილს უკავშირდება, რომელიც საკმაოდ ძნელ ბადეში მოხვდა. თუმცა პირველი ორი წრე შედარებით თავისუფალი ექნება, სიძნელეები უფრო მერე ელოდება. სამაგიეროდ, შესაძლოა, საწყის ეტაპზე თანამემამულესთანაც მოუწიოს შეხვედრამ.

მთლად ისეც ვერ ვიტყვით, რომ ედიშერაშვილს თავიდანვე იოლი მეტოქე ერგო - სომეხი **მიჰრან ჯაბურიანი**. ის არაა ტიტულოვანი, მაგრამ ფრიად გამოცდილია და სწორედ ესაა მისი მთავარი ღირსება. ამის მიუხედავად, მაინც გვგონია, რომ ჩვენებურმა ეს ბარიერი უნდა დასძლიოს. აი, ამ შემთხვევაში შეიძლება შეხვდეს ქართველს - ესპანეთის სახელით მოჭიდავე **ლევან მეტრეველს**, რომელსაც ამჯერად რაჭულ გვარზე **ვართანოვიც** დაურთავს და ახალი დროშის ქვეშ ორი გვარით გამოდის. საინტერესოა, რომ მან ამ ზაფხულს მადრიდის „დიდ პრიზზე" მხოლოდ ქართული გვარით იჭიდავა და მეორეზე გავიდა. ქართველთა დუელი იმ შემთხვევაში შედგება, თუ მეტრეველი პირველ შეხვედრაში ვიეტნამელ **ჰიუ ჰა ნგუენს** დაამარცხებს, რაც სავსებით რეალური გვგონია.

ამ ორი წრის გავლის შემთხვევაში ედიშერაშვილს ბევრად ძლიერ მეტოქეებთან მოუწევს პაექრობა და სწორედ აქედან დაეწყება ნამდვილი ომი მედლისკენ მიმავალ გზაზე. ბადის ამ მხარეს მოხვდნენ რუსთა ევროპის ჩემპიონი **ნარიმან ისრაპილოვი**, ჩრდილოკორეელი მსოფლიოს ჩემპიონი **კიონგ II იონგი** და გერმანელი ევროპის ვიცე-ჩემპიონი **მარსელ ევალდი**. კორეელი და რუსთა დაღესტნელი, ეროვნებით ყუმუხი ისრაპილოვი პირველ წრეში ერთმანეთს ხვდებიან და ეჭვიც არაა, დიდ ბრძოლას გამართავენ. ალბათ, ედიშერაშვილსაც ამათ შორის გამარჯვებულთან მოუწევს ნახევარფინალის საგზურისთვის ბრძოლა. ბადის ამავე მხარესაა ანუ ნახევარფინალში შეიძლება შეხვდეს ბელარუსი **ვლადისლავ ანდრეევი**, ვისაც წლეულს თბილისში ევროპის ჩემპიონატის ფინალში მოუგო. გემახსოვრებათ, რომ მაშინ ბელარუსი ნაგებით ორმაგად უკმაყოფილო დარჩა, რადგან ამას მსაჯებს აბრალებდა და კვარცხლბეკზეც არ უნდოდა ასვლა. იოლი წარმოსადგენია, ბუდაპეშტში ჩვენებურთან თუ მოუწევს შეხვედრა, რამხელა მოტივაციით გავა ლეიბზე.

ხაბალაშვილი პირველად ინდოელ **არუნ კუმარს** დაეჭიდება, ოღონდ ინდოელის გვარმა არ შეგაცდინოთ - ეს ახალი კადრია და მხოლოდ მოგვარეა მსოფლიოს ჩემპიონის, ოლიმპიური ვერცხლ-ბრინჯაოს მედალოსან **სუშილ კუმარისა**. მისი არყოფნა ჩვენთვის დიდი შეღავათია, ამ წყვილის გამარჯვებული კი შრილანკელ **როშან ინდიკა ლიუანაგესა** და ეგვიპტელ **აიად იბრაჰიმ ხალილ იბრაჰიმს** შორის მოგებულს შეხვდება. დაუძლეველი არც ამ მეტოქეთა ფაქტორია და ჩვენებურს წარმატების შემთხვევაში განსაკუთრებულად ძლიერები არც მეოთხედფინალში ელოდება, აი, ნახევარფინალში კი ბადის მეორე მხრიდან მართლაც სოლიდური ფალავნები მოდიან - ევროპის წლევანდელი პირველობის ფინალისტები, სომეხი გამარჯვებული **დავიდ საფარიანი** და თურქი ვიცე-ჩემპიონი **იაკუპ გორი**, ირანელი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **მეჰდი კერმან ტაგავი** და რუსი **მაგომედ კურბანალიევი**.

ქერაშვილს წილისყრამ პირველ მეტოქედ სამხრეთკორეელი აზიის პრიზიორი **ჯაე-განგ კიმი** არგუნა, ამ წყვილის მოგებულს კი სომეხ ევროპის პრიზიორ **ედგარ იენოკიანსა** და ალბანელ **ეგზონ შალას** შორის გამარჯვებული ელოდება, ვინც წლეულს თბილისში ევროპირველობაზე საკმაოდ კარგად იასპარეზა და დამამშვიდებლის ფინალშიც გავიდა. ქერაშვილს წილისყრამ შედარებით გაუმართლა, რადგან უმთავრესი ფავორიტები ასცდნენ, თუმცა ძლიერები მასთანაც არიან. მაგალითად, ევროპის ბრინჯაოს მედალოსნები, ბელარუსი **ივან იანკოუსკი**, ბულგარელი **ლიუბენ ბორისლავ ილიევი** და მოლდოველი **ნიკოლაი ცებანი**, თუმცა ბადის ამ მხარეში ყველაზე ძლიერი მაინც უკრაინელთა ევროპის წლევანდელი ჩემპიონი **პავლო ოლეინიკი** გვგონია.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი

# ჯავახაძე ლიდერებში

20-წლამდელ მოჭადრაკეთა მსოფლიოს ჩემპიონატს თურქული ქოჯაელი მასპინძლობს. იქ სამი ქართველიც ცდის ძალებს. პირველ ტურში, როგორც გაუწყეთ, სამივემ წარმატებას მიაღწია, მეორეში კი, რომელიც შაბათს გაიმართა, **მერი არაბიძე** შავი ფიგურებით მარია ბეზგოდოვასთან (რუსეთი) დამარცხდა, **ანა კუჭავა** ვო თი კიმ პუნგს (ვიეტნამი) დაუზავდა. გოგონებში ამ ტურის მოულოდნელობა ის იყო, რომ შეჯიბრების ფავორიტებმა - რუსმა დიდოსტატმა ალინა კაშლინსკაიამ და პერეულმა დიდოსტატმა, ოცწლიანებში მსოფლიოს ჩემპიონმა დეიზი კორიმ ქულები გაიყვეს, შესაბამისად, ფიდეს ოსტატ ლანიტა სტეცკოსა (ბელარუსი) და ქალთა საერთაშორისო ოსტატ ანა ივანოვთან (პოლონეთი). 14 წლის ალექსანდრა გორიაჩკინამ (რუსეთი) ალტანულზი ენკტუულს (მონგოლეთი) აჯობა.

ვაჟებში **ზურაბ ჯავახაძე** და ჟანატ საინი (ყაზახეთი) მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს. ფავორიტებში მორიგი ქულები ჩაიწერეს იუ იანიმ (ჩინეთი) და ალექსანდრ იპატოვმა (თურქეთი).

გუშინ მე-3 ტურში მერი არაბიძემ დორსა დერაკშანი (ირანი) დაამარცხა, ანა კუჭავამ პაულა ანდრეა როდრიგესთან (კოლუმბია) წააგო. ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვეს ალექსანდრა გორიაჩკინამ, ჟაო მომ (ჩინეთი) და აულია ვარდა მედინამ (ინდონეზია), რომლებიც გოგონათა გათამაშების ცხრილს ჩაუდგნენ სათავეში.



ზურაბ ჯავახაძე

ვაჟებში სამქულიანთა რიცხვი ერთით მეტია - აქ იუ იანი, ალექსანდრ იპატოვი, სალეხ სალემი (არაბთა გაერთიანებული საამიროები) და იან-კრიშტოფ დუნა (პოლონეთი) დაწინაურდნენ. ზურაბ ჯავახაძემ შავი ფიგურებით კენდე ტიბორ ანტალს (უნგრეთი) გააჩერებინა საათი, სამი შესაძლებლიდან 2,5 ქულა მოაგროვა და ლიდერებს ნახევარი ქულით ჩამორჩება.

დღეს მე-4 ტურის შეხვედრებია.

**ვაჟა დანელია**



სოფიკო გურამიშვილი

# მეორე ადგილი იკმარა

თბილისელი დიდოსტატი **სოფიკო გურამიშვილი** ლინარესის (ესპანეთი) ქალთა საერთაშორისო წრიულ ტურნირზე შვიდი ტურის განმავლობაში ერთპიროვნულად მეწინავეობდა. მერვე ტურში გურამიშვილი საცხოვრებლად კატალონიის დედაქალაქში გადასულ თანამემამულე **ანა მათნაძეს** დაუზავდა. ამ წაფორხილებით ისარგებლა რუსმა ანასტასია სავინამ, რომელმაც მასპინძელი ლაურა ბარბას კოლადო დაამარცხა და ქულებით ჩვენებურს გაუთანაბრდა. პირველი ადგილის ბედი ბოლო ტურის შეხვედრებს უნდა გადაეწყვიტა. სავინამ ასპარეზობის აუტსაიდერ ლაურა პერეს მარტინს (ესპანეთი) სძლია, 9 შესაძლებლიდან 7 ქულა მოაგროვა და მთავარი პრიზი მოიპოვა. ამდენივე ქულას მოუყარა თავი სოფიკო გურამიშვილმაც - მე-9 ტურში მან იუდანია ესტევეს ერნანდესს აჯობა, მაგრამ მოგებათა რაოდენობით ჩამორჩა სავინას და მე-2 ადგილით დაკმაყოფილდა, სარეიტინგოდ 7,8 პუნქტი შეიმატა. 6 ქულით მესამე ადგილი ფრანგმა სოფი მიიემ დაიკავა - ბოლო ტურში მან შავი ფიგურებით იტალიელ მარინა ბრუნელოს გააჩერებინა საათი. მე-9 ტურის დანარჩენი ორი შეხვედრა: ამალია მურილო არანასი (ესპანეთი) - ლაურა ბარბას კოლადო (ესპანეთი) 1:0, დეიმანტე დაულიტე (ლიტვა) - ანა მათნაძე (ესპანეთი) 0:1. ტურნირზე IV-X ადგილები ასე განაწილდა: მარია ბრუნელო - 5, დეიმანტე დაულიტე - 5, იუდანია ერნანდესი - 4,5, ანა მათნაძე - 4,5, ამალია არანასი - 4, ლაურა კოლადო - 1,5, ლაურა მარტინი - 0,5 ქულა.

**ვაჟა დანელია**

# სამი ხელისუფალი

თბილისის ჭადრაკის სასახლეში "ნონას თასზე" 6 ტურის შემდეგ 5.5 ქულით სომეხი **ტიგრან პეტროსიანი** ლიდერობდა. გუშინ იგი 29-ე სვლაზე **მერაბ გაგუნაშვილს** შეუთანხმდა ყაიმზე. ამ დაზავებით ისარგებლეს **ლევან ფანცულაიამ** და **გიგა ყუფარაძემ**, რომლებმაც, შესაბამისად, **ნინო ხურციძეს** და **არტურ ჩიბუხჩიანს** (სომხეთი) სძლიეს და ქულებით პეტროსიანს გაუთანაბრდნენ. ხუთქულიანთაგან მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს **ლუკა პაიჭაძე** და **შოთა აზალაძე**, ხოლო **ნიკოლოზ შავთვალაძემ** თეთრებით დათმო პარტია ტურნირის რეიტინგფავორიტ **ოლეგ კორნეევთან** (ესპანეთი), რომელსაც 4.5 ქულა ჰქონდა. ვაჟებში საქართველოს წლევანდელმა ჩემპიონმა **გაიოზ ნიგალიძემ** თეთრებით **მაია ლომინეიშვილთან** წააგო.

ამდენად შვიდი ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში ასეთი ვითარებაა: პეტროსიანი, ფანცულაია, ყუფარაძე - 6-6, გაგუნაშვილი, პაიჭაძე, აზალაძე, კორნეევი, ლომინეიშვილი, მალალაშვილი - 5.5-5.5 ქულა.

ტურნირში მოზარდი მოჭადრაკეებიც მონაწილეობენ. **8-წლიან** გოგონებში შვიდი ტურის შემდეგ 6 ქულით ერთპიროვნულად **დიანა ლომაია** ლიდერობს. მას ნახევარი ქულით ჩამორჩება **ლილე გუმბერიძე**. ბიჭებში უდანაკარგოდ მიიწევს წინ **რობერტ მურადიანი** (სომხეთი) - მას შვიდი ქულა აქვს, ქულით ნაკლები - **საბა ლომსაძეს**.



ლევან ფანცულაია

**10-წლიანებში** 6,5 ქულით **თამარ ესაძე** მეწინავეობს, რომელიც 1,5 ქულით უსწრებს მეორე ადგილზე მყოფ **ეკა ბეჭვაიას**. ბიჭებში 6 ქულით **მამიკონ ღარიბიანი** (სომხეთი) უდგას სათავეში გათამაშების ცხრილს. მას თითო ქულით ჩამორჩებიან: **სადიკ მამადოვი** (აზერბაიჯანი), **გიორგი დემურხანაშვილი**, **შოთა ხოდაშნელი** და **ნიკოლოზ კაჭარავა**.

**12-წლიანებში** 5,5 ქულით **ელენე კოსტავა** ლიდერობს. 5 ქულით მეორეა **მაია ბეჭვაია**. ბიჭებში 6,5 ქულით პირველ ადგილზეა **ლუკა ობოლაძე**, რომელსაც **ნიკოლოზ პეტრიაშვილი** ნახევარი ქულით ჩამორჩება.

**ვაჟა დანელია**

ექსტრიმი

# ოთხი დისციპლინით

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით სტეფანწმინდამ ექსტრემალურ გუნდურ შეჯიბრებას უმასპინძლა. ასპარეზობის პროგრამაში ოთხი დისციპლინა - კაიაკი (მდინარე თერგზე კაიაკით 6 კმ დაშვება), მეკლდეურობა (30 მ სიმაღლის კლდეზე ცოცვა), სამთო ველოსპორტი (12 კმ) და სამთო რბენა (7 კმ) შედიოდა. პირველობას ერთმანეთს ეცილებოდნენ საქართველოს, რუსეთის, უკრაინის, ლატვიის, ირანის, თურქეთის, გერმანიის, სომხეთის და აშშ-ის გუნდები. 116 წუთითა და 42 წამით ყველას სპორტის სამინისტროს წარმომადგენლებმა (**ბესო ყაველაშვილი, გიორგი გაბულდანი, მიხეილ გეწაძე, გიორგი შეყრელიძე**) აჯობეს. დისციპლინების მიხედვით პირველ ადგილებზე გავიდნენ: კაიაკი - **უგურ პოლატი** (თურქეთი), კლდეზე ცოცვა - გიორგი გაბულდანი, სამთო ველოსპორტი - **გიორგი მალრაძე** (ორივე - საქართველო), სამთო რბენა - **რომანს ევარტსი** (ლატვია).

**ვაჟა დანელია**

სუმო. აკი ბაშო. 15-29 სექტემბერი



ტოკიოს „რიოგოკუ კოკუგიკანში" დაიწყო სექტემბრის ბაშო, რომელშიც 5 წლის შემდეგ პირველად მხოლოდ ერთი ქართველი მონაწილეობს ელიტაში - **თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ)**.

ქართველი ალმოსავლეთის მე-9 მაეგაშირაა, მას პირველ დღეს შანსი არ ჰქონია დასავლეთის მე-9 მაეგაშირა **კოტოიუკისთან** და წამებში დამარცხდა ოშიდაშით.

# ცუდი სტარტი

შეგახსენებთ, რომ ძურიოში დაქვეითებული **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)** სექტემბრის ბაშოს ტრავმის გამო ტოვებს.

ასპარეზობის მეორე დღეს გაგამარუს მეტოქე ვეტერანი **იოშიკაძე** იქნება.

**I დღე**

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-ტაკაიასუ (იორიკირი), ჰარუმაფუჯი-ტოჩიოძანი (იორიკირი), კისენოსატო-შოჰოზანი (ოშიდაში), კაკურიუ-იკიოი (ცუკიდაში), კოტოშოგიკუ-ოკინოუმი (კიმაძასი), კოტოოშუ-აოიამა (ცუკიოტოში), გოეიდო-ჩიოტაირიუ (ოშიდაში), კოტოიუკი-**გაგამარუ** (ოშიდაში).

**II დღე**

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰარუმაფუჯი-შოჰოზანი, ჰაკუჰო-იკიოი, კაკურიუ-ტაკაიასუ, კოტოშოგიკუ-აოიამა, კოტოოშუ-ტაკარაფუჯი, კისენოსატო-ტოჩიოძანი, გოეიდო-ოკინოუმი, **გაგამარუ**-იოშიკაძე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრობასკეტის ექო

ინტერვიუ გიორგი ცინცაძესთან

# იმედგაცრუებულები ვართ

## ჯგუფიდან გასვლა რეალურად შეგვეძლო

**გიორგი ცინცაძე** საქართველოს ნაკრებში 2004 წლიდან თამაშობს. მას მერე საშუალოდ 10-ზე მეტი ქულა გასულ ზაფხულს ევრო-2013-ის შესარჩევ ეტაპზე ჰქონდა (11.0). ჩვენი გუნდისთვის ახლახან დასრულებული ევროპის ჩემპიონატი კი, სტატისტიკური თვალსაზრისით, გიორგისთვის სანაკრებო კარიერაში საუკეთესო იყო. აი, ციფრებიც: 14.4 ქულა, 5.8 პასი, 1.6 ჩაჭრა, 2.6 მოხსნა. „სტატისტიკური თვალსაზრისითო", იმიტომ დავწერეთ, რომ თავად კალათბურთელი გულდაწყვეტილია, კმაყოფილი როგორ უნდა ვიყო, როცა მიზანს ვერ მივაღწიეთ, არადა, ძალიან ახლოს ვიყავითო...
ცინცაძე საქართველოს ნაკრებთან ერთად სლოვენიიდან თბილისში 10 სექტემბერს გამოფრინდა, სამშობლოში ერთი კვირაც ვერ დარჩა - გუშინ შუადღეს უკრაინაში გაემგზავრა. ტრაპზე ასვლამდე რამდენიმე საათით ადრე მასთან ინტერვიუ ჩავწერეთ. ვილაპარაკეთ როგორც ევრობასკეტზე, ასევე უკრაინაზე.




**- „დონეცკთან" კონტრაქტი უკვე გააფორმე?**

- გუნდთან შეთანხმებას ევროპის ჩემპიონატის მსვლელობისას მივაღწიე, ხელშეკრულებას კი ევრობასკეტის მერე მოვაწერე ხელი. კონტრაქტი ერთწლიანია და „დონეცკში" სეზონის ბოლომდე, მაისამდე დავრჩები.

**- სხვა შეთავაზებებიც გექნებოდა...**

- ზაფხულში მართლაც იყო რამდენიმე წინადადება, საინტერესოც, მაგრამ არ ავჩქარდი, თავი შევიკავე. ახლა მხოლოდ „დონეცკის" ვარიანტი მქონდა და მოცდას კონტრაქტის გაფორმება ვამჯობინე.

**- როგორც უკრაინელმა ჟურნალისტებმა მითხრეს, გუნდი, რომელიც ევროთასებზე თამაშობს, ვითიბი ლიგაზე გამოსვლის უფლება არა აქვს.**

- „დონეცკი" არც ევროლიგაზეა, არც ევროთასზე და არც ევროჩელენჯზე. სამაგიეროდ ვითიბი ლიგაზე იასპარეზებს. ასეთი დონის შეჯიბრებაში გამოსვლა ჩემთვის საინტერესოა, ვითიბიზე ხომ ცსკა-სთან და სხვა არანაკლებ სუსტ გუნდებთან მოგვიწევს თამაში. უკრაინის ჩემპიონატიც სათანადო სიმაღლეზეა, ბევრი მაღალი კლასის კალათბურთელი გამოდის.

**- „დონეცკის" მწვრთნელს თუ ესაუბრე. დაახლოებით მაინც თუ გაარკვიეთ, რა როლი დაგეკისრება გუნდში?**

- წინასწარ ასეთ საკითხებზე ლაპარაკი რთულია, ჯერ გუნდს არც შევხვედრივარ. თუმცა მითხრეს, რომ სასტარტო გამთამაშებლად ვუნდივარ. ბევრი რამ ჩემზე იქნება დამოკიდებული. მაგალითად, შარშან „ბუდიველნიკში" მესამე გამთამაშებლად წავედი, მაგრამ სეზონის ბოლოს პირველი პლეიმეიქერი ვიყავი.

**- კლუბის სამომავლო გეგმებზე თუ იყო ლაპარაკი? უკრაინის მოქმედი ჩემპიონი ხარ, სავარაუდოდ, არც „დონეცკს" უნდა ჰქონდეს მოკრძალებული მიზნები.**

- ეს გუნდი ყოველთვის მაღალი მიზნებისკენ ისწრაფვის. შარშან ერთგვარი ჩავარდნა ჰქონდა, უკრაინის ჩემპიონატი მეოთხედფინალში დაასრულა. თუმცა ახალ სეზონში აპირებს დანაკლისის ანაზღაურებას - საჩემპიონო ამბიცია აქვს. ვეცდები წარმატებულ სვლაში ჩემი წვლილი შევიტანო.

**- ჯერაც არ შეგრილებულა სანაკრებო პერიპეტიები. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ მწვრთნელი წინა წლებთან შედარებით მეტ თავისუფლებას გაძლევდათ.**

- იმას ნამდვილად ვერ ვიტყვი, ტაქტიკისა და სტრატეგიის გარეშე ვთამაშობდით-მეთქი. გვქონდა მონახაზი, რომელსაც მივყვებოდით. მიმაჩნია, რომ სწორი გზითაც მივდიოდით. უბრალოდ შარშანდელთან შედარებით სათამაშო სტილი იყო შეცვლილი. თუ გასულ წელს ზაზა ფაჩულია გვეხმარებოდა, მის გამოცდილებას ვიყენებდით, წლეულს პერიმეტრს მეტ ყურადღებას ვუთმობდით. შესაბამისად, ამიტომაც ჩანდა, რომ უფრო სწრაფად ვთამაშობდით. რაც შეეხება მწვრთნელის მითითებებს, იგორ კოკოშკოვი ინდივიდუალურად თამაშის საშუალებასაც გვაძლევდა. ყველას შეეძლო თავისუფლად ემოქმედა. საერთო ჯამში, თამაშის ხარისხი ურიგო არ გვქონდა, თუმცა დასანანია, რომ არ გაგვიმართლა და იმ შედეგს ვერ მივაღწიეთ, რისთვისაც სლოვენიაში ჩავედით.

**- მეორე ეტაპზე თამაშს გულისხმობ?**

- რა თქმა უნდა. დასანანია, როცა ხედავ, რომ მიზანთან ძალიან ახლოს იყავი და მცირე გაუმართლებლობისა თუ სხვა მიზეზთა გამო შედეგს ვერ მიაღწიე. მეორე ჯგუფურ ეტაპზე თამაში ნამდვილად შეგვეძლო...

**- სლოვენიაში ქართველ გულშემატკივრებს დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ. ამის მიზეზი გუნდის გამოსვლა იყო.**

- კალათბურთელები კმაყოფილები არ ჩამოვსულვართ. იმედგაცრუებულები ვართ, რადგან ვგრძნობთ, რომ შეგვეძლო ჯგუფიდან გასვლა და ვერ მოვახერხეთ. თუმცა, სლოვენიის ევრობასკეტზე დიდი გამოცდილება მივიღეთ, როგორც ნაკრების სტაჟიანმა წევრებმა, ასევე ახალგაზრდებმა. მათ დაინახეს, რას ნიშნავს უმაღლესი დონის გუნდებთან თამაში და რა არის საჭირო სამომავლო წინსვლისთვის.

**- ხორვატიასთან მატჩი გავიხსენოთ. 2004 წლის შემდეგ ეს შენი საუკეთესო სანაკრებო შეხვედრა იყო. მეთანხმები?**

- ინდივიდუალურად შეიძლება ასეც იყო, მაგრამ წაგებულ თამაშზე ძნელია რაიმე დადებითის თქმა. დასანანია, რომ გამარჯვება ხელიდან გავუშვით. ბოლო წამებზე მქონდა თამაშის გადარჩენის შანსი, მაგრამ სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

**- სლოვენიაში გამართულმა ევრობასკეტმა რა გაკვეთილი მოგვცა?**

- ყოველი თამაში ჩვენთვის დიდი გამოცდა იყო. კიდევ უფრო მეტი ვისწავლეთ, რასაც შემდეგისთვის აუცილებლად გამოვიყენებთ. ყველაზე მთავარი, რაც წლევანდელმა ევროპის ჩემპიონატმა დაგვანახვა, ის არის, რომ საქართველოს ნაკრებს თამამად შეუძლია უმაღლესი დონის გუნდებთან თამაში და გამარჯვებაც. არავის შიში არ უნდა გვქონდეს. მთავარია საკუთარი შესაძლებლობებისა გვჯეროდეს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

# ჯანსაღი და ბალანსირებული კვების უპირატესობა

**რა უნდა იცოდეს სპორტსმენმა ჯანსაღი კვების შესახებ:**

მიიღეთ სხვადასხვა სახის საკვები, რადგან სხვადასხვა სახის საკვებში ორგანიზმისთვის აუცილებელი ნივთიერებების სხვადასხვა შემცველობაა. მაგალითად, ფორთოხალი შეიცავს ვიტამინ C-ს და ნახშირწყლებს, მაგრამ არა ცილებს და რკინას, რომელთა მიღება შეიძლება ხორცით და პირიქით.

კვება უნდა იყოს რეგულარული. კვების გამოტოვება იწვევს ორგანიზმის დასუსტებას, რაც აისახება სპორტულ აქტიურობებზე.

მიიღეთ საკმარისი კალორიები. კალორიები გამოიყენება ვარჯიშის დროს. ამიტომ მათი საკმარისი რაოდენობა მნიშვნელოვანია სპორტსმენისთვის, რომელსაც ესაჭიროება დამატებითი ენერგია.

მიიღეთ დიდი რაოდენობით სითხე. როგორც აღვნიშნეთ სპორტსმენს უფრო მეტი სითხე სჭირდება ვიდრე არასპორტსმენს. ნუ დაელოდებით როდის მოგწყურდებათ, რადგან ეს ნიშნავს, რომ თქვენი ორგანიზმი უკვე განიცდის დეჰიდრატაციას. გახსოვდეთ, უფრო მეტი უნდა დალიოთ ცხელ და ნოტიო ამინდში.

**რა სახის სითხე უნდა მიიღოს სპორტსმენმა და რა რაოდენობით?**

ვარჯიშის წინ სითხის მიღების მიზანია ის, რომ ორგანიზმი იყოს კარგად ჰიდრატირებული. თუ სპორტსმენი ისვენებს სულ მცირე 8-12 საათი, იკვებება და სითხეს იღებს რეგულარულად, დამატებითი სითხე შეიძლება არც იყოს საჭირო. თუ სპორტსმენმა დაკარგა სითხე ოფლის სახით და არ ღებულობს რეგულარულად სითხეს ან აქვს მუქი ფერის, კონცენტრირებული შარდი, მაშინ მას შეიძლება დასჭირდეს 1-2 ჭიქა წყალი ოთხი საათით ადრე ვარჯიშამდე და კიდევ 1/2-1 ჭიქა ორი საათით ადრე.

ვარჯიშის დროს სითხის მიღება დამოკიდებულია ვარჯიშის ინტენსივობაზე, ხანგრძლივობაზე, ამინდზე და ოფლიანობის ხარისხზე. თუ თქვენ უნდა ივარჯიშოთ ერთ საათზე მეტი, მაშინ რეკომენდირებულია დალიოთ 2-4 ჭიქა წყალი საათში. სპორტული სასმელები აღადგენს წყლის, ნახშირწყლების და ელექტროლიტების დეფიციტს. კოფეინი თავისთავად იწვევს დეჰიდრატაციას. ვარჯიშის დროს სპორტსმენმა სითხე უნდა მიიღოს იმის მიუხედავად სწყურია თუ არა. უპირატესობას ანიჭებენ სითხის მიღებას ხშირად (ყოველ 15 წუთში 200-300 მლ) მცირე მოცულობით.

ვარჯიშის შემდეგ სპორტსმენმა უნდა დალიოს 2 ჭიქა წყალი დამატებით, გარდა რეგულარული კვებისა და სასმელისა. შარდის შეფერილობის მიხედვით სპორტსმენი უნდა ხვდებოდეს საკმარისად აქვს სითხე მიღებული თუ არა. ღია ფერი კარგის მაჩვენებელია.

ხშირი შარდვა არის ნიშანი იმისა, რომ სპორტსმენი საკმარისად იღებს სითხეს. მარტივი მეთოდია სპორტსმენმა რომ გაარკვიოს, რა რაოდენობით სითხე უნდა მიიღოს, საჭიროა აწონვა შეჯიბრების წინ და შემდეგ, წონის დაკლება თითქმის მთლიანად დაკავშირებულია სითხის დაკარგვასთან.

**რა უნდა ჭამოს სპორტსმენმა ვარჯიშის წინ?**

აუცილებელია კვების დაგეგმვა უშუალოდ ვარჯიშის წინ და შემდეგაც.

ეს მინიშნებები დაგეხმარებათ თავიდან აიცილოთ სისხლში შაქრის დონის ვარდნა, შიმშილის შეგრძნება და კუნთების მზადყოფნა ვარჯიშისთვის და შეჯიბრებებისათვის:

მიიღეთ სრულყოფილი საკვები თუ გაქვთ 3-6 საათი ვარჯიშამდე. მცირე რაოდენობით საკვები უმჯობესია მიიღოთ თუ გაქვთ 2-3 საათი. ამ დროს უმჯობესია კომპლექსური ნახშირწყლებისგან შემდგარი საკვები: მაკარონი, კარტოფილი, ბრინჯი, ხილი. რადგან ცილები არ მონაწილეობენ ენერგიის წარმოქმნაში და პირიქით, ხელს უწყობენ დეჰიდრატაციას და ზრდიან შარდის გამოყოფის მოთხოვნილებას, მათი რაოდენობა უნდა იყოს შეზღუდული. ცხიმების რაოდენობაც უნდა იყოს საკმაოდ მცირე, რადგან მათ მონელებას მეტი დრო სჭირდება და აფერხებენ კუჭისა და ზედა საჭმლისმომნელებელი ტრაქტის დაცლას. ამის შედეგად ძნელდება სუნთქვა და იზრდება დატვირთვა სისხლის მიმოქცევის სისტემაზე, რასაც საბოლოო ჯამში მივყავართ გულის რევის შეგრძნებისაკენ და პირღებინებისაკენ.

არ მოსინჯოთ ახალი ტიპის საკვები შეჯიბრების წინ. ყოველთვის მიიღეთ თქვენთვის კარგად ადაპტირებული საკვები.

როგორც ჩანს, შეჯიბრების წინ ისე უნდა იყოს დაგეგმილი კვება, რომ კუჭი იყოს ცარიელი, რადგან სპორტსმენს არ ჰქონდეს კუჭ-ნაწლავის პრობლემები. რაც უფრო მეტად კალორიულია საკვები, მით უფრო დიდი დროა საჭირო მისი მონელებისთვის.

| საათები ვარჯიშის წინ | რა უნდა ჭამოთ? | რა უნდა დალიოთ? |
|---|---|---|
| 1-2 | შერეული და თხიერი საკვები - ხილი და ბოსტნეული (უჯრედისის დაბალი დონით) | წყალი, ხილი და ბოსტნეულის წვენი |
| 2-3 | მცირე როადენობით, 500 კკალ-ზე ნაკლები - იოგურტი, ფუნთუშა, მიწის თხილის კარაქი, მარცვლეული და რძე | წყალი, ხილი და ბოსტნეულის წვენი |
| 3-6 | მაღალი კალორიულობის საკვები - ხილი, ბოსტნეული, პური, არახისის ქარაქი, მჭლე ხორცი, ყველი, იოგურტი, მაწონი, სენდვიჩი, კარტოფილი გაზქურაში, მარცვლეული რძით, ხილი | წყალი, ხილი და ბოსტნეულის წვენი |

მოერიდეთ უჯრედისით მდიდარ საკვებს როგორიცაა ბროკოლი, კომბოსტო, ლობიო და სხვა პარკოსნები. ვარჯიშის წინ ამ საკვებმა შეიძლება გამოიწვიოს კუჭის ტკივილი ვარჯიშის დროს, მაგრამ იგივე ტიპის საკვები შეგიძლიათ მიიღოთ დღის სხვა მონაკვეთში, რადგან სასარგებლოა.

მოერიდეთ შაქარს და ტკბილეულს, განსაკუთრებით ლიმონათს და კამფეტებს 1 საათით ადრე ვარჯიშამდე. შაქრის მაღალი შემცველობის საკვები სწრაფად მოგცემთ ენერგიას, მაგრამ ეს არ გაგრძელდება დიდხანს.

შეზღუდეთ ისეთი საკვები, სადაც არის კვერცხი, ხორცი, ყველი ვარჯიშის წინ. მათ ესაჭიროებათ ხანგრძლივი მონელება და თქვენ გექნებათ დაღლილობის შეგრძნება.

ხანდახან ამ წესების დაცვა გაძნელებულია. მაგალითად ბევრი შეჯიბრება გამძლეობაზე ინიშნება დილით. თუ მარათონი იწყება დილის 10 საათზე, სპორტსმენმა უნდა მიიღოს საკვები დილის 6 საათზე. როდესაც ვარჯიში ან შეჯიბრება დანიშნულია დილით, უმჯობესია სპორტსმენმა ივახშმოს შედარებით გვიან ნახშირწყლებით მდიდარი საკვებით, ვიდრე ისაუზმოს მსუბუქად შეჯიბრების წინ 2 საათით ადრე. გამძლეობაზე შეჯიბრების წინ სასურველია 227-340 გრ ცივი წყლის მიღება 10-12 წუთით ადრე, განსაკუთრებით იმ სპორტსმენებისათვის, რომელთაც ელით სავარაუდო დეჰიდრატაცია. ცივი სასმელების უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ სითხე უფრო ადრე გაივლის კუჭს და ამავე დროს იწვევს ორგანიზმის გაგრილებას.

სპორტსმენები თვლიან, რომ ტკბილი სასმელების მიღება სტარტის წინ უშუალოდ უზრუნველყოფს ორგანიზმს ენერგიით. არცთუ ისე შორეულ წარსულში ითვლებოდა, რომ ასეთი რეჟიმი მართალია იწვევს თავიდან ენერგიის მოზღვავებას გლუკოზის დონის გაზრდით სისხლში და ინსულინის დამატებითი დოზების გამოყოფას, მაგრამ კომბინირებულად ინსულინის მოქმედება და ვარჯიში იწვევს სისხლში შაქრის ვარდნას – ჰიპოგლიკემიას, რაც ვლინდება თავბრუსხვევაში, თვითშეგრძნების გაუარესებაში, კოორდინაციის დარღვევაში ან კუჭ-ნაწლავის სისტემის ფუნქციონირების დარღვევაში. მაგრამ ბოლო მონაცემებით ირკვევა, რომ შაქრის მიღება არც ისე ცუდია.

**დასკვნები:** შეჯიბრების წინ შაქრის მიღება აძლიერებს ენერგიას, მაგრამ რეკომენდირებულია უფრო ისეთი საკვები, როგორიცაა: იოგურტი, წვენი, პური, ბანანი ან ბოსტნეული. ამავე დროს სპორტსმენს ყოველთვის უნდა ახსოვდეს ინდივიდუალურად როგორ ითვისებს შაქარს, რაც დამოკიდებულია ინსულინის მიმართ მგძრნობელობაზე და კვებით უპირატესობაზე.

ვარჯიშის შემდეგ ნახშირწყლების მიღება ასევე მნიშვნელოვანია. კუნთებში გლიკოგენის მარაგი აღდგება განსაკუთრებით ჩქარა, პირველ საათებში წვრთნის შემდეგ. პირველი 30 წთ-ში სპორტსმენმა უნდა მიიღოს 100 გრ ნახშირწყლები და შემდგომ 2-4 საათის განმავლობაში გააგრძელოს იგივე რაოდენობით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინტენსიური დატვირთვების შემდეგ, თუ სპორტსმენს სურს რაც შეიძლება სწრაფად დაუბრუნდეს საწვრთნო რეჟიმს. ნახშირწყლების სახეს არა აქვს მნიშვნელობა.

უფრო მეტი იხ. www.gada.ge
**საქართველოს ანტიდოპინგური სააგენტო**

®

დასასრული. დასაწყ. იხ. „ლელო" №215-217.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ლელოს აკადემიური გამარჯვება

პირველ ტურში „ბოლნისის ყოჩებთან" ნაწვნევი მწარე მარცხის შემდეგ მოქმედი ჩემპიონი „ლელო" „აკადემიასთან" გასამართ თბილისურ დაპირისპირებას უაღრესად მოტივირებული შეხვდა. **ლევან მაისაშვილის** დამოძღვრილმა გუნდმა პირველი წუთებიდანვე აქტიურად შეუტია და მორკინალთა აგრესიული თამაშის ფონზე მეტოქის 22-მეტრიან ზონაში მალევე შეაღწია, სადაც აკადემიკოსებმა ოფსაიდის ხაზი დაარღვიეს – მოპოვებული საჯარიმო 3 ქულად ფულბეკმა **გოდერძი ჯოგლიძემ** აქცია. ნომინალური მასპინძლები დროულად გამოფხიზლდნენ, მეტოქის ნახევარზე დამკვიდრდნენ და ტერიტორიულ უპირატესობასაც დაეუფლნენ, რამდენჯერმე მშვენიერი შანსიც ჰქონდათ ანგარიშის გათანაბრების, თუმცა გადამწყვეტ მომენტში სცოდავდნენ, რისთვისაც მაღალი კლასის მეტოქემ ისინი რაღა თქმა უნდა დასაჯა – მოქმედმა ჩემპიონებმა საკუთარი ნახევრიდან წამოიწყეს სწრაფი კონტრშეტევა, ჯოგლიძემ ერთი ცრუ მოძრაობით ერთდროულად ორი მოწინააღმდეგე მოატყუა მარცხენა ფლანგზე, შემდეგ ცენტრისკენ გადმოინაცვლა, სადაც იგი **ივანე დავითაშვილმა** შებოჭა, თუმცა „ლელომ" მშვენივრად ისარგებლა იმ ფაქტით, რომ მეტოქემ ველარ მოასწრო დაცვის ხაზის დალაგება და სწრაფად ჩათამაშებული ბურთი საბოლოოდ **ლექსო გუგავამ** დაამიწა ჩათვლის მოედანში 8:0. ტაიმის მიწურულს გუნდებმა თითო შედეგიანი საჯარიმო დარტყმა გაცვალეს და მატჩის პირველი ნახევარიც 11:3 დასრულდა.

მეორე ტაიმის სტარტზე **გიორგი ლომთაძემ** ლელოთი კიდევ უფრო გაამყარა სტუმართა უპირატესობა, შეცვლაზე შემოსულმა **ირაკლი ყიასაშვილმა** კი წარმატებით შეასრულა გარდასახვა 18:3.


აკადემია-ლელო

რამდენიმე წუთში „აკადემიამ" დავითაშვილის ზუსტი საჯარიმო დარტყმით უპასუხა და სხვაობა 12 ქულამდე დაიყვანა 6:18. შეხვედრაში დაძაბულობამ პიკს მიაღწია, იმატა ემოციურმა ფონმაც, რაც საბოლოოდ გუნდურ ჩხუბში გადაიზარდა. მთავარმა მსაჯმა ორივე გუნდიდან თითო მორაგბე გაასინბინა - „აკადემიიდან" **გიორგი ჩაბრაძე**, ხოლო „ლელოდან" **ელგუჯა სურგულაძე**.

**ლევან მაისაშვილის** გუნდმა ნელ-ნელა, მეთოდურად გაზარდა უპირატესობა. მეტოქის ხუთმეტრიან ზონაში „ლელომ" აუტი მოიგო, მშვენიერი მოლიც ააგორა და **ნიკოლაიშვილი** ბურთიანად შევიდა ჩათვლის მოედანში. ყიასაშვილმა ამჯერადაც ზუსტად გარდასახა 25:6.

სტუმართა ჰავბეკმა **გიორგი კაჭარავამ** არ დააგდო საკუთარი გუნდის სათამაშო ტემპი, ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე წარმატებით გადალახა მოწინააღმდეგეთა წინაღობა და მესამედ დაალელოვა მასპინძლები. მატჩში გამარჯვებულის ბედი დიდი ხნის გადაწყვეტილი გახლდათ, თუმცა არა მუშტი-კრივში: 74 წუთზე მსაჯთან კამათის გამო 10 წუთით აკადემიელთა მარბიელი **დავით ნიბლაძე** გაასინბინეს, ამ მოვლენიდან ერთ წუთში კი სტადიონზე მისულმა გულშემატკივარმა ხელმეორედ იხილა გუნდური ჩხუბი, რომელიც ორიოდე წუთს გაგრძელდა – არბიტრმა ამჯერად 3 მოთამაშე გაასინბინა (**ქოპილაშვილი** და **მინდიაშვილი** წითელი ბარათებით, **ლომთაძე** ყვითლით) თუმცა ამით საერთო სურათი არ შეცვლილა. ყიასაშვილმა საკუთარი მონაგარი ზუსტად შესრულებული საჯარიმო დარტყმის წყალობით კიდევ 3 ქულით გაზარდა. მატჩის დასრულებამდე რამოდენიმე წუთით ადრე **ბაჩანა კოლელიშვილმა** მეოთხე ლელო გაიტანა, ხოლო ფულბეკის მიერ შესრულებული კიდევ ერთი ზუსტი გარდასახვით საბოლოო შედეგიც დააფიქსირა 42:6.

**აკადემია - ლელო 6:42**

**აკადემია:** (15-9):მაკაროვი, ჭუაძე (კალანდარიშვილი), წასიძე (მელაძე), მარგიანი (ჩაბრაძე), სიჭინავა, ი.დავითაშვილი, ქოპილაშვილი; (1-8) ლამბაშიძე (ფეიქრიშვილი), წვერავა, წაქაძე (მაზმიშვილი), ნებულიშვილი, ბერიკაშვილი (მაღლაკელიძე), ნიბლაძე, გოგოლაძე (ჩაჩუა), ლუარსაბიშვილი

**2ს:** დავითაშვილი

**სინბინი:** ჩაბრაძე, ნიბლაძე, ქოპილაშვილი

**ლელო: (15-9):** ჯოგლიძე (ყიასაშვილი), გუგავა, კოპაძე, ცერცვაძე (კორკელია), ნიჟარაძე, მჭედლიშვილი, კაჭარავა; (1-8): სანიკიძე (კვერნაძე), ლომთაძე, მელიქიძე (პატარაია), ქოიავა, ხორბალაძე, სურგულაძე (ჭყოიძე), კოლელიშვილი, ნიკოლაიშვილი.

ლ: გუგავა, ლომთაძე, ნიკოლაიშვილი, კაჭარავა, კოლელიშვილი; ს: ჯოგლიძე (2), ყიასაშვილი; გ: ყიასაშვილი (4).

**სინბინი:** სურგულაძე, მინდიაშვილი, ლომთაძე

გიორგი ბარბაქაძე

# არმაზის ზეობა გრძელდება

ავჭალის სარაგბო ბაზაზე, ეროვნული ჩემპიონატის მეორე ტურის ცენტრალურ მატჩში „ლოკომოტივმა" გათამაშების ლიდერ „არმაზს" უმასპინძლა. შეხვედრას გუნდები მშვენიერ განწყობაზე შეხვდნენ, რადგან სეზონი ორივე მათგანმა წარმატებით დაიწყო. რკინიგზელებმა მძიმე ბრძოლაში „ჯიქებს" სძლიეს, ხოლო „არმაზმა" „ბათუმის" ბარიერი იოლად გადალახა და გამარჯვებასთან ერთად ბონუს ქულაც ირგუნა.

**დავით ვართანიანის** გაწვრთნილი „არმაზის" რიგებში მოლოდინისამებრ შედგა საქართველოს ნაკრების ყოფილი კაპიტნის – ჰავბეკ **ირაკლი აბუსერიძის** დებიუტი. „აბუ" სასტარტო შემადგენლობაში გახლდათ გამწესებული და პირველივე წუთებიდანვე არაერთი თავსატეხი გაუჩინა რკინიგზელებს.

მატჩის პირველი ტაიმი „არმაზის" სრული დომინაციით წარიმართა: შესანიშნავად ურთიერთქმედებდა აბუსერიძე-**კიკნაძე-მაჩხანელის** გამოცდილი ტრიო, შერკინებაც საკმაოდ აგრესიულად გამოიყურებოდა და გუნდმა მოპოვებული უპირატესობა სამ ლელოში ასახა: მატჩის მე-6 წუთზე შუამარბად გამწესებულმა 18 წლის **რეზო ბროძელმა** მოახერხა მეტოქის ჩათვლის მოედანში ბურთიანად შეღწევა, 30-ე წუთზე კაპიტანმა **ოთარ მინაშვილმა** გაიტანა ლელო და კიდევ უფრო სოლიდური გახადა საკუთარი გუნდის უპირატესობა, ტაიმის დასრულებამდე რამოდენიმე წუთით ადრე კი მეორეხაზელმა **ნიკოლოზ გიგაურმა** იმარჯვა და მესამედ დაალელოვა „ლოკომოტივი". სამივე შემთხვევაში გარდასახვა წარმატებით შეასრულა გიორგი კიკნაძემ და დიდ შესვენებაზე საკუთარი გუნდი სოლიდური უპირატესობით გაიყვანა 21:0.

შეხვედრის მეორე ნახევარში „ლოკომოტივი" გამოფხიზლდა, გაცილებით უფრო სახიფათოდაც ათამაშდა და 42 წუთზე მეორე ხაზელმა **ლაშა თავბერიძემ** ლელოც გაიტანა, რომელიც **ბექა ნიკლაურმა** იოლად გარდასახა 7:21. თითქოს მატჩში ინტრიგა დიდი დოზით დაბრუნდა: „ლოკოს" ცდა ნამდვილად არ დაუკლია, თავდაუზოგავად იბრძოლა, საკმაოდ ბევრი შანსიც მიიღო ანგარიშში სხვაობის კიდევ უფრო შესამცირებლად, თავის მხრივ „არმაზმა" ბონუსქულის მომტანი ლელოს გასატანად ცდა არ დააკლო, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა.

**ლოკომოტივი - არმაზი 7:21**

**ლოკომოტივი: (15-9):** ნიკლაური, ბინაძე, დ.ჭურღულია (კობერიძე), კავთიძე, ქავთარაძე, ჭინჭარაული, ზაბახიძე; (1-8): გასვიანი (მარსაგიშვილი), გენებაშვილი, ბალიაშვილი (ელოშვილი), ხულუაშვილი, გეგია (ხარძიანი), თავბერიძე (თხელიძე), ახვლედიანი (ჩიტიძე), კიკვიძე

**ლ:** თავბერიძე **გ:** ნიკლაური

**არმაზი: (15-9):** ნიკოლავა, კაიფაჯიანი, მაჩხანელი, ბროძელი (ლიპარტელიანი), ხუციშვილი, კიკნაძე, აბუსერიძე (მისრიაშვილი); (1-8): ბეჟიაშვილი (ბუკია), თაგაური, მარგველიანი (ჯიბლაძე), ჭელიძე (კანდელაკი), არჩუაშვილი, გიგაური (ბარბაქაძე), მინაშვილი, სოსელია

ლ: ბროძელი, მინაშვილი, გიგაური **გ:** კიკნაძე (3)

**ბათუმი-აია 9:18**

**ბათუმი:** 3ს: ოდიშარია

**აია:** ლ: რატიაშვილი, ლოსაბერიძე; გ: ჯინჭველაშვილი; ს: ჟინჭველაშვილი, სინაურიძე

**ხარები-არმია 11:38**

**ხარები:** ლ: მელიქიშვილი; ჯ: კიკნაძე (2)

**არმია:** ლ: გაბროშვილი (2), აფციაური, ნუცუბიძე, შკინინი გ: კობახიძე (5); ა: ბაირამაშვილი

**ჯიქები-ბოლნისი ყოჩები 22:22**

**ჯიქები:** ლ: ხარაზიშვილი; გ: ხარაზიშვილი; ს: ხარაზიშვილი (5);

**ბოლნისი ყოჩები:** ლ: გოგიშვილი, ბეგაძე, ქუშაშვილი; გ: სოხაძე (2); ს: სოხაძე

**სატურნირო მდგომარეობა**

არმია – 9ქ; 2. არმაზი – 9ქ; 3. აია -9ქ; 4. ბოლნისიყოჩები – 6ქ; 5. ლელო – 5ქ; 6. ლოკომოტივი – 4ქ; 7. ჯიქები – 3; 8. ხარები - 1ქ; 9. ბათუმი – 0ქ; 10. აკადემია - 0ქ

გიორგი ბარბაქაძე


ლოკომოტივი-ჯიქები





# საკვალიფიკაციოს ვერ გასცდნენ

ბათუმში დაიწყო ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი), რომლის საკვალიფიკაციო ეტაპზე რვა ქართველი ცდიდა ძალებს. სამწუხაროდ, ვერც ერთმა მათგანმა ძირითად ბადეში ვერ გააღწია. პირველივე წრეში დამარცხდნენ: **თინათინ ყავლაშვილი** - შახლა საიდოვა (რუსეთი) 6:4, 4:6, 4:6, **ანა ქადაგიძე** - ნატალია ორლოვა (რუსეთი) 0:6, 0:6, **ბაბილინა მაჩაიძე** - იასმინ შტაინერი (გერმანია) 0:6, 3:6, **ლანა როსტიაშვილი** - კარლა ფორტე (ბრაზილია) 2:6, 4:6, **თამარ ჭალაგანიძე** - სვიატლანა პირაჟენკა (ბელარუსი) 4:6, 1:6, **მარიამ ლოლელაშვილი** - ქრისტინა შაკოვეცი (გერმანია) 5:7, 0:6, **კლეოპატრა ქარუმაშვილი** - ანია პრისლანი 0:6, 0:6.

სტარტზე ერთადერთი გამარჯვება **მარიამ ბოლქვაძემ** მოიპოვა - მანაც რუსეთის სახელით მოასპარეზე ეკატერინა ნიკლაურს მოუგო - 6:2, 6:4, მეორეში კი სომეხ ანი ამირაგიანს დანებდა - 1:6, 1:6.

ძირითად ბადეში **სოფიო შაფათავა** ითამაშებს. რაც შეეხება წყვილებს, იქ პირველ წრეში შვიდი ჩვენიანი გამოვა: **ეკატერინე გორგოძე, სოფიო შაფათავა** - ირინა ხრომაჩევა, ეკატერინა იაშინა (ორივე-რუსეთი, მე-4 ნომერი), **მარგალიტა ჩახნაშვილი, სოფიო ქვაცაბაია** - მარგარიტა ლაზარევა (რუსეთი), ლაურა პიკოში (ბრაზილია), **თამარ ჭალაგანიძე, ბაბილინა მაჩაიძე** - მისა ეგუჩი, აკიკო ომაე (ორივე-იაპონია, 3), **მარიამ ბოლქვაძე**, ამინა ანშბა (რუსეთი) - ალიონა ფომინა (უკრაინა), ქრისტინა შაკოვეცი (გერმანია).

ვაჟა დანელია

# კვარცხლბეკზე უცვლელი სახე(ლ)ები

ბოლო ორი კვირის განმავლობაში თელავმა ჩოგბურთელ ვაჟთა ორ საერთაშორისო ტურნირს (თითოეულის საპრიზო ფონდი 15.000 დოლარი) უმასპინძლა. ამ შეჯიბრებებში კვარცხლბეკზე ამსვლელთა ვინაობა არ შეცვლილა, თუმცა ერთი ცვლილება მაინც მოხდა: წინა ტურნირის ერთეულთა ფინალში მე-2 ნომრად განთესილმა ტონი ანდროიჩმა (ხორვატია) სამ სეტში აჯობა ასპარეზობის რეიტინგფავორიტ ბენჟამინ ბალერეტს (ჩერნოგორია) - 6:2, 4:6, 7:5. მეორე ტურნირის გადამწყვეტი შეხვედრაც მათ შორის უნდა გამართულიყო, მაგრამ პირველ სეტში, როცა ბალერეტი 3:0 დაწინაურდა, ხორვატმა ტრავმის გამო ორთაბრძოლის გაგრძელება ვერ შეძლო და მეორე ადგილით დაკმაყოფილდა.

აი, წყვილებში კი არაფერი შეცვლილა: პირველ ტურნირში რომაინ არნეოდო (საფრანგეთი) - ბენჟამინ ბალერეტის (ჩერნოგორია) დუეტმა ფინალში არკადიუშ კოშილას და ბლაჟეი კონიუშის (ორივე-პოლონეთი) ტანდემს 7:6, 6:0 სძლია; მათი გადამწყვეტი შეხვედრა ამჯერადაც არნეოდო-ბალერეტის გამარჯვებით დასრულდა - 7:5, 6:2. რაც შეეხებაც ქართველებს, ისინი ადრეულ ეტაპზე გამოეთიშნენ შეჯიბრებას.

ვაჟა დანელია

# ნახევარფინალში დამარცხდა

კანადურ კვებეკში ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 235.000 დოლარი) თბილისელმა **ანა ტატიშვილმა** ამერიკელ ირინა ფალკონისთან ერთად ნახევარფინალში გააღწია, სადაც ჩეხების - ანდრეა ჰლავაჩკოვას და ლუსი ჰრადესკას დუეტს პირველი სეტი 6:3 მოუგო, მაგრამ მომდევნო 4:6 დათმო. ტაიბრეიკებში ჩეხებმა იმარჯვეს 10:7 და ფინალში გავიდნენ.

ვაჟა დანელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი. ოთხი ერი




# ზელანდიამ მაქოუს გარეშეც იმარჯვა

**რიჩი მაქოუს** მძიმე ტრავმის გამო ახალი ზელანდიის ნაკრებს **კირონ რიდმა** უკაპიტნა და სწორედ იგი გამოუძღვა „ოლ ბლექსს“ „ედენ პარკზე“ სამხრეთ აფრიკის ნაკრების წინააღმდეგ სათამაშოდ.

მატჩის დაწყებიდან სამიოდე წუთი გახლდათ გასული, როდესაც მასპინძლებმა საკუთარი აუტი წარმატებით მოიგეს, მორკინლებმა მარცხენა ფლანგზე გაშალეს თამაში და მოკლე დარტყმებით წარმატებით შეაღწიეს მეტოქის ჩათვლის მოედანში - მთავარმა რეფერიმ კირონ რიდის ლელო დააფიქსირა, რომელიც **დენ კარტერმა** უპრობლემოდ გარდასახა 7:0.

მეთხუთმეტე წუთზე სტუმართა კვაჭმა ხისტად შებოჭა ზელანდიელთა მგეზავი - ვიდეორეფერიმ ეპიზოდის გარჩევისას თამაშის წესების დარღვევა ვერ შენიშნა, თუმცა მთავარი მსაჯის გადაწყვეტილებით სტუმრები 10 წუთის განმავლობაში კაცნაკლულნი დარჩნენ - გაუშვა რა სინბინში **დუ პლესი.** „ოლ ბლექსის“ შემადგენლობაში კარტერმა ველარ შეძლო თამაშის გაგრძელება და მის მაგივრად მატჩში **ბოდენ ბარეტი** ჩაერთო, რომელმაც საკუთარი შემოსვლა რამოდენიმე წუთში მშვენიერი სოლო რეიდით აღნიშნა, მისი შეჩერება ჩათვლის მოედნიდან 15 მეტრში შეძლეს სამხრეთაფრიკელებმა, თუმცა ბურთი რაქიდან დროულად აიტაცა **კონრად სმიტმა,** თავისი აქტიური ქმედებით ერთბაშად რამოდენიმე მოწინააღმდეგე მიიზიდა თავისკენ და დროულად უპასა **ბროდი რეტალიკს,** რომელმაც მეორედ დაალელოვა „სპრინბოქსი“ - ბარეტმა წარმატებით გარდასახა და კიდევ უფრო გაზარდა მასპინძელთა უპირატესობა. ამასობაში თამაშში დაბრუნდა გასინბინებული კვაჭი, რომელმაც მეტოქის 5 მეტრიან ზონაში ჯერ წარმატებით ააგდო აუტი, შემდეგ საკმაოდ იაქტიურა მოლის აგორებისას, რაც დადებულ ლელოდ დაუფასდა, რომელიც **მორნე შტეინმა** გარდასახა კუთხიდან - 10:14. ტაიმის მიწურულს ბარეტმა კიდევ ერთი საჯარიმო გაიტანა და მატჩის პირველი ნახევრის საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა - 17:10 მასპინძელთა სასარგებლოდ.

მეორე ტაიმის სტარტზე მსაჯთა ბრიგადამ კიდევ ერთი საკამათო გადაწყვეტილება მიიღო - ამჯერად შეტევაში დაუფიქსირა უხეში თამაში იან დუ პლესის, შესაბამისად აფრიკელთა ჰუკერმა მეორე ყვითელი ბარათი მიიღო, რომელიც ავტომატურად წითლად იქცა და სტუმრები მატჩის ბოლომდე კაცნაკლულნი დარჩნენ. მოპოვებული სოლიდური უპირატესობა „ოლ ბლექსმა“ მშვენივრად გამოიყენა - ჯერ კირონ რიდმა შეასრულა დუბლი - გაუტანა რა მეორე ლელო „სპრინგ ბოქსს“, ხოლო მოგვიანებით მარბიელმა **სემ კეინმა** ბურთთან ერთად წარმატებით შეაღწია მეტოქის ჩათვლის მოედანში და ბონუს ქულაც მოუტანა საკუთარ გუნდს 29:10. დარჩენილ მცირე დროში შეცვლაზე შემოსულმა **პეტ ლემბიემ** მცირე ინტრიგა დააბრუნა მატჩში, როდესაც ფულბეკ **ზენ კირხნერის** ჰაერიდან ჩამოგდებული ბურთი დაიჭირა და მეტოქის ჩათვლის მოედანზე დაამიწა 15:29 - თუმცა ეს იყო და ეს - „ოლ ბელქსმა“ მეტის უფლება აღარ მისცა მეტოქეს და 14 ქულიანი ჰანდიკაპით იმარჯვა.

### ავსტრალია - არგენტინა

ავსტრალიის ქალაქ პერთის ნახევრად ცარიელ სტადიონ SUBICO OVAL-ზე „ვოლაბებმა“ ახალი მწვრთნელ **იუენ მაკენზის** ხელში პირველი გამარჯვება იზეიმეს - დაამარცხეს რა უმძიმეს ბრძოლაში ტურნირის უპირობო აუტსაიდერი არგენტინა - 14:13.

შეხვედრაში ანგარიში თავდაპირველად „პუმებმა“ გახსნეს - **ნიკოლას სანჩესმა** სამქულიანი უპირატესობით დააწინაურა სტუმრები, თუმცა ავსტრალიელებმა შუამარბ **კრისტიან ლეილიფანოს** სამი ზუსტი საჯარიმოს და **ისრაელ ფოლაუს** გატანილი ლელოს წყალობით მატჩის პირველი ნახევარი დამაჯერებლად 14:3 მოიგეს.

შეხვედრის მეორე ნახევარში ქულებს მხოლოდ სტუმრები აგროვებდნენ - თავდაპირველად არგენტინელთა მგეზავმა მეორე საჯარიმო გაუტანა მასპინძლებს და საკუთარი გუნდის ჩამორჩენა 8 ქულამდე დაიყვანა - 6:14, ხოლო მატჩის დასრულებამდე 15 წუთით ადრე ვეტერანმა **ფილიპე კონტეპომიმ** გაჭრა მოწინააღმდეგის ხაზი და გადამწყვეტ მომენტში მშვენივრად უპასა **ხუან ლეგუისამონს,** რომელსაც აღარ გასჭირვებია ლელოს დადება. წარმატებით შესრულებული გარდასახვის შემდეგ არგენტინელთა ჩამორჩენა 1 ქულასღა შეარჩენდა 13:14, თუმცა დარჩენილ დროში „პუმების“ მიერ განხორციელებულმა იერიშებმა შედეგი არ გამოიღო და საბოლოოდ დასანანი მარცხიც იწვნიეს.

### ახ. ზელანდია - სამხ. აფრიკა 29:15

**ახალი ზელანდია:** (15-9) დაგი (პიუტაუ), ბ. სმიტი, კ. სმიტი, ნონუ, სავეა, კარტერი (ბარეტი), ა. სმიტი (1-8) ვუდკოკი (კროქეთი), კოული (მეალამუ), ფრენქსი (ფაუმუინა), რეტალიკი, ვაითლოქი, მესამი (ლუატუა), კეინი (ტოდი), რიდი,

**სამხრეთ აფრიკა:** (15-9) კირხნერი, რუქსი (ლემბი), ენგელბრეხტი, ვილიერსი (კ), ჰაბანა, შტეინი, პიენაარი (ვერმაკი). (1-8) მთავარირა (სტენკამპი), ბ.დუ პლესი, ი. დუ პლესი (ოსტუიზენი), ეტზებეთი, ვან დერ მერვე (კრუგერი), ლოუ (კოლისი), ალბერტსი (შტრაუსი), ვერმიულენი.

### ავსტრალია - არგენტინა 14:13

**ავსტრალია:** (15-9) ფოლაუ, ოკონორი, კუპერი, ლილიაფანო, კუმინსი, კუპერი (ტომუა), ვაითი; (1-8) სლიპერი (სიო), მური (ფაინგა), ალექსანდერი (კეფუ), სიმონსი, დუგლასი (ტიმანი), ფარიდი (მაკალმანი), ჰუპერი, მოვენი(კ).

**არგენტინა:** (15-9) ჰერნანდესი, აგულა (ამოროსინო), ტიესი (ს.ფერნანდესი), კონტეპომი, იმჰოფი, სანჩესი, კუბელი (ლანდახო); (1-8) აიერზა (ლობო), კრევი (გუინაჯუ), ფიგალო, კაბელო (გალარზა), კარიზა, ლობე, მეტარა, ლეგუიზამონი.

### სატურნირო მდგომარეობა

1. ახალი ზელანდია - 18 ქულა, 2. სამხრეთ აფრიკა - 14, 3. ავსტრალია - 4, 4. არგენტინა - 2.

**გიორგი ბარბაქაძე**

კრივი

# უბრალოდ საუკეთესო

## ფლოიდ მეივეზერმა გამოცდილებისა და კლასის ხარჯზე გამოიმუშავა 42 მილიონი

**წლის** მთავარ საკრივო ორთაბრძოლაში 36 წლის ამერიკელმა **ფლოიდ მეივეზერმა** (44-0-0, 26KO) ქულებით დაამარცხა თავისი თაობის ერთ-ერთი უნიჭიერესი მოკრივე - მექსიკელი **საულ ალვარესი** (42-0-1, 30KO). ბრძოლა ლას ვეგასის ლეგენდარულ MGM Grand-ში გაიმართა.

პრაქტიკულად მთელი ამერიკა ემზადებოდა ამ შეხვედრის სანახავად, ტრიბუნებზე კი სპორტისა და კინოს უდიდესი ვარსკვლავები ვიხილეთ - **მაიკლ ფელპსი, მეჯიქ ჯონსონი, უეინ გრეტცკი, ჯეკ ნიკოლსონი, დენზელ ვაშინგტონი.** ხოლო თინეიჯერების კერპმა **ჯასტინ ბიბერმა** კი რინგზე გაიყვანა მეივეზერი.

უნდა აღინიშნოს, რომ აწონაზე ალვარესი მეივეზერზე ფუნტნახევრით (152 150.5-ის წინააღმდეგ) მძიმე აღმოჩნდა და სპეციალისტები ამ ფაქტორს მექსიკელის მთავარ უპირატესობად ასახელებდნენ. და მაინც, ფავორიტად ერთხმად აღიარებდნენ მეივეზერს და თუ ალვარესი იმ დღეს კრივის ახალი ისტორიის შექმნას აპირებდა, ამისთვის მას ნამდვილი გმირობის ჩადენა მართებდა.

### ბრძოლა

მექსიკელი თავიდანვე თავქუდმოგლეჯილი არ წავიდა წინ და საწყის რაუნდებში ფრთხილ, მაგრამ აგრესიულ დაზვერვას ატარებდა. ამასთან, ერთ ადგილზე მყარად იდგა და უკან ერთი ნაბიჯითაც არ იხევდა. მეივეზერისგან კი დებიუტში საერთოდ არავინ ელოდა განსაკუთრებულ აქტიურობას: ხანგრძლივი დაზვერვა და ტემპის თანდათან მომატება - ამერიკის ჩვეულებრივი სტილია.

მხოლოდ მესამე რაუნდის შუა ნაწილიდან გაუშინაურდა მეივეზერი რინგსა და მეტოქეს. მართალია, ალვარესის მწვანე ხელთათმანებს პერიოდულად ვხედავდით ფლოიდის სახესთან ახლოს, მაგრამ ეს ამერიკელს არანაირ ზიანს არ აყენებდა. მექსიკელი მოწინააღმდეგეს, ძირითადად, მხრებსა და ბიცეპსებში ახვედრებდა და იშვიათად, ნიკაპში.

მეხუთე რაუნდში ალვარესის „ორმაგი“ მიზანს აცდა, მეივეზერის საპასუხო დარტყმა კი ზუსტად ცხვირში მოხვდა მექსიკელს. მეშვიდე რაუნდში მაყურებელმა იხილა დარტყმების მოულოდნელი გაცვლა, მაგრამ უფრო ზუსტი და აქცენტირებული შეტევები ამერიკელს ჰქონდა. ფლოიდის ტაქტიკა ასეთი იყო - ორი-სამი ზუსტი დარტყმა და უკან დახევა.

რაღაც მომენტში ალვარესი ბაგირებთან დადგა და მეტოქის ახლო ბრძოლაში შეტყუება სცადა, მაგრამ ვერც ამ დროს მიაღწია წარმატებას. ფლოიდის უპირატესობა სისწრაფესა და ტექნიკაში ბრძოლის ნებისმიერ მონაკვეთში იგრძნობოდა. ცხადი გახდა, რომ მექსიკელს დამარცხებისგან მხოლოდ ერთი შემთხვევითი ნოკაუტის მომტანი დარტყმა გადაარჩენდა და ისიც რისკზე წავიდა.

ბოლო სამწუთეულის განმავლობაში ალვარესი ჯიუტად ცდილობდა დამაგვირგვინებელი დარტყმის შესრულებას, მაგრამ მას ძალები ეცლებოდა, მეივეზერს კი გამოცდილება ეხმარებოდა თავიდან აეცილებინა ნებისმიერი სერიოზული საფრთხე. ფლოიდმა დაადასტურა თავისი ძველი სტატუსი - მსოფლიოს საუკეთესო მოკრივე ყველა წონით კატეგორიაში კვლავაც დაუმარცხებელია პროფესიულ რინგზე. ორი მსაჯის გადაწყვეტილებით, მან დაამარცხა ალვარესი - 116:112, 117:111, მესამე არბიტრმა კი მოულოდნელად ფრე დააფიქსირა - 114:114.

### ბრძოლის შემდეგ

ასე რომ, მეივეზერმა გააერთიანა პირველ საშუალო წონაში WBC-სა და WBA-ის ტიტულები, ალვარესმა კი პირველი მარცხი იწვნია პროფესიულ რინგზე. ბრძოლის შემდეგ ინტერვიუში ფლოიდმა შეაქო მოწინააღმდეგე და მადლობა გადაუხადა თავის მამასა და მწვრთნელს, რომლის შეგირდი კვლავ გახდა **გერეროსთან** წინა ბრძოლამდე. *„კანელო ახალგაზრდა და ძლიერი ჩემპიონია. ქუდს ვიხრი მისი და მთელი მექსიკის წინაშე. ის ნამდვილია ჩემპიონია, რომელსაც დიდი გული აქვს. ალვარესი ახალგაზრდაა და ისევ დაბრუნდება. უკვე 17 წელია რინგზე ვარ და კვლავაც ყველას ვჯობივარ. მინდა მადლობა გადავუხადო მამაჩემს. მან მითხრა, რომ სასტარტო რაუნდებში შებოჭილი ვიყავი და ის მართალი იყო. ყურადღებით ვუსმენდი მას რაუნდებს შორის შესვენებისას. მამაჩემმა ბრძოლისთვის ბრწყინვალე გეგმა შეადგინა, მე უბრალოდ გავედი რინგზე და ჩემი სამუშაო შევასრულე“,* - განაცხადა ჩემპიონმა.

ალვარესმა კი აღიარა თავისი დამარცხება. მან აღნიშნა, რომ მთავარი პრობლემა მეტოქის უპირატესობა იყო სისწრაფეში. *„ჯიუტი მცდელობის მიუხედავად, უბრალოდ ვერ ვეწეოდი მას. ის მოუხელთებელი იყო. არ ვიცოდით, როგორ გამოგვეჭირა რინგზე - ყველაფერი მარტივია. ფლოიდი ბრწყინვალე მოკრივეა“,* - თქვა მექსიკელმა.

ახლა მეივეზერი, რომელმაც ამ ბრძოლისთვის 41.5 მილიონი დოლარი მიიღო, ახალ მოწინააღმდეგეს აირჩევს მორიგი ბრძოლისთვის. სავარაუდო მეტოქეებს შორის ფიგურირებენ პუერტორიკოელი **დენი გარსია** და მექსიკელი **კარლოს მოლინა,** რომლებმაც იმავე საღამოს მოიპოვეს თავიანთ ბრძოლებში გამარჯვებები. ასევე სახელდებიან ბრიტანელი **ამირ ჰანი,** ამერიკელები - **დევონ ალექსანდერი** და **ტიმოტი ბრედლი,** მექსიკელი **ხუან მანუელ მარკესი.** თუმცა კრივის მოყვარულთა უმრავლესობისთვის კვლავაც ყველაზე სასურველი ვარიანტია რინგზე ფლოიდ მეივეზერისა და ფილიპინელი **მენი პაკიაოს** დაპირისპირების ხილვა.

**გია თვალაბეიშვილი**



ბრძოლის მომენტი

ველოსპორტი

# ამერიკული ისტორია ესპანეთში

**ესპანეთში** დასრულდა რანგით მესამე ველომარათონი - „ვუელტა“. მისი საბოლოო შედეგი მოულოდნელი აღმოჩნდა.

ბოლოსწინა მე-20 ეტაპი გადამწყვეტი უნდა ყოფილიყო - ველომრბოლებს ფინიშზე ელოდათ ლეგენდარულ მთა ანგლირზე ასვლა. ეტაპის მოგება შეძლო ფრანგმა **კენი ელისონდმა,** რომელიც დისტანციის შუა ნაწილში დაშორდა ძირითად ჯგუფს და ფინიშზე მარტო მივიდა. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი იყო გენერალური კლასიფიკაციის ლიდერთა ბრძოლა. ეტაპის წინ ამერიკელი **კრის ჰორნერი** „რედიოშეკიდან“ 19 წამს უგებდა იტალიელ **ვინჩენცო ნიბალის** („ასტანა“). სწორედ მათი ბრძოლა იყო ყველაზე საინტერესო. ფინიშამდე შვიდი კილომეტრით ადრე სწორედ ნიბალიმ შეუტია, მაგრამ ბევრი ვერაფერი დააკლო ამერიკელს, ხოლო, როცა გასავლელი რჩებოდა კილომეტრნახევარი, აჩქარება სწორედ ჰორნერმა დაიწყო და ნიბალის ძალა არ ეყო პასუხის გასაცემად.




კრის ჰორნერი

გუშინდელი ბოლო ეტაპი მადრიდში სპრინტერული იყო და მას არაფერი შეუცვლია გენერალურ კლასიფიკაციაში. ასე რომ, ჰორნერი გახდა გრანდ-ტურების (ტურ დე ფრანსი, ჯირო.დ'იტალია, ვუელტა) ისტორიაში ყველაზე ასაკოვანი გამარჯვებული - 41 წლის და 326 დღის.

### საერთო ჩათვლა

1. **კრის ჰორნერი** (აშშ, „რედიოშეკი“) - 81:52.01; 2. **ვინჩენცო ნიბალი** (იტალია, „ასტანა“) - +0.37; 3. **ალეხანდრო ვალვერდე** (ესპანეთი, „მოვისტარი“) - +1.38; 4. **ხოაკიმ როდრიგესი** (ესპანეთი, „კატიუშა“) - +3.22; 5. **ნიკოლას როჩი** (ირლანდია, „საქსო-ტინკოფი“) - +7.11...

**გია თვალაბეიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. დევისის თასი

# ევროპამ ამერიკას აჯობა


სერბეთს გადამწყვეტი ქულა ტიპსარევიჩმა მოუტანა

ხუთთვიანი პაუზის შემდეგ განახლდა დევისის თასის გათამაშება - გასულ უქმეებზე გამოვლინდნენ მსოფლიოს არაოფიციალური გუნდური პირველობის ფინალისტები.

ორივე წყვილში გამოკვეთილი იყო ფავორიტი. მოქმედი ჩემპიონი ჩეხეთის ნაკრები პრაღაში ილებდა არგენტინას, რომელსაც აკლდა თავისი ორი ლიდერი - **ხუან მარტინ დელ პოტრო** და **დავიდ ნალბანდიანი**. ამიტომაც, ჩეხებს ფინალში ზედიზედ მეორედ გასვლის კარგი შანსი ჰქონდათ. ერთადერთი სახიფათო მომენტი შეიძლებოდა ყოფილიყო **რადეკ შტეპანეკის** ასაკი - 34 წლის ჩოგბურთელს, შეიძლება ვერ გაეძლო ხუთსეტიანი ორთაბრძოლებისთვის. მაგრამ ვეტერანმა ნახევარფინალის პირველივე მატჩში ძალიან კარგად გადაანაწილა ძალები და სამ სეტში მოუგო **ხუან მონაკოს**.

მეორე მატჩში **ლეონარდო მაიერს** სასწაული უნდა მოეხდინა იმისთვის, რომ მსოფლიოს მეხუთე ნომერი **ტომაშ ბერდიხი** დაემარცხებინა. სტუმარმა შეძლო მეორე სეტის მოგება, მაგრამ ბერდიხს ჰქონდა მცირე უპირატესობა მესამე და მეოთხე სეტებში და პირველი დღის შემდეგ ანგარიში 2:0 გახდა.

ჩეხებს მატჩისთვის წერტილი შაბათს, წყვილთა მატჩში უნდა დაესვათ, რომელშიც თავიდან **როსოლი** და **ვესელი** ჰყავდათ განაცხადში შეყვანილი, მაგრამ კორტზე ბერდიხი და შტეპანეკი შეუშვეს. ეს სავსებით მოსალოდნელი ცვლილება იყო, რადგან ეს წყვილი ხშირად თამაშობს დევისის თასზე, თან წარმატებულად - 13 მატჩში მხოლოდ ერთხელ დამარცხდა.

მასპინძლების უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ მეორე სეტის ერთ მომენტში მათ 21 ქულა ზედიზედ აიღეს. მათ მეტოქეებს - **ბერლოკსა და სებალიოსს** სტაბილურობაც აკლდათ, შეთამაშებაც და მატჩის შედეგით სავსებით ლოგიკური იყო - 6:3, 6:4, 6:2.

ჩეხეთმა დევისის თასზე ზედიზედ მერვე მატჩი მოიგეს და ფინალში ისევ ითამაშებენ.

■ ■ ■

ასევე ფავორიტად ითვლებოდა მასპინძელი სერბეთისა და კანადის მატჩში, რომელიც ბელგრადში გაიმართა. სერბებს ბოლო პერიოდში პრობლემები შეექმნათ - **ვიქტორ ტროიცკი** დისკვალიფიცირებულია, **იანკო ტიპსარევიჩი** რეიტინგის TOP20-დან გავარდა, კანადელები კი პირიქით, პროგრესს განიცდიდნენ - მონრეალში გამართულ მასტერსში ნახევარფინალში გავიდნენ **მილოშ რაონიჩი** და **ვაშეკ პოსპიშილი**.

გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ **ნოვაკ ჯოკოვიჩს** აშშ-ის ღიას ფინალის შემდეგ სამი დღე ჰქონდა ადაპტაციისთვის. მიუხედავად ამისა, პოსპიშილთან მატჩში მსოფლიოს პირველი ნომერი მხნედ გამოიყურებოდა. კანადელმა მხოლოდ რამდენიმე წუთი იბრძოლა თანაბრად, შემდეგ კი ნოვაკმა ზედიზედ 13 გეიმი მოიგო და ბოლომდე შეინარჩუნა თამაშზე კონტროლი - 6:2, 6:0, 6:4.

პირველი დღის მეორე მატჩი კი ნამდვილი თრილერი აღმოჩნდა. ტიპსარევიჩისა და რაონიჩის შეხვედრა ხუთი სეტი გაგრძელდა, სერბი სეტებში 2:1-ს იგებდა, მეხუთე პარტიაში მატჩბოლიც ჰქონდა, მაგრამ მაინც წააგო ბოლო სეტი - 8:10. რაონიჩმა კარგად აამოქმედა თავისი მთავარი იარაღი - მოწოდება. ტიპსარევიჩს პირველ ოთხ პარტიაში 17 ეისი ჰქონდა, კანადელმა კი ამდენი ეისი მარტო მეხუთე სეტში დააგროვა, ბოლო გეიმში კი ოთხჯერ ჩააწოდა ისე, რომ მეტოქე ბურთს არ შეხებია - 5:7, 6:3, 3:6, 6:3, 10:8.

ანალოგიური სცენარისა იყო მეორე დღეს წყვილების მატჩიც. ერთ მხარეს იყვნენ **ილია ბოჟოლიაკი** და **ნენად ჟიმონჟიჩი**, მეორე მხარეს - **დანიელ ნესტორი** და ვაშეკ პოსპიშილი. ამ ოთხი ჩოგბურთელიდან ორი (ნესტორი და ჟიმონჟიჩი) წყვილებში თამაშის სპეციალისტია, ამასთან, ნესტორს კარგად გამოსდის გრუნტზე თამაში, რაზეც მეტყველებს სამჯერ როლან გაროსის მოგება, თან ერთხელ (2010) საფრანგეთის ღიაზე სწორედ ჟიმონჟიჩთან ერთად იმარჯვა. ამ დუეტმა სამნახევარი წელი იარსება და მის ანგარიშზე 21 ტიტული იყო, მათ შორის, ორი უიმბლდონი.

აქაც სერბები წინ იყვნენ სეტებში 2:1, მაგრამ კანადამ გაათანაბრა ანგარიში. მეხუთე სეტში ორივე გუნდს ჰქონდა საბოლოო მოგების შანსი. მასპინძლები პირველები აწვდიდნენ, მაგრამ მიღებაზე ერთხელაც ვერ მივიდნენ მატჩბოლამდე, კანადამ კი 8:8-ზე გადამწყვეტი ბრეიკი შეასრულა და შემდეგ მატჩზე ჩააწოდა.

გუშინ სერბეთს შეცდომის უფლება არ ჰქონდა. ნოვაკ ჯოკოვიჩმა და იანკო ტიპსარევიჩმა მაქსიმალური მობილიზაცია გამოავლინეს და სამ სეტში მოიგეს თავიანთი შეხვედრები. ჯოკოვიჩს მხოლოდ პირველ სეტში დასჭირდა ბოლომდე დახარჯვა რაონიჩის წინააღმდეგ და ტაი-ბრეიკზე იმარჯვა, მეორე და მესამე სეტში კი მხოლოდ ოთხი გეიმი დაუთმო მეტოქეს, ტიპსარევიჩს კი პირველ და მესამე სეტებში მოუწია მე-13 გეიმის თამაში პოსპიშილის წინააღმდეგ, თუმცა ბოლო სეტში ეს შეიძლება არც მომხდარიყო, ბოლოსკენ კანადელს ბრეიკი რომ არ გაეკეთებინა. ასეა თუ ისე, ფინალში ფავორიტები გავიდნენ - ჩეხეთი და სერბეთი 15-17 ნოემბერს გამოავლენენ გამარჯვებულს.

| ჩეხეთი-არგენტინა | 3:2 |
|---|---|
| 1:0 რადეკ შტეპანეკი-ხუან მონაკო | 7:6(3), 6:3, 6:2 |
| 2:0 ტომაშ ბერდიხი-ლეონარდო მაიერი | 6:4, 4:6, 6:3, 6:4 |
| 3:0 ბერდიხი/შტეპანეკი-ბერლოკი/სებალიოსი | 6:3, 6:4, 6:2 |
| 3:1 ლუკაშ როსოლი-ორასიო საბელიოსი | 6:4, 6:7(6), 4:6 |
| 3:2 ირჟი ვესელი-ლეონარდო მაიერი | 4:6, 4:6 |

| სერბეთი-კანადა | 3:2 |
|---|---|
| 1:0 ნოვაკ ჯოკოვიჩი-ვაშეკ პოსპიშილი | 6:2, 6:0, 6:4 |
| 1:1 იანკო ტიპსარევიჩი-მილოშ რაონიჩი | 7:5, 3:6, 6:3, 3:6, 8:10 |
| 1:2 ბოჟოლიაკი/ჟიმონჟიჩი-ნესტორი/პოსპიშილი | 7:6(6), 4:6, 6:3, 6:7(7), 8:10 |
| 2:2 ნოვაკ ჯოკოვიჩი-მილოშ რაონიჩი | 7:6(1), 6:2, 6:2 |
| 3:2 იანკო ტიპსარევიჩი-ვაშეკ პოსპიშილი | 7:6(3), 6:2, 7:6(6) |

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ჩილე** | |
| აუდაქსი-ანტოფაგასტა | 3:4 |
| პალესტინო-ლა კალერა | 1:1 |
| რეინჯერსი-კოლო კოლო | 0:3 |
| ს. უონდერერსი-დეპ. იკიკე | 0:2 |
| უნ. ესპანიოლა-კობრელოა | 0:1 |
| ო'ჰიგინსი-ატ. ნუბლენსე | 1:0 |
| ევერტონი-უნ. დე ჩილე | 2:1 |
| კობრესალი-უნ. კონსეპსიონი | 1:0 |
| უაჩიპატო-უნ. კატოლიკა | 0:4 |
| **კოლუმბია** | |
| ლა ეკვიდადი-ა. პეტროლერა | 4:0 |
| დეპ. კინდიო-ო. კალდასი | 2:1 |
| ატ. ხუნიორი-კუკუტა | 1:1 |
| ატ. ნასიონალი-ინტეპენდიენტე | 2:0 |
| პატრიოტასი-ჩიკო | 1:0 |
| იტაგუი-ენვიგადო | 0:1 |
| **გერმანია** | |
| ნიურნბერგი-ჰამბურგი | 2:1 |
| აისბარენი-იზერლონი | 7:5 |
| აუგსბურგი-სტრაუბინგი | 5:3 |
| ვოლფსბურგი-ინგოლშტადტი | 3:4 |
| დიუსელდორფი-მიუნხენი | 0:6 |
| შვენინგერი-კრეფელდი | 1:4 |
| კიოლნი-მანჰაიმი | 4:3 (ბ) |
| **ნორვეგია** | |
| ლილეჰამერი-რუსენბორგი | 6:2 |
| სტორჰამარი-სპარტა | 3:1 |
| ფრისკ ასკერი-სტავანგერი | 3:7 |
| **სლოვაკეთი** | |
| ზვოლენი-ნიტრა | 2:0 |
| პოპრადი-კოშიცე | 1:3 |
| სკალიცა-მარტინი | 1:2 |
| ტრენჩინი-ჟილინა | 2:5 |
| პიეშტანი-ბისტრიცა | 3:2 (ო) |
| **ფინეთი** | |
| იოკერიტი-ჰიფკ | 3:0 |
| **ჩეხეთი** | |
| ვიტკოვიცე-კარლოვი ვარი | 4:2 |
| ჟლინი-კლადნო | 3:4 (ბ) |
| ლიბერეცი-პლზენი | 1:3 |
| ბრნო-სლავია | 0:1 |
| კრალოვე-ტრშინეცი | 3:2 |
| ხომუტოვი-სპარტა | 3:1 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **ევრობასკეტი** | |
| ლატვია-ბელგია | 56:60 |
| უკრაინა-ლიტვა | 63:70 |
| სერბეთი-საფრანგეთი | 77:65 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| იუგრა-ავტომობილისტი | 1:2 |
| აკ ბარსი-ავანგარდი | 6:0 |
| **ავსტრია** | |
| ალბა-ვენა | 3:0 |
| დორნბირნი-ლინცი | 3:5 |
| ზალცბურგი-ინსბრუკი | 2:1 |
| ზნოიმო-გრაცი | 2:3 (ბ) |
| კლაგენფიურტი-ვილახი | 4:5 (ო) |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **WTA. კვებეკი** | |
| მაკჰეილი-ერაკოვიჩი | 4:6, 3:6 |
| საფაროვა-ბუშარი | 3:6, 6:3, 6:2 |
| საფაროვა-ერაკოვიჩი | 6:4, 6:3 |
| **WTA. ტაშკენტი** | |
| იოვანოვსკი-გოვორცოვა | 4:6, 7:5, 7:6 |

რალი

# მოგება ტიტულის გარეშე


სებასტიან ოჟიე და მისი გუნდი

კლასიკურ რალიში მსოფლიოს ჩემპიონატის მორიგი ეტაპი ავსტრალიის რალი გენერალური კლასიფიკაციის ლიდერმა **სებასტია ოჟიემ** მოიგო, თუმცა „ფოლკსვაგენის“ ფრანგმა პილოტმა ჯერ ვერ გაიფორმა ვადაზე ადრე ტიტული - ამისთვის მას ერთი ქულა დააკლდა.

ოჟიემ სამდღიანი ეტაპის პირველივე დღეს ხელთ იგდო ლიდერობა და საქმე სეზონში რიგით მეექვსე გამარჯვებამდე მიიყვანა. მეორე ადგილზე გავიდა ბელგიელი **ტიერი ნოივილი** და სწორედ ამ ფაქტორმა შეუშალა ხელი ოჟიეს, უკვე ავსტრალიის ეტაპზე გაეფორმებინა კარიერაში პირველი ჩემპიონობა. ახლა ფრანგსა და ბელგიელს შორის სხვაობა 83 ქულაა, ჩემპიონატის დასრულებამდე დარჩენილ რბოლებში კი მაქსიმუმ 84 ქულის დაგროვებაა შესაძლებელი.

არადა, ნოივილი ვერ დაიკავებდა მეორე ადგილს, ბოლო სპეცმონაკვეთზე საბურავი რომ არ დაზიანებოდა **მიკო ჰირვონენს**. „სიტროენის“ ფინელ პილოტს საბურავის გამოსაცვლელად სწორედ ის დრო დაჭირდა, რომლითაც, საბოლოოდ, ჩამორჩა კიდეც ბელგიელს.

მსოფლიოს ჩემპიონატის მე-11 ეტაპი ოქტომბრის პირველ რიცხვებში საფრანგეთში გაიმართება და, ალბათ, ოჟიესთვის ორმაგად სასიამოვნო იქნება ჩემპიონობის სამშობლოში მოპოვება. მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ერთი მომენტი: საფრანგეთის რალიში მონაწილეობას აპირებს ლეგენდარული ფრანგი, მსოფლიოს ცხრაგზის ჩემპიონი და ჯერაც მოქმედი ჩემპიონი **სებასტიან ლოები**, რომელმაც წელს უკვე ორი რბოლა მოიგო. რა თქმა უნდა, თავის სეხნიას ის თითქმის გარანტირებულ ტიტულს ვერ წაართმევს, მაგრამ შეიძლება გაუფუჭოს დაგეგმილი ზეიმი, რადგან ჩემპიონობის გაფორმება ეტაპის გამარჯვებულის რანგში უფრო სასიამოვნოა. ასეა თუ ისე, საფრანგეთის რალი დიდ ინტერესს იწვევს თანამემამულეების მოსალოდნელი დუელის გამო.

**ავსტრალიის რალი**

1. **სებასტიან ოჟიე** (საფრანგეთი, Volkswagen) - 3:19.55,0; 2. **ტიერი ნოივილი** (ბელგია, Ford) - +1.32,1; 3. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, Citroen) - +2.02,1; 4. **იარი-მატი ლატვალა** (ფინეთი, Volkswagen) - +2.57,4; 5. **მადს ოსტბერგი** (ნორვეგია, Ford) - +3.17,2; 6. **ანდრეას მიკელსენი** (დანია, Volkswagen) - +3.37,6; 7. **ევგენი ნოვიკოვი** (რუსეთი, Ford) - +7.31,2; 8. **ნათან ქუინი** (ავსტრალია, Mini) - +13.10,2...

**საერთო ჩათვლა**

1. **სებასტიან ოჟიე** (საფრანგეთი, Volkswagen) - 212 ქულა; 2. **ტიერი ნოივილი** (ბელგია, Ford) - 129; 3. **იარი-მატი ლატვალა** (ფინეთი, Volkswagen) - 110; 4. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, Citroen) - 103; 5. **დანიელ სორდო** (ესპანეთი, Citroen) - 96; 6. **მადს ოსტბერგი** (ნორვეგია, Ford) - 77; 7. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, Citroen) - 68; 8 **მარტინ პროკოპი** (ჩეხეთი, Ford) - 49...

მოტოგრანპრი

# ლორენსოს მშვიდი გამარჯვება

გასულ უქმეებზე ავტომოტოსპორტში მთავარი მოვლენა მოტოგრანპრიში მსოფლიოს მორიგი ეტაპი იყო. როგორც ჩანს, პირველობის დარჩენილი ნაწილი მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონის, „იამაჰას“ პილოტის **ხორხე ლორენსოსა** და გენერალური კლასიფიკაციის ლიდერის, „ჰონდას“ ნევრ **მარკ მარკესის** დუელში ჩაივლის, თუმცა არც მარკესის თანაგუნდელი **დანი პედროსა** დათმობს იოლად რამეს. ლორენსო და პედროსა საერთო ჩათვლაში წინ გაჭრილი მარკესის დაწევას ცდილობენ, მაგრამ ამ უკანასკნელმა ერთი ეტაპიც რომ ველარ მოიგოს და უბრალოდ პოდიუმიდან არ ჩამოვიდეს, მას ტიტულს ვერავინ შეეცილება.

მორიგი ეტაპი - სან მარინოს გრანპრი იტალიის მიზანოში გაიმართა. შაბათს პოული მარკესმა მოიგო, სასტარტო ბილიკის პირველ ხაზზე ასევე იდგნენ ლორენსო და იტალიელი **ვალენტინო როსი**.

სტარტზე მარკესი ოდნავ შეყოვნდა და წინ გაუშვა ლორენსო და პედროსა. პირველი წრე პილოტებმა ასეთი თანმიმდევრობით დაასრულეს: ლორენსო, პედროსა, მარკესი, როსი, **ესპარგარო, კრატჩლოუ...**

მეორე წრეზე კრატჩლოუმ გაუსწრო ესპარგაროს და მეხუთე ადგილზე გადავიდა. ამის შემდეგ, ესპარგაროს რადიოთი შეატყობინეს, რომ მას ფალსტარტი ჰქონდა და ბოქსებში შესვლით დასაჯეს. რაც შეეხება ლიდერთა ბრძოლას, ლორენსო თანდათან ზრდიდა უპირატესობას პედროსა-მარკესი-როსის ტრიოზე.

მეხუთე წრეზე მარკესმა სცადა პედროსას გასწრება, მაგრამ ამის ნაცვლად, შეცდომა დაუშვა და როსი წინ გაუშვა. მე-13 წრეზე ჩემპიონატის ლიდერმა შეცდომა გამოასწორა და წაართვა ვალენტინოს მესამე ადგილი. კიდევ რამდენიმე წრის შემდეგ, მარკესმა პედროსას შეუტია. დანი ფინიშამდე 11 წრით ადრე დანებდა, რის შემდეგაც, მარკის წინ მხოლოდ ლორენსო რჩებოდა - მათ შორის სხვაობა სამი წამი იყო.

და მაინც, გამარჯვებისთვის ბრძოლა მარკესმა ვერ შეძლო, უფრო მეტიც, ფინიშამდე შვიდი წრით ადრე, „ჰონდას“ პილოტებმა თითოჯერ გაცვალეს პოზიციები, რითაც ძალიან აანერვიულეს მთელი გუნდი. ამით ტრასაზე გადაადგილებები დასრულდა და მაყურებელმა ისეთივე პოდიუმი იხილა, როგორიც ორი კვირის წინ, სილვერსტოუნში იყო: ლორენსო-მარკესი-პედროსა.

**სან მარინოს გრანპრი**

1. **ხორხე ლორენსო** (ესპ, Yamaha) - 28 წრე; 2. **მარკ მარკესი** (ესპ, Honda) - +3,379; 3. **დანი პედროსა** (ესპ, Honda) - +7,368; 4. **ვალენტინო როსი** (იტა, Yamaha) - +15,062; 5. **შტეფან ბრადლი** (გერ, Honda) - +22,355; 6. **კელ კრატჩლოუ** (ბრიტ, Yamaha) - +22,599; 7. **ალვარო ბაუტისტა** (ესპ, Honda) - +31,059; 8. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, Ducati) - +42,702...

**საერთო ჩათვლა**

1. **მარკ მარკესი** (ესპ, Honda) - 253 ქულა; 2. **დანი პედროსა** (ესპ, Honda) - 219; 2. **ხორხე ლორენსო** (ესპ, Yamaha) - 219; 4. **ვალენტინო როსი** (იტა, Yamaha) - 169; 5. **კელ კრატჩლოუ** (ბრიტ, Yamaha) - 146; 6. **შტეფან ბრადლი** (გერ, Honda) - 124; 7. **ალვარო ბაუტისტა** (ესპ, Honda) - 112; 8. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, Ducati) - 104...


მარკ მარკესი

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

europe-bet.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორი დარჩა გასარკვევი

**სამი შეხვედრა და დასრულდება ევრობასკეტის მეორე ჯგუფური ეტაპი. გასარკვევია ორი დარჩენილი მეოთხედფინალისტის საკითხი, დღეისთვის კი ექვს გუნდს აქვს მოპოვებული პლეი ოფში თამაშის უფლება: სერბეთი, საფრანგეთი, ლიტვა, უკრაინა, ხორვატია და სლოვენია.**

15 სექტემბერი

## E ჯგუფი

### ლატვია 56
15:14, 17:18, 10:14, 14:14
### ბელგია 60

**ლ:** ფრეიმანისი (10+11 მოხსნა).
**ბ:** მასო (14+3 დაფარება), მუკუბუ (13), ერველი (10+7 მოხსნა).
**ორქულიანები:** 15/39 (38,5%) - 18/41 (43,9%)
**სამქულიანები:** 5/29 (17,2%) - 5/13 (38,5%)
**საჯარიმოები:** 11/17 (64,7%) - 9/15 (60,0%)
**მოხსნები:** 44-38. **პასები:** 10-16. **შეცდომები:** 15-18.

**გადამწყვეტი მომენტი:** ბელგიის ნაკრებმა მეორე ჯგუფურ ეტაპზე პირველ გამარჯვებას მიაღწია და ამით საქმე გაუფუჭა ლატვიას. ამ მატჩის შედეგი იმას ნიშნავდა, რომ შემდეგ ეტაპზე უკრაინის ნაკრები გავიდა. მატჩის გადამწყვეტი მომენტი 46:46-ზე დაფიქსირდა, როცა ბელგიამ 9:0 გაქცევა შეძლო.

**მატჩის გმირი:** ამ მოგების მთავარი შემოქმედი იყო ბელგიელი **საშა მასო,** ვინც ბრწყინვალედ ითამაშა დაცვაში და სოლიდური სტატისტიკაც ჰქონდა: 14 ქულა, 4 მოხსნა და 3 დაფარება.

**სტატისტიკა არ ტყუის:** ლატვიამ საკუთარ თავს უნდა დააბრალოს მარცხი, რადგან თამაშიდან მხოლოდ 29.4 პროცენტის სიზუსტით ისროლა, გარდა ამისა, ბელგიას შეტევაში 17 მოხსნა აალებინა.

### უკრაინა 63
13:18, 17:14, 16:16, 17:22
### ლიტვა 70

**უ:** ჯეტერი (10+8 პასი), გლადირი (18+5 მოხსნა).
**ლ:** კლეიზა (15+5 მოხსნა), მოტეიუნასი (10).
**ორქულიანები:** 14/34 (41,2%) - 15/44 (34,1%)
**სამქულიანები:** 9/28 (32,1%) - 9/22 (40,9%)
**საჯარიმოები:** 8/11 (72,7%) - 13/20 (65%)
**მოხსნები:** 38-44. **პასები:** 18-15. **შეცდომები:** 11-9.

**გადამწყვეტი მომენტი:** უკრაინამ შეძლო მეოთხე მეოთხედის სტარტზე ჩამორჩენის გაბათილება და სირენამდე წუთით ადრე ერთ ქულას აგებდა - 63:64. მატჩის ბედი **ლინას კლეიზას** სამქულიანმა გადაწყვიტა. ამის შემდეგ, **მაქსიმ კორნიენკომ** და **სერგეი გლადირმა** შორეული ტყორცნები ააცილეს, ბოლოს კი **მაიკ ფრატელოს** შეგირდებმა ხუთი წამის შეცდომაც დაუშვეს და თამაშის ბედი გადაწყვეტილი იყო.

**მატჩის გმირი:** კლეიზა ლიტვის ნაკრების ლიდერი იყო 15 ქულით, 5 მოხსნითა და 2 ჩაჭრით.

**სტატისტიკა არ ტყუის:** ლიტვამ შეტევაში 17 მოხსნა აილო, თან საკმაოდ სუფთად ითამაშა და მხოლოდ 9 შეცდომა დაუშვა.

### სერბეთი 77
19:17, 19:14, 22:20, 17:14
### საფრანგეთი 65

**სერ:** ნენად კრსტიჩი (19+4 პასი), ნედოვიჩი (17), ბოგდანოვიჩი (14+5 მოხსნა).
**საფ:** დიაო (12+5 მოხსნა), აჟინკა (12+2 დაფარება), დე კოლო (12), ბატუმი (12+7 მოხსნა+2 დაფარება), პარკერი (10+5 პასი).
**ორქულიანები:** 23/43 (53,5%) - 22/48 (45,8%)
**სამქულიანები:** 7/17 (41,2%) - 2/14 (14,3%)
**საჯარიმოები:** 10/21 (47,6%) - 15/23 (65,2%)
**მოხსნები:** 41-34. **პასები:** 11-12. **შეცდომები:** 14-10.

**გადამწყვეტი მომენტი:** საფრანგეთის ნაკრებმა მესამე მეოთხედის ბოლოს ზედიზედ შვიდი ქულა აილო და 12-ქულიანი ჩამორჩენა ხუთ ქულამდე დაიყვანა, მაგრამ **ნემანია ნედოვიჩმა** ზედიზედ ორი სამქულიანი ჩააგდო და ბოლო მეოთხედის წინ, თავის გუნდს კომფორტული 9-ქულიანი უპირატესობა მოუტანა.

**მატჩის გმირი:** **ნენად კრსტიჩი** კვლავ საუკეთესო იყო სერბების რიგებში. მან ამჯერად 19 ქულა, ოთხი მოხსნა და ამდენივე შედეგიანი პასი მიითვალა.

**სტატისტიკა არ ტყუის:** სერბეთის ნაკრებმა ბრწყინვალე პროცენტით ისროლა ორქულიანები და შორეული ტყორცნები და ამით გადაფარა საჯარიმოების გამოყენების საშინელი პროცენტი (47.6).


სლოვენია-საბერძნეთი

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიტვა | 5 | 4 | 1 | 355-314 | 9 |
| 2. სერბეთი | 5 | 4 | 1 | 371-343 | 9 |
| 3. საფრანგეთი | 5 | 3 | 2 | 388-380 | 8 |
| 4. უკრაინა | 5 | 2 | 3 | 325-364 | 7 |
| 5. ლატვია | 5 | 1 | 4 | 362-360 | 6 |
| 6. ბელგია | 5 | 1 | 4 | 318-358 | 6 |

## F ჯგუფი

### ესპანეთი 82
18:15, 24:15, 15:11, 25:12
### ფინეთი 56

**ე:** კალდერონი (23+5 პასი), კლავერი (12+7 მოხსნა).
**ფ:** კოპონენი (17+5 მოხსნა+4 პასი+3 ჩაჭრა), ლი (12+6 მოხსნა).
**ორქულიანები:** 20/37 (54,1%) - 14/35 (40,0%)
**სამქულიანები:** 10/21 (47,6%) - 6/27 (22,2%)
**საჯარიმოები:** 12/18 (66,7%) - 10/10 (100%)
**მოხსნები:** 43-28. **პასები:** 20-10. **შეცდომები:** 15-13.

**გადამწყვეტი მომენტი:** ესპანეთის ნაკრებმა მესამე მეოთხედის ბოლოს მოიპოვა ინიციატივა, მესამე მეოთხედი კი 8:0 გაქცევით დაიწყო და 20-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა - 50:30.

**მატჩის გმირი:** **ხოსე კალდერონმა** საუკეთესო მატჩი ჩაატარა ამ ევრობასკეტზე. მან თამაშიდან 10-ჯერ ისროლა და რვა ბურთი მოათავსა კალათში, მათ შორის შვიდიდან ხუთი სამქულიანი ჩააგდო. სულ მის ანგარიშზე 23 ქულა და 5 პასი მოდის.

**სტატისტიკა არ ტყუის:** ორივე გუნდმა პირველ 30 წუთში 12-12 შეცდომა დაუშვა, თუმცა ამის ხარჯზე ესპანეთმა 18 ქულა აიღო, ფინეთმა - მხოლოდ ექვსი. პირენეელები ასევე დომინირებდნენ ფარქვეშ და მეორე ტემპით შეტევებისას 20 ქულა აიღეს, სკანდინავების ანალოგიური მონაგარი კი ოთხი ქულა იყო.

### საბერძნეთი 65
13:26, 14:17, 19:19, 19:11
### სლოვენია 73

**საბ:** სპანულისი (21+8 მოხსნა), ცისისი (13).
**სლოვ:** გ. დრაგიჩი (28+5 მოხსნა+4 პასი), ზ. დრაგიჩი (11+5 მოხსნა), ლაკოვიჩი (10).
**ორქულიანები:** 11/35 (31,4%) - 14/43 (32,6%)
**სამქულიანები:** 4/18 (22,2%) - 8/22 (36,4%)
**საჯარიმოები:** 31/38 (81,6%) - 21/29 (72,4%)
**მოხსნები:** 39-47. **პასები:** 6-11. **შეცდომები:** 11-11.

**გადამწყვეტი მომენტი:** საბერძნეთის ნაკრებმა სასწაული მოახდინა, როცა 24-ქულიანი დეფიციტი ექვს ქულამდე დაიყვანა - 62:68. სწორედ ამ დროს **მირზა ბეგიჩმა** ჩაჭრა **ვასილის სპანულისის** პასი და **გორან დრაგიჩს** ორქულიანი ჩააგდებინა. საფინალო სირენამდე 41 წამით ადრე სლოვენია რვა ქულით გავიდა წინ - 70:62.

**მატჩის გმირი:** თამაშის სტარტიდან 6 წუთისა და 49 წამის შემდეგ, სლოვენიას 11 ქულა ჰქონდა მოპოვებული და ყველა გორან დრაგიჩის ანგარიშზე იყო. მატჩის პირველი 25 წუთი სლოვენია დომინირებდა მოედანზე და ამაში წვლილი სწორედ „ფინიქსის" გამთამაშებელს მიუძღვის. საერთო ჯამში, მის ანგარიშზეა 28 ქულა, 5 მოხსნა და 4 პასი.

**სტატისტიკა არ ტყუის:** ამ მატჩამდე, საბერძნეთი მეორე ადგილზე იყო ევრობასკეტზე შედეგიანობის მაჩვენებლით - საშუალოდ შეხვედრაში 78.5 ქულა და ორქულიანების რეალიზაციის 57.3 პროცენტი. მაგრამ სლოვენიასთან მატჩის პირველ მეოთხედში თამაშიდან 11-დან მხოლოდ ორი ბურთი ჩააგდო, კატასტროფულ პირველ ტაიმში კი ტყორცნების 28 პროცენტი მოათავსა კალათში.

### ხორვატია 76
8:17, 23:19, 26:9, 19:23
### იტალია 68

**ხ:** ბოგდანოვიჩი (18), უკიჩი (13), სიმონი (14+5 მოხსნა), დრეიპერი (12).
**ი:** დატომე (24+7 მოხსნა), არადორი (12).
**ორქულიანები:** 17/40 (42,5%) - 19/41 (46,3%)
**სამქულიანები:** 9/24 (37,5%) - 5/18 (27,8%)
**საჯარიმოები:** 15/20 (75%) - 15/21 (71,4%)
**მოხსნები:** 42-34. **პასები:** 10-9. **შეცდომები:** 12-12.

**გადამწყვეტი მომენტი:** ხორვატიამ პირველ 14 წუთში მხოლოდ 11 ქულა დააგროვა. იტალიის ნაკრები ორმეოთხედნახევარი აკონტროლებდა მატჩის მსვლელობას, მაგრამ საშინელი მესამე მეოთხედი ჩაატარა, რომელიც 9:26 წააგო. თამაშში გარდატეხა **ბოგდან ბოგდანოვიჩმა** და **კრუნოსლავ სიმონმა** შეიტანეს, რომლებმაც ორ-ორი სამქულიანი ჩააგდეს და 31:36 ჩამორჩენა 49:43 ლიდერობად აქციეს.

**მატჩის გმირი:** სიმონი ბრწყინვალედ მოქმედებდა მესამე მეოთხედში, რომლის მოგებით ხორვატიამ თამაშში გარდატეხა შეიტანა, მაგრამ იტალიას გადამწყვეტი დარტყმა ბოგდანოვიჩმა მიაყენა, როცა საფინალო სირენამდე 3 წუთითა და 28 წამით ადრე სამქულიანი ჩააგდო და თავისი გუნდის უპირატესობა რვა ქულამდე გაზარდა - 70:62.

**სტატისტიკა არ ტყუის:** ხორვატიამ მესამე მეოთხედში თამაშიდან 16 ტყორცნა შეასრულა და ათჯერ ზუსტი იყო. გარდა ამისა, ამ 10-წუთეულში ხორვატთა პირველი ხუთი სამქულიანიდან ოთხმა მიაღწია მიზანს. იტალიამ კი დროის ამ მონაკვეთში კოშმარულად ითამაშა - 14-დან მხოლოდ ორი ზუსტი ტყორცნა და ოთხი შეცდომა ჰქონდა.

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სლოვენია | 4 | 3 | 1 | 309-287 | 7 |
| 2. ხორვატია | 4 | 3 | 1 | 280-273 | 7 |
| 3. ესპანეთი | 4 | 2 | 2 | 294-253 | 6 |
| 4. იტალია | 4 | 2 | 2 | 288-276 | 6 |
| 5. საბერძნეთი | 4 | 1 | 3 | 293-315 | 5 |
| 6. ფინეთი | 4 | 1 | 3 | 249-309 | 5 |

**ბოლო ტური:** ხორვატია-საბერძნეთი (16:30), იტალია-ესპანეთი (19:45), ფინეთი-სლოვენია (23:00).

## ამბები

### ანტიჩმა ნაკრები დაასრულა

მაკედონიის ნაკრების მძიმე ფორვარდმა **პერო ანტიჩმა** სანაკრებო კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა, - იტყობინება ევრობასკეტის ოფიციალური ვებგვერდი.

31 წლის ანტიჩი, რომელმაც ამ ზაფხულს კონტრაქტი გააფორმა „ატლანტა ჰოქსთან", 2005 წლიდან იცავდა მაკედონიის ნაკრების ღირსებას. მაშინ ეს გუნდი ევროპის B დივიზიონის რიგებში თამაშობდა. იქედან მოყოლებული, ფორვარდს არც ერთი საერთაშორისო ტურნირი არ გამოუტოვებია.

პერომ თავისი გადაწყვეტილება იმ გამოწვევით ახსნა, რასაც NBA-ში გამოსვლა ჰქვია.

### ლებრონმა იქორწინა

როგორც ESPN.com წერს, „მაიამი ჰიტის" ლიდერმა **ლებრონ ჯეიმსმა** თავის შეყვარებულზე **სავანა ბრინსონზე** იქორწინა. ცერემონია შაბათს, სან დიეგოს Grand Del Mar-ის სასტუმროში გაიმართა.

ლებრონი და სავანა, რომლებიც სკოლის პერიოდიდან ხვდებიან ერთმანეთს, 2011 წლის დეკემბერში დაინიშნენ. მათ ორი ვაჟი ჰყავთ - **ლებრონ-უმცროსი** და **ბრაისი.**

### რონდო სეზონს ვერ დაიწყებს?

„ბოსტონ სელტიქსის" გამთამაშებელმა **რაჟონ რონდომ,** შესაძლოა, გამოტოვოს გუნდის წინასასეზონო შეკრება და რეგულარული ჩემპიონატის სტარტი. Yahoo!Sports-ის ინფორმაციით, „ბოსტონს" არ აქვს თავისი ლიდერის აღდგენის ზუსტი გრაფიკი, თუმცა რონდო უკვე ასრულებს მოედანზე ზოგიერთ სავარჯიშოს ახალი მთავარი მწვრთნელის **ბრედ სტივენსის** ხელმძღვანელობით.

*„ის შეზღუდულია მოედანზე აქტიურმოქმედებებში. თუმცა ბევრს შრომობს. ეს აშკარად თვალშისაცემია",* - განაცხადა სტივენსმა.

### ენტონი ნიუ იორკს არ დატოვებს

„ნიუ იორკ ნიქსის" ფორვარდმა **კარმელო ენტონიმ** გამოაცხადა, რომ არ აპირებს 2014 წლის ზაფხულში სხვა გუნდში გადასვლას, როცა ის შეუზღუდავი უფლებების თავისუფალი აგენტი გახდება. ერთ-ერთი კლუბი, რომელიც აქტიურად არის დაინტერესებული კარმელოს გადაბირებით, კალიფორნიული გრანდი „ლოს ანჯელეს ლეიკერსია", თუმცა ენტონიმ განაცხადა, რომ კმაყოფილია იმ ზეწოლით, რომელიც მუდმივად არსებობს „ნიუ იორკში" და ის თავის ამჟამინდელ კლუბში დარჩება.

### როუზი: 100 პროცენტით მზად ვარ

„ჩიკაგო ბულზის" გამთამაშებელი **დერიკ როუზი,** რომელმაც შარშანდელი სეზონი მთლიანად გამოტოვა მუხლის ტრავმის გამო, ჟურნალისტებთან საუბარში აცხადებს, რომ საბოლოოდ მოიშორა მძიმე დაზიანებით გამოწვეული როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური პრობლემა.

*„ვფიქრობ, ახლა 100 პროცენტით ვარ მზად სათამაშოდ",* - განაცხადა როუზმა.

### ოდომს ციხე ემუქრება

27 სექტემბერს გაიმართება სასამართლო პროცესი **ლამარ ოდომის** საქმესთან დაკავშირებით, რომელიც აგვისტოს ბოლოს დააკავეს მანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვის გამო. კალათბურთელს, შესაძლოა, ნახევარწლიანი პატიმრობა მიუსაჯონ.

ამჟამად, ოდომი თავდებით არის გათავისუფლებული.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ჩინეთის, ისრაელის და ამერიკის სახალხო მედიცინის აკადემიის წევრი, პროფესორი

ბიჭიკო ასკურავა
მკურნალობს: ქირურგიული ჩარევის გარეშე, ეფექტურად და უმტკივნეულოდ არჩენს სხვადასხვა სახის მოტეხილობას, ნაღრძობს, მენისკს, ოსტეოქონდროზს, პოდაგრას და სახსრების დაავადებას.
მსოფლიოს ორთოპედია უმეტესობა დარწმუნებულია ბიჭიკო ასკურავას მეთოდის ეფექტურობაში, რომელსაც ანალოგი არ მოეპოვება არსად!
მის.: ქ. თბილისი, ლესელიძის 25/ივერიის 5.
ტელ.:(+995 32)299-96-94; (+995 32)298-86-84; (+995 32)298-79-95;
მობ.:(+995 77)41-19-11

ISSN 2233-3827
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი** (599 56 17 38); მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე** (595 09 03 28), **გია ტუხაშვილი** (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:15. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ნიკოლოზ ნეფარიძე**
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონი: **599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ტელ: **238 84 44; 238 74 44;** ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608